დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ- ზურაბ კიკვაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
სოფელ წიფნარის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ხათუნა ფაილაძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:

1. მაია ბაქრაძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
2. იოსები მეგრელიძე-საბუნებისმეტყველო მეცნიერების საგნობრივი ექსპერტი
3. ლია ცერცვაძე-ცუცქირიძე -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
4. ნინო თამარაშვილი-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
5. ბექა კვაჭაძე-საზოგადოებრივი მეცნიერების საგნობრივი ექსპერტი
6. ჯულიეტა ტაბეშაძე-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
7. ნინო მარღიშვილი-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
8. ნათია ბრეგაძე-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.
9. ნათია მაკრახიძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი.
10. მურად ფახურიძე-სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ზურაბ კიკვაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	242007458

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ჩოხატაური (სოფელი წიფნარი)
იურიდიული მისამართი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი .სოფელი წიფნარი
ფაქტობრივი მისამართი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი .სოფელი წიფნარი
საფოსტო ინდექსი	4900
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/629?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%96%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%91%20%E1%83%99%E1%83%98%E1%83%99%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A9%E1%83%9D%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90

ზოგადსა განმანათ ლებლო დაწესებუ ლების ელ-ფოსტა	tsipnari@mes.gov.ge
ზოგადსა განმანათ ლებლო დაწესებუ ლების ტელეფონ ის ნომერი	დაწესებულებას არ აქვს ტელეფონი. ხელმძღვანელის ტელეფონია: 577625199

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	ბრძანება MES 9 23 0000959312 03/08/2023 „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ზურაბ კიკვაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარის საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ“
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 25-26 სექტემბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ჩოხატაური. სოფელი წიფნარი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ჩოხატაური. სოფელი წიფნარი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, **სსიპ ზურაბ კიკვაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარის საჯარო სკოლაში** 2023 წლის 25 და 26 სექტემბერს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, შეთანხმდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსი.

საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ გასაუბრებოდნენ პედაგოგებს და მოეპოვათ საჭირო ინფორმაცია საგნობრივ პროგრამებთან დაკავშირებით. ხოლო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი გაესაუბრა საგნობრივი ჯგუფის კათედრის წარმომადგენლებს ადგილზე ვიზიტის პერიოდში, მან, ასევე, დაათვალიერა სასწავლო გარემო.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა, სკოლის წარმომადგენლებს, მიაწოდეს ინფორმაცია იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის პერიოდში გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 60	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

1. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.
2. ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი

სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	**ხარვეზი**
ინდიკატორი N....		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს: 1.შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვება შესაბამისი სამსახურებიდან. 2.სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება 3.საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის სამსახურთან .

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს ადაპტირებული გარემოს შექმნა.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**რჩევა**
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სასურველია სკოლამ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი, კანონმდებლობის შესაბამისად სერთიფიცირებული პირი.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	მათემატიკის კურიკულემში კარგი იქნება თუ დაამატებენ მე-3 მე-6 კლასში ელ. რესურსებს, Geogebra, Mathigon, WolframAplha-ს პლატფორმებიდან. ეს რესურსები უფასოა და მარტივად გამოსაყენებელი.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	დაწყებითი საფეხურის გერმანული ენის კურიკულუმის ჩარჩოზე მუშაობისას სასურველია გამოიკვეთოს, თუ როგორ დამუშავდება სამიზნე ცნებები კონკრეტული თემის ფარგლებში, პროექტული ტიპის/კომპლექსური დავალებების განხორციელების შემთხვევაში.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	სასურველია მე-4 კლასში მათემატიკის კურიკულემში დაამატონ ქვეცნებები. მათემატიკაში ქვეცნებათა რაოდენობა დიდია და მათი კურიკულუმში არსებობა და დამუშავება სასწავლო პროცესში განაპირობებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას.
ინდიკატორი 2.2.1.1.	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას	დაწყებითი საფეხურის პირველ და მეორე უცხოურ ენაში სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიური ჩართვის შესაძლებლობის გაზრდისთვის, სასურველია დაიგეგმოს მეტი პროექტული ტიპის დავალებები (კომპლექსური დავალებები)

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისას გამოაგზავნა შესაბამისობის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შესაბამისად შეიცვალა შეფასებებიც. რიგი ინდიკატორები წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი. შესაბამისობის გეგმაში გაწერილია განხორციელების ვადები, რისკები, რესურსები და ჩართული მხარეები. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად, გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ცვლილებები ასახა დასკვნაში.

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა სკოლის მისია და ხედვა, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის სამეურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია მისიის, ხედვის და ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელის შესაბამისად, სკოლის დირექტორის 2023 წლის 05 ივნისის N1/კ-12 ბრძანების თანახმად, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სკოლის ფილოსოფიის და სტრატეგიული/ სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით. სამუშაო ჯგუფი შედგება მასწავლებლების და მშობლისგან. აღნიშნული ჯგუფის მიერ, სკოლის პრიორიტეტების გათვალისწინებით, შემუშავებულ იქნა სკოლის

მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი, შეითანხმა სამეურვეო საბჭომ 2023 წლის 06 სექტემბერს N02 სხდომაზე და დაამტკიცა პედაგოგიურმა საბჭომ 2023 წლის 07 სექტემბრის N05 სხდომაზე.

ინდიკატორი 1.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის მისიის შესაბამისად, სკოლა ორიენტირებულია უსაფრთხო და თანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემოს უზრუნველყოფაზე, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარებას, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემას, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერების ხელშეწყობას, ისეთი სასწავლო გარემოს შექმნისა და შენარჩუნების გზით, რომლის საშუალებითაც თითოეული მოსწავლე შეძლებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ხედვის თანახმად, ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი, თანამედროვე მეცნიერული მიღწევებით აღჭურვილი ახალგაზრდა იზრუნებს საკუთარი ქვეყნის მომავლისათვის და პრიორიტეტად ჩათვლის თავისი სოფლის გადარჩენას, არსებობას და განვითარებას. ამისათვის სკოლა მზადაა შეუქმნას მოსწავლეებს სხვადასხვა აქტივობებისათვის საჭირო პირობები და შესაძლებლობა მისცენ მათ წარმოაჩინონ საკუთარი უნიკალური ინდივიდუალიზმი.

ინდიკატორი 1.1.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის შესაბამისად, სკოლის დირექტორის 2023 წლის 05 ივნისის N1/კ-12 ბრძანების თანახმად, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სკოლის ფილოსოფიის და სტრატეგიული/ სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისიებების განხორციელების მიზნით. სამუშაო ჯგუფი შედგებოდა კათედრის ხელმძღვანელების, სკოლის თანამშრომლებისა და მშობლისგან. აღნიშნული ჯგუფის მიერ, სკოლის პრიორიტეტების გათვალისწინებით, შემუშავებულ იქნა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი, შეითანხმა სამეურვეო საბჭომ 2023 წლის 06 სექტემბერს N02 სხდომაზე და დაამტკიცა პედაგოგიურმა საბჭომ 2023 წლის 07 სექტემბრის N05 სხდომაზე.

ინდიკატორი 1.1.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი.სასკოლო საზოგადოების წევრთა გამოკითხვის და სკოლის პრიორიტეტების განსაზღვრის საფუძველზე, სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა სკოლის ფილოსოფიის პროექტი მასწავლებლების, მშობლების და სოფლის თემის მონაწილეობით. პროექტი განთავსდა სკოლის ფეისბუქ გვერდზე, განიხილა პედაგოგიურმა საბჭომ და სამეურვეო საბჭომ.

ინდიკატორი 1.1.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას სკოლის ფოიეში. როგორც სკოლაში ვიზიტისას აღნიშნეს სკოლის განახლებული ფილოსოფია გააჟღერეს სასწავლო პროცესის დაწყების პირველ დღეს, საზეიმო ვითარებაში, სადაც იმყოფებოდნენ მშობლები და სოფლის თემის წარმომადგენლები. ინფორმაცია მიეწოდათ სადამრიგებლო საათის ფარგლებშიც. გაზიარდა სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში. განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე.

ინდიკატორი 1.1.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. სსიპ ზურაბ კიკვაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარის საჯარო სკოლის სახელწოდება შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდებით“ განსაზღვრულ ტიპს და სტატუსს.

ინდიკატორი 1.1.1.6. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
2. დირექტორის 2023 წლის 05 ივნისის N1/კ-12 ბრძანება „სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/ სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე“
3. პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 07 სექტემბრის სხდომის ოქმი N05
5. სამეურვეო საბჭოს 2023 06 სექტემბრის სხდომის ოქმი N02
7. კლასის დამრიგებლის პირადი პორტფოლიო ფოტომასალით.
8. სკოლის ვიზუალური დათვალიერება
9. სკოლის ვებ გვერდი
10. სკოლისათვის ზურაბ კიკვაძის სახელის მინიჭების შესახებ დოკუმენტი.

შეფასება:

- ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშვებული და დამტკიცებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის თანახმად სტრეტეგიული დაგეგმვის ძირითადი პრინციპია სტრუქტურული ერთეულების ჩართულობა. აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული სუბიექტის მხრიდან კრიტიკული მოსაზრების გამოთქმისა და რეკომენდაციების წარმოდგენის შესაძლებლობას; სტრატეგიული მიმართულებები და პრიორიტეტები უნდა განისაზღვროს არსებული სიტუაციის ანალიზის საფუძველზე, უნდა იდენტიფიცირდეს არსებული რისკები და გამოწვევები, განათლების მიმართულებით საზოგადოების საჭიროებები. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტის მომზადებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სამუშაო ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში შედიან მასწავლებლები და მშობლები.

ინდიკატორი 1.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლამ წარმოადგინა შვიდ წელზე გათვლილი სტრატეგიული განვითარების გეგმა. როგორც აღვნიშნეთ, სკოლის მისიის შესაბამისად, სკოლა ორიენტირებულია უსაფრთხო და თანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემოს უზრუნველყოფაზე, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარებას, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემას, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერების ხელშეწყობას, ისეთი სასწავლო გარემოს შექმნისა და შენარჩუნების გზით, რომლის საშუალებითაც თითოეული მოსწავლე შეძლებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ხედვის თანახმად, ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი, თანამედროვე მეცნიერული მიღწევებით აღჭურვილი ახალგაზრდა იზრუნებს საკუთარი ქვეყნის მომავლისათვის და პრიორიტეტად ჩათვლის თავისი სოფლის გადარჩენას, არსებობას და განვითარებას. ამისათვის სკოლა მზადაა შეუქმნას მოსწავლეებს სხვადასხვა აქტივობებისათვის საჭირო პირობები და შესაძლებლობა მისცენ მათ წარმოაჩინონ საკუთარი უნიკალური ინდივიდუალიზმი. სტრატეგიული განვითრების წარმოდგენილი გეგმის თანახმად, სკოლას დაგეგმილი აქვს 2023-2030 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით: საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, მატერიალური რესურსის განახლება, მოსწავლეთათვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნა, პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის კულტურის გაუმჯობესება, სკოლის ციფრული განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიული

განვითარების გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს, შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნის შესაბამის ამოცანებს. სკოლის სტრტეგიული გეგმა დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2023 წლის 20 სექტემბრის N03 სხდომაზე.

ინდიკატორი 1.2.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან. სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის მიერ, დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2023 წლის სექტემბრის N03 სხდომაზე.

ინდიკატორი 1.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები.

ინდიკატორი 1.2.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
2. სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა
3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის თანახმად, გეგმის მონიტორინგი განხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწერული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია.

მონიტორინგისთვის სკოლა გამოიყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგს განახორციელებს ამ მიზნით შემქნილი სამუშაო ჯგუფი.

ინდიკატორი 1.2.2.1.შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. როგორც აღვნიშნეთ სტრატეგიული გეგმის და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს განახორციელებს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. იანვრისა და ივნისის ბოლო კვირაში სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს. სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით, გაიმართება სამუშაო შეხვედრა, რომელსაც დაესწრებიან გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, გაკეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი კი განხორციელდება ორჯერ: მისი განხორციელების შუაში და ბოლოს.

ინდიკატორი 1.2.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში წარედგინება საზოგადოებას საჯარო ღონისძიებებზე, პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოზე და განთავსდება სკოლის ვებ გვერდზე.

ინდიკატორი 1.2.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლა შეგროვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გამოკვეთს შესაძლებლობებსა და მომავალი განვითარების პერსპექტივებს, შეისწავლის ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებებს. შეგროვებული ინფორმაცია და ანალიზი, რომელშიც ასევე აღწერილია გასულ წელს დასახული სამოქმედო გეგმის შესრულების ხარისხი, მუშავდება და გამოიყენება შემდგომი სამოქმედო გეგმის განსაზღვრაში.

ინდიკატორი 1.2.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
2. სტრატეგიული განვითარების გეგმა
3. სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
  - ☒ შეესაბამება
  - ☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს სკოლის ორგანიზაციული სტრურქტურა და სკოლაში თანამდებობრივი დაქვემდებარება. სკოლის დირექტორის 2023 წლის 26 სექტემბრის N2-29 ბრძანებით დამტკიცებულია თანამდებობრივი ინსტრუქციები. რის საფუძველზეც სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთულები/პირების ფუნქციები მკაფიოდაა გასაზღვრული.

ინდიკატორი 3.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. როგორც აღვნიშნეთ, 2023 წლის 26 სექტემბრის N2-29 ბრძანებით, სკოლას დამტკიცებული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციები, როლებში გაწერილია სტრუქტურულ ერთეულების/პირების ფუნქციები. სკოლის სტრუქტურა საჯაროდაა გამოკრული საინფორმაციო დაფაზე, რაც მკაფიოდ განსაზღვრავს სკოლაში დასაქმებული ყველა პირის ანგარიშვალდებულებას, ფუნქციების და პასუხისმგებლობების მკაფიო გადანაწილებას, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას.

ინდიკატორი 3.1.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის დირექტორის 2023 წლის26 სექტემბრის N2-29 ბრძანება „სსიპ ზურაბ კიკვაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარის საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“.

2. სსიპ ზურაბ კიკვაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარის საჯარო სკოლის სტრუქტურა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა პერსონალის მართვის პროცესების ამსახველი დოკუმენტაცია, კერძოდ, სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, შინაგანაწესი, თანამშრომელთა, მათ შორის მასწავლებელთა შრომითი ხელშეკრულებები. მასწავლებლებთან დადებულია შრომითი ხელშეკრულებები მათი სტატუსის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 11 ოქტომბრის N959 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების შესაბამისად. ამ დოკუმენტებში გაწერილია სტრუქტურული ერთეულების და ცალკეული დასაქმებული პირის ფუნქცია მოვალეობები. სკოლის სტრუქტურა და თანამდებობრივი ინსტრუქციები ასევე დამტკიცებულია სკოლის დირექტორი მიერ. სკოლაში ხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება თანამშრომელთა გუნდური მუშაობის და მათ შორის არაფორმალური ურთიერთობების განვითარებას. სკოლის შინაგანაწესით განისაზღვრება სამუშაოს დაწყებისა და დასრულების დრო, დასვენების ხანგრძლივობა, შვებულების მიცემის წესი, სასწავლო პროცესის რეგულაციები. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, ასევე შრომით ხელშეკრულებაში ცალკე პუნქტადაა გამოტანილი, რომ სკოლაში დასაქმებული პირი გაეცნო შინაგანაწესს, რაც დადასტურებული აქვს ხელმოწერით. სკოლაში ადამიანური რესურსების განვითარება და მართვა ხორციელდება: სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული კადრების მოზიდვისა და შერჩევის აქტიური პროცესის განხორციელებით; საჭიროების შემთხვევაში, ხანგრძლივი და რელევანტური ტრენინგებისა და მართვის განვითარების აქტივობების დაგეგმვით; სახელფასო სისტემის, როგორც წახალისების გზით მოტივაციის გაზრდის, რეგულარული დახვეწის გზით; ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების გაღრმავების გზით; დასაქმებულთათვის საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდების გზით; იმგვარი გარემოს შექმნით, სადაც შესაძლებელია დიალოგი და კომუნიკაცია დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის. სკოლაში ხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება თანამშრომელთა გუნდური მუშაობის და მათ შორის არაფორმალური ურთიერთობების განვითარებას.

ინდიკატორი 3.1.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 სექტემბრის N2-20 ბრძანებით სკოლაში დამტკიცდა ,,ადამიანური რესურსების მართვის და განვითარების მექანიზმი“. შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი. მასწავლებელთა საჭიროებების გამოვლენა ძირითადად ხდება ერთმანეთთან გამოცდილების გაზიარებისა და ურთიერთდაკვირვების შედეგად გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე. ხარისხის განვითარების ჯგუფი საერთო ვითარების გამოვლენის მიზნით, აკეთებს ანალიზს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს.
საჭიროებების მიხედვით ხდება სკოლის ახალი კადრებით უზრუნველყოფა, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლა საჭიროებამებრ, კადრების შერჩვის მიზნით აცხადებს შიგა და ღია კონკურსებს. სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით სკოლის შინაგანაწესით შემუშავებულია სკოლის პერსონალის მართვის პრევენციული ღონისძიებები. კერძოდ მასწავლებლის სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში ხდება მისი სხვა მასწავლებლით ჩანაცვლება და საგაკვეთილო ცხრილის მოდიფიცირება. სკოლას, თავისი ადგილმდებარეობის გამო უჭირს ახალი კადრების შერჩევა, სამაგიეროდ სკოლის მასწავლებელთა უმრავლესობას ჩაბარებული აქვს 2, 3 ან 4 სხვადასხვა საგნის გამოცდა, რისი გათვალისწინებითაც სკოლა კვალიფიციური კადრებითაა დაკომპლექტებული. პერსონალის მართვის პოლიტიკის თანახმად ახალი კადრის შერჩევისას სკოლა არასასურველი შედეგის პრევენციის მიზნით საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად ითვალისწინებს მის პიროვნულ თვისებებს, კომუნიკაბელურობას, გუნდური მუშაობის უნარს, სტრესის მართვის უნარს. კადრების ვერ შერჩევის გამო სკოლის 2 თანამშრომელთან გაფორმებულია მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულება.

ინდიკატორი 3.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ სკოლაში კადრების შერჩევა ხდება ობიექტურობის პრინციპის დაცვით. სკოლის დირექტორის ბრძანებით ცხადდება კონკურსი და ქვეყნდება შესაბამის გვერდზე: http://teacherjobs.ge/-ზე. განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურის ეტაპები, ვადები. კანონმდებლობის შესაბამსად, იქმნება საკონკურსო კომისია, რომელიც კონკურსით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, იღებს გადაწყვეტილებას ხმათა უმრავლესობით. საჭიროების შემთხვევაში, კონკურსის შედეგების გასაჩივრების მიზნით, შესაძლებელია შეიქმნას საპრეტენზიო კომისია. ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, აღმოჩნდა, რომ სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელს ჰქონდა ზოგადი განათლების შესახებ კანონით (მუხლი 33 (1) -ით პერსონალის შეზღვუდვა) განსაზღვრული ცნობები,, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ” და საქართველოს მთავრობის N463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობა ,,უფლების ჩამორთმევის შესახებ”. პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ პერსონალის პირად საქმეში წარმოდგენილი იყო კვალიფიკაციის შესაბამისი ყველა სავალდებულო დოკუმენტი.

ინდიკატორი 3.1.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლაში დასაქმებულია 16 პედაგოგი: მათთ შორის 9 უფროსი და 5 წამყვანი მასწავლებელი. სკოლას ყავს 2 მოწვეული მასწავლებელი: სპორტსა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რადგან გამოცხადებული ვაკანსიისას ვერ შეირჩა შესაბამისი კადრი. სკოლაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგით დასაქმებულია: 1 საქმისმწარმოებელი, 1 ექთანი,1 ბუღალტერი, 2 დამლაგებელი და 2 დარაჯი. სკოლას ხელმძღვანელობს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, რომელსაც ჩოხატაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრისგან მიღებული ნებართვით აქვს 16 საგაკვეთილო საათი, რასაც წინ უძღოდა სკოლის მიერ კონკურსის გამოცხადება, კონკურსზე არ დარეგისტრირდა არც ერთი აპლიკანტი. სკოლის დირექტორის 2023 წლის 26 სექტემბრის N2-29 ბრძანებით დამტკიცებულია თანამდებობრივი ინსტრუქციები და განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სკოლაში მოქმედი თითოეული

საშტატო ერთეულის მიხედვით. საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე გაწერილია სკოლის მიერ გამოცხადებული კონკურსის პირობებითაც. სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ინდიკატორი 3.1.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ გადაწყვეტილებები სკოლაში მიიღება სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით. სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების ყველა სეგმენტი. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს კურიკულემების შემუშვებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. სკოლაში არის კოლეგიური სტრუქტურული ერთეული პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, რომელთა მიერ გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით.

ინდიკატორი 3.1.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. სკოლის შინაგანაწესის მე-17 მუხლის შესაბამისად, სკოლაში მოქმედებს წარმატებული გამოცდილების აღიარების მექანიზმი. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შეესრულებისთვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისთვის, სკოლა დასაქმებულთა მიმართ გამოიყენებს წახალისების ფორმებს:
ა) მადლობის გამოცხადება;
ბ) სიგელით დაჯილდოება;
გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;
ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.
წახალისება გათვალისწინებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკითაც, რომლის თანახმად, წახალისების ღონისძიებები განხორციელდება ობიექტური კრიტერიუმებისა და გამჭვირვალე პროცესის ფარგლებში, სადაც მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდება სამუშაოს შესრულების ხარისხის შეფასების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე.
კათედრის დებულებით, კათედრა უზრუნველყოფს კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებას, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრას და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას. სკოლას აქვს ტრადიცია, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში გამართულ საჯარო ზეიმზე, განსაკუთრებული დამსახურებისათვის, საპატიო სიგელებით დაჯილდოვდეს სკოლის თანამშრომლები.

ინდიკატორი 3.1.2.6. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2023 წლის 08 სექტემბრის N2-20 ბრძანება ,,ადამიანური რესურსების მართვის და განვითარების მექანიზმი“.

2. სკოლის სტრუქტურა
3. თანამდებობრივი ინსტრუქციები
4. შინაგანაწესი
5. სსიპ ზურაბ კიკვაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარის საჯარო სკოლის კათედრის დებულება
6. 2023-2024 სამოქმედო გეგმა

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშვებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვას, რასაც ახორციელებს ძირითადი საჭიროებების განსაზღვრით და შემდგომ შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებით. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარებისათვის სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული სქემა. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით სკოლა თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას განახორციელებს ანალიზის საფუძველზე, რომელშიც დაეხმარება შემდეგი სახის შეკითხვები:

• რას მიაღწიეს თანამშრომლებმა მოცემული ეტაპისათვის?
• რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ თანამშრომლებს?
• რა შესაძლებლობები და საფრთხეები არსებობს, რომლებმაც შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინონ თანამშრომლების საქმიანობაზე?

სკოლის დირექტორის 2023 წლის 26 სექტემბრის ბრძანება N2-27 -ით შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი,

შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. კათედრებზე ხდება ურთიერთადასწრების შედეგების განხილვა და ანალიზი. დანერგილია ,,კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტი.

ინდიკატორი 3.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. როგორც აღვნიშნეთ, სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვას, ამ მხრივ ძირითადი საჭიროებების განსაზღვრას და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, სკოლაში შეფასების სისტემის დანერგვას. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. კათედრებზე ხდება ურთიერთადასწრების შედეგების განხილვა და ანალიზი. 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმის პროექტში გაწერილია აქტივობები თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევის, თანამშრომელთა განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების დაგეგმვის მიმართულებით.

ინდიკატორი 3.2.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის თანამხად სკოლა ახორციელებებს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახამდ, სკოლა ახდენს პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირებას სამუშაოს კატეგორიის, ცალკეული ფუნქციის, თანამდებობრივი მოთხოვნებისა და ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზის საფუძველზე და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, გეგმავს სხვადასხვა ღონისძიებს. სკოლა ზრუნავს არა მარტო მასწავლებელების, არამედ სხვა თანამშრომლების კარიერულ განვითარებაზე. სკოლის ბუღალტერმა გაიარა ფინანსთა სამინისტროს მიერ ორგანიზებული ტრენინგი.სკოლის დირექტორს და საქმისმწარმოებელს აქვს გავლილი სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული სემინარი და ტრენინგი, რისი დამადასტურებელი სერთიფიკატებიც იყო წარმოდგენილი მათ პირად საქმეში. სკოლა გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით ცდილობს აარჩიოს მასწავლებელთა სახლის მიერ შემოთავაზებული სხვადასხვა ხასიათის ტრენინგები, რასაც შემდეგ აქტიურად უზიარებენ ერთმანეთს პროფესიული განვითარების მიზნით. სკოლას ყავდა მაძიებლის სტატუსის მქონე მასწავლებელი, რომელთანაც მუშაობდა ტუტორი. სკოლის მიერ სწორად დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობებით აღნიშნულმა მასწავლებელმა წარმატებით გაიარა მაძიებლობიის პროგრამა და მიიღო უფროსი მასწავლებლის სტატუსი.

ინდიკატორი 3.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4.სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკიდან ჩანს, რომ სკოლა ორიენტირებულია იმგვარი გარემოს შექმნაზე, სადაც შესაძლებელია დიალოგი და კომუნიკაცია დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის; ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების გაღრმავებაზე და დასაქმებულთათვის საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდებაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლაში თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება დამკვიდრებული პრაქტიკაა. სკოლაში არსებული რესურსები თანაბრადაა ხელმისაწვდომი თანამშრომლებისთვის. სკოლაში ახალი მასწავლებლის მიღება ხდება განსაკუთრებულად: ეწყობა თანამშრომლებთან შეხვედრა, წარდგენა, სკოლის ინფრასტრუქტურის გაცნობა და მოსწავლეთათვის მისი წარდგენა.

ინდიკატორი 3.2.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესაბამისად, სკოლაში დასაქმებულის მოტივაციის ხარისხს განაპირობებს სკოლაში დამკვიდრებული გარემოს თავისებურებები (ორგანიზაციული კულტურა) და სამართლიანი, გამჭვირვალე და ობიექტური მართვის მექანიზმები, რომელთა მეშვეობით დასაქმებული გარანტირებულად მიიღებს პროფესიული ზრდისა და განვითარების შესაძლებლობას. წახალისების ღონისძიებები განხორციელდება ობიექტური კრიტერიუმებისა და გამჭვირვალე პროცესის ფარგლებში, სადაც მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდება სამუშაოს შესრულების ხარისხის შეფასების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. პერსონალის წახალისების ფორმები განსაზღრულია შინაგანაწესით. სკოლის მასწავლებელთა წარმატებები გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე. სკოლის თანამშრომლები ერთმანეთს ეხმარებიან კარიერულ ზრდაში.

ინდიკატორი 3.2.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
3. შინაგანაწესი

შეფასება:
- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 2023 წლის 26 სექტემბრის N2-27 ბრძანებით, სკოლაში დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ერთიანი დოკუმენტი. ასევე, განსაზღვრულია სკოლის ხარისხზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეულები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. სკოლას შემუშავებული აქვს პოლიტიკის განმსაზღვრელი შემდეგი დოკუმენტები:სტრატეგიული განვითარების გეგმა, სამოქმედო გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის ფილოსოფიის შემუშავების მეთოდოლოგია; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, ვერიფიკაციის მექანიზმი. მათ საფუძველზე დგინდება, რომ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისას სკოლა ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს - დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე.

ინდიკატორი 3.3.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლას განსაზღვრული აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ჩამონათვალი და შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შესაბამისი ინსტრუქციები: სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, ასევე სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია რომელიც ითვალისწინებს გეგმების განხოციელების მონიტორინგს, კურუკულიმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომლებიც არეგულირებს მმართველობით, ძირითად პროცესებს. დამტკიცებულია თანამდებობრივი ინსტრუქციები სტრუქტურული ერთულების /პირებისთვის, მატერილური რესურსებით სარგებლობის წესი. სკოლას, მოსწავლეთა მცირე რაოდენობიდან გამომდინარე(საშტატო განრიგით ბიბლიოთეკარის შტატი განსაზღვრულია 41 -დან ზევით მოსწავლეთა რაოდენობის მქონე სკოლაში), არ ყავს ბიბლიოთეკარი, მაგრამ აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ბიბლიოთეკარის ფუნქციები შეთავსებული აქვს სკოლის დირექტორს, რომელიც ბიბლიოთეკას მართავს შემუშავებული წესის შესაბამისად.

ინდიკატორი 3.3.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლის შინაგანაწესის მე-13-ე თავის თანახმად, სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი უნდა გატარდეს და მასზე რეაგირება უნდა განხორციელდეს კანონით დადგენილი წესით. სკოლაში დირექტორის 2023 წლის 26 სექტემბრის N2-29 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. სკოლის დირექტორის მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტებში მითითებულია გასაჩივრების ვადა და ადგილი.

ინდიკატორი 3.3.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლების დაცვის მექანიზმები. კერძოდ დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია მათი უფლებები და მოვალეობები, სადავო საკითხების გადაწყვეტის პირობები. სკოლას პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ნებართვაზე თანამშრომლებთან და მშობლებთან გაფორმებული აქვს შეთანხმება. პერსონალის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებების დაცვის მექანიზმი აგრეთვე განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესითაც.

ინდიკატორი 3.3.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
2. კურუკულიმის შემუშავების მეთოდოლოგია,
3. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი,
4. თანამდებობრივი ინსტრუქციები
5. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
6. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი
7. შინაგანაწესი
8. სკოლასა და მშობელს შორის დადებული ხელშეკრულება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მართვის პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია ქვეყნდება საინფორმაციო დაფაზე, სოციალური ქსელში, ვებ-გვერდზე. სკოლა ინტენსიურად მუშაობს სასკოლო ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერების მიმართულებით. სკოლა მცირეკონტიგენტიანია და ყველა მასწავლებელი თავისუფლად ახერხებს მჭიდრო კონტაქტი დაამყაროს მშობელთან, მიაწოდოს მას ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. კლასის დამრიგებლებმა წარმოადგინეს მასალები, თუ როგორ ამყარებენ კომუნიკაციას მშობელთან და ითვალისწინებენ მათ ინტერესებს. სკოლის დირექტორმა სკოლის სამეურვეო საბჭოს მიმართა ინიციატივით - სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარის საჯარო სკოლას ეწოდოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და თავისუფლებისთვის დაღუპული ზურაბ კიკვაძის სახელი. აღნიშნული ინიციატივის განხილვაში მონაწილეობა მიიღო სოფლის თემმა, მხარი დაუჭირა სკოლის ინიციატივას და ერთობლივი ძალისხმევით მიმართეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სკოლას მიენიჭა ზურაბ კიკვაძის სახელი, სკოლის შესასვლელში გაკეთდა მემორიალური დაფა.

ინდიკატორი 3.3.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მშობლები, დისციპლინური კომიტეტი, რომელშიც თანაბარი რაოდენობით შედიან მასწავლებელი და მშობელი, არის მოსწავლეთა თვითმმართველობა; სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექციის, სტრუქტურული ერთეულებისა და რესურსცენტრის წარმომადგენლები,მრჩეველთა საბჭო განიხლავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს. მოსწავლის მშობელი აქტიურად მონაწილეობს შვილის განვითარებისა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის პროცესში.

ინდიკატორი 3.3.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მშობელთან ურთიერთობის დებულება
2. თვითმმართველობის არჩევნების თაობაზე დოკუმენტაცია
3. მშობელთა კრების ოქმები
4. სამეურვეო საბჭოს ოქმები
5. სასკოლო ინიციატივის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შინაგანაწესის თანახმად, სკოლა ვალდებულია შექმნას შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო-პირობები. შეასრულოს შრომის უსაფრთხოების დაცვის წესები. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებულია სათვალთვალო კამერები. ყველა სართულზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, სიგნალიზაციის ღილაკი, გასასვლელის მაშუქები და საევაკუაციო გეგმა. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტებით. სკოლაში დასაქმებულია კვალიფიციური ექთანი, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სკოლის დირექტორის 2019 წლის 17 სექტემბრის N1კ-29 ბრძანებით განსაზღრულია სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებმოსილი პირი. მორიგე მასწავლებლები, კლასის დამრიგებლებთან ერთად ზრუნავენ წესრიგის დაცვაზე. სკოლაში უცხო პირთა შემოსვლა კონტროლდება კარისკაცის მიერ, რომელიც სპეციალურ ჟურნალში აღრიცხავს სკოლაში ვიზიტორებს. სკოლის დირექტორის 2033 წლის 08 სექტემბრის N2-21 ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი.სკოლას არ ყავს კანონმდებლობის შესაბამისად სერთიფიცირებული, შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.
სკოლამ 2023 წლის 22 აგვისტოს წერილით მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს, რომ მომხდარიყო სკოლის შენობის სახანძრო უსაფრთხოების შემოწმება. გაფორმდა ხელშეკრულება. 2023 წლის 15 სექტემბერს მოხდა სკოლის შენობის სახანძრო უსაფრთხოების შემოწმება. დასკვნა ჯერ არ მიუღიათ. სკოლას გამზადებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის პროექტი, რომელსაც შეათანხმებენ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან, მას შემდეგ რაც ექნებათ სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა. სკოლა აშენებულია 2014 წელს, არის შენობის მიღება ჩაბარების აქტი და სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნა, რომ სამუშაოები ჩატარებულია ხარისხიანად. სკოლის წინა მხარე

დგას მიწაყრილზე, რის გამოც სკოლას გაუჩნდა ბზარები. აღნიშნული პრობლემის შესახებ, სკოლამ არაერთხელ მიმართა ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს,საიდანაც მიღებული პასუხით ირკვევა, რომ ტიხრების დაბზარვას განაპირობებს მათ ქვეშ იატაკში ჩაყრილ ბალასტის მოცულობითი შეკლება, რასაც ასევე მილევადი ხასიათი აქვს და დროთა განმავლობაში დასტაბილურდება. რაც შეეხება კედლების დაბზარვას, აქ საჭიროა ბზარების პოლიმერცემენტის ხსნარით შევსება. ამჟამად სკოლას წერილობით აქვს გაგზავნილი მიმართვა სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროსთან, რათა მოხდეს სკოლის შენობის მდგრადობის შემოწმება.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. წარმოდგენილი გეგმის მიხედვით სკოლა 16.10.2023წ-30.09.2024წ (1 წელი) პერიოდში უზრუნველყოფს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებას. შესაბამის სფეროში აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემულ, შენობა-ნაგებობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის წარმოდგენას.

ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად, ვინაიდან სკოლას, ვიზიტის პერიოდში, ამ მიმართულებით უკვე გადადგმული ჰქონდა შესაბამისი ნაბიჯები და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა მეტწილ შესაბამისობაში.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს:

ა) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის უწყებასთან;

ბ) შენობა - ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვება;

გ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნასთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება.

ინდიკატორი 3.4.1.1. მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2.სკოლის შინაგანაწესის თანახმად, სკოლაში რეგულირდება უცხო პირთა შესვლა. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან ერთად, უზრუნველყოფს სკოლის დარაჯი. სკოლას აქვს საგაკვეთილო პროცესის დროს სართულების მიხედვით შემუშავებული პედაგოგთა მორიგეობის განრიგი. სკოლაში აკრძალულია თამბაქოს მოხმარება და დამტკიცებულია სკოლის შენობასა და მის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარების ამკრძალავი წესი.სკოლას ყავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საქმიანობას.

ინდიკატორი 3.4.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმიაში გათვალისწინებულია აქტივობები მოსწავლეთა მხარდაჭერის მიმართულებით. კერძოდ, მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმის დანერგვა, სწავლა-სწავლების პროცესში მხარდამჭერი გარემოს შექმნა და საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციების შეთავაზება, კარიერული დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა, კლუბების/წრეების ფუნქციონირება, შესაბამისი სასწავლო აქტივობების დაგეგმვა (გასვლითი გაკვეთილები, მიზნობრივი ექსკურსიები და ა.შ.) ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მიერ 2017 წლის 22 თებერვალს დამტკიცებული N1/კ-7 ბრძანება „ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობათან დაკავშირებით განსახორციელებელი შიდა ინსტრუქციები“ დოკუმენტის მე-6 მუხლში გაწერილია სკოლაში მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობის დაფიქსირების შემთხვევაში

განსახორციელებელი პროცედურები. ხოლო მუხლის 7-ით კი, მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობის შემთხვევაში ,სკოლა ხელმძღვანელობს „ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N 437 დადგენილების შესაბამისად. სასკოლო სივრცეები, დერეფნებში გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები, ერთობლივად განხორციელებული სხვადასხვა აქტივობები, მოსწავლეთა წარმტების ამსახველი მასალა. ეს კი ქმნის სკოლაში დადებით სოციო-კულტურულ გარემოს და ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალიზაციას.

ინდიკატორი 3.4.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის ინფრასტუქტურის დასუფთავებას ემსახურება 2 დამლაგებელი. სკოლას აქვს ჭაბურღილი, რომელზეც დამონტაჟებულია წყლის ფილტრი, რითაც უზრუნველყოფილია სუფთა წყლის მიწოდება. სველ წერტილებში დაცულია პირადი ჰიგიენის დაცვისთვის შესაფერისი პირობები. პირადი ჰიგიენის საშუალებები განთავსებულია იზოლირებულ საცავში, რომელიც ნიავდება ბუნებრივი ვენტილაციით. ჰიგიენური პირობების დაცვა მიმდინარეობს, როგორც სკოლის შიდა, ასევე გარე პერიმეტრზე. სკოლაში ყველა სართულზე არის 2 სველი წერტილი: 1 გოგონებისთვის, 1 ვაჟებისათვის და 1 ადაპტირებული სველი წერტილი. ეს უკანასკნელი ვიზიტის პერიოდში არ ფუნქციონირებდა (სკოლას არ ყავს შშმ მოსწავლე) სკოლის ექთანს ევალება ზედმხედველობა სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შესრულებაზე.მან უნდა მიაწოდოს ინფორმაცია სკოლის დასუფთვებაზე პასუხისმგებელ პერსონალს დალაგების წესის, გამოსაყენებელი ხსნარების, დასუფთავების რეჟიმის, ნარჩენების მართვისა და სხვა დეტალების თაობაზე. სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი და გრაფიკი.

ინდიკატორი 3.4.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლის დირექტორის 2023 წლის 03 ივლისის N1/კ-14 ბრძანებით სკოლაში დამტკიცებულია პერსნალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, მონაცემები მუშავდება კანონიერად და კონკრეტული მიზნის მისაღწევად, სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის ინტერესთა დაცვით, მიზნის პროპორციულად, კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა განადგურდეს. მოსწავლეთა პირადი საქმეები განთავსებულია დირექტორის კაბინეტში, სპეციალურად გამოყოფილ, დაცულ სივრცეში და მათზე წვდომა აქვთ საქმისმწარმოებელს და დამრიგებლებს. ხოლო, მოსწავლის მობილობის შემთხვევაში მოსწავლის პირადი საქმე ფოსტით გადაეგზავნება მიმღებ სკოლას. სკოლაში დაცულია სკოლის პერონალის პირადი საქმეები.

ინდიკატორი 3.4.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს, ახორციელებს დასაქმებულ პირთა, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირებას ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე. სკოლაში გამოიყენება მხოლოდ ლიცენზირებული პროგრამები, სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში, საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირის და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან შეთანხმების გარეშე. ელექტრონულ ბაზაში (Eschool.emis.ge) მოსწავლეების/მშობლების/თანამშრომლების მონაცემების შეტანაზე, ინფორმაციის კორექტირებაზე პაუხისმგებლობა ეკისრება სკოლის საქმისმწარმოებელს. მოსწავლეთა პირადი საქმეების შენახვასა და მესამე პირისგან დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისწარმოებელი, რომელმაც

უნდა დაიცვას სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების შედეგად მისთვის ცნობილი თანამშრომელთა/მოსწავლეთა პერსონალური მონაცემები.

ინდიკატორი 3.4.1.6. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

7. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც იკრიბება სემესტრში მინიმუმ ორჯერ და მათზე იხილება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები. მუშავდება რეკომენდაციები, იგეგმება პრევენციული ღონისძიებები.

ინდიკატორი 3.4.1.7. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგანგებო მართვის გეგმის პროექტი
2. საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ ბრძანება
3. სახანძრო უსაფრთხოების თაობაზე მიწერილობა, ხელშეკრულება.
4. უსაფრთხოების პოლიტიკა
5. უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება
6. შენობის მდგრადობის შესახებ სამხარაულის ეროვნულ ბიუროზე მიმართვის წერილი.
7. დირექტორის 2023 წლის 03 ივლისის N1/კ-14 ბრძანება „სსიპ კიკვაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარის საჯარო სკოლაში პერსნალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცეების თაობაზე“
8. დირექტორის 2019 წლის 17 სექტემბრის N1კ-29 ბრძანება „სსიპ კიკვაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარის საჯარო სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ“

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა საჯარო რეესტრის განახლებული ამონაწერი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ 1577 კვ. მ მიწის ფართობზე განთავსებულია სკოლის 670,5 კვ.მ შენობა. აღნიშნული ფართი სკოლას გადაცემული აქვს ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსაგან, სარგებლობის უფლებით.სკოლის შენობა არის 2 სართულიანი, შენობას აქვს სარდაფი, სადაც განთავსებულია სპორტული დარბაზი. სკოლაში არის 9 საკლასო ოთახი, სპორტული დარბაზი, დირექციისათვის განკუთვნილი ოთახები, სამასწავლებლო, ექიმის კაბინეტი, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა. სულ სკოლაში არის 7 კომპიუტერი, 2 შავთეთრი და 1 ფერადი პრინტერი, 1 პროექტორი. სკოლაში არის 1 პიანინო,1 საოჯახო კინოთეატრი, 1 ტელევიზორი, რომელიც განთავსებულია რეკრეაციულ ზონაში. სკოლას აქვს დიდი და ნათელი სპორტულ დარბაზი, სადაც განთავსებულია ტენისის მაგიდა და სხვადასხვა სპორტული ინვენტარი. სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მოიცავს გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, მცირე რაოდენობით მხატვრულ ლიტერატურას და დამხმარე სახელმძღვანელოებს.სკოლას არ ყავს ბიბლიოთეკარი, მაგრამ აქვს შემუშავებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ბიბლიოთეკარის მოვალეობას ასრულებს სკოლის დირექტორი და ბუღალტერი, რომლებიც აწარმოებელ წიგნების საინვენტარო უწყისში აღრიცხვას. ყველა საკლასო ოთახში არის მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისი მოსწავლის მერხი და სკამი, ასევე მასწავლებლის მაგიდა და სკამი, დაფა. საკლასო ოთხებში ასევე განლაგებულია წიგნების კარადა, ტუმბოები და საკიდები. სკოლაში არის 4 სველი წერტილი, გოგონების 2, ვაჟების 2.

ინდიკატორი 3.5.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია როგორც სკოლაში დასაქმებულ პირთათვის, ასევე მოსწავლეებისთვის. სკოლას შემუშვებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, ბიბლიოთეკის მუშაობის წესი. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. აღნიშნული დოკუმენტების თანახმად, სკოლის ბიბლიოთეკა, კომპიუტერულ და სხვა მატერიალურ რესურსებზე თანაბრად არის უზრუნველყოფილი წვდომა სკოლის თანამშრომლებისა და მოსწავლეებითვის.

ინდიკატორი 3.5.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3.სკოლა ორსართულიანია. სკოლის შესასვლელში მოწყობილია პანდუსი, პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი სკოლას არ ყავს არც სსსმ და არც შშმ მოსწავლე. სკოლას არ აქვს ლიფტი და/ან მოძრავი პანდუსი,

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. წარმოდგენილი გეგმის მიხედვით სკოლა 16.10.2023წ-30.09.2024 (1წელი) პერიოდში უზრუნველყოფს სკოლაში ინკლუზიური გარემოს მოწყობას.
ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად, ვინაიდან სკოლას, ვიზიტის პერიოდში, ამ მიმართულებით უკვე გადადგმული ჰქონდა შესაბამისი ნაბიჯები და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა მეტწილ შესაბამისობაში.
სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს სკოლაში ინკლუზიური გარემოს შექმნა.

ინდიკატორი 3.5.1.3 მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. მოსწავლეებს დაგეგმილი ღონისძიებების მომზადებისა და განხორციელებისათვის შეუძლიათ ისარგებლონ ინფრასტრუქტურით და სხვადასხვა ინვენტარით. სკოლის შენობაში ეწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების და ნახატების გამოფენა. სპორტული და სხვა ღონისძიებების განხორციელებების მიზნით, მოსწავლეები შეუზღუდავად იყენებენ სკოლაში არსებულ რესურსებსა და სპორტულ ინვენტარს. საკლუბო აქტივობების განხორცილებისთვის უზრუნველყოფილია სკოლაში არსებულ რესურსებზე წვდომა.

ინდიკატორი 3.5.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლა უზრუნველყოფილია კურიკულუმით განსაზღრული საჭირო რესურსებით. გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები და დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.). მოსწავლეებს სასწავლო წლის დასაწყისში მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადაეცემათ სახელმძღვანელოები. ასევე პირველი კლასის მოსწავლეებს გადაეცემათ პორტაბელური კომპიუტერები. სასწავლო პროცესის მიზნებისათვის კომპიუტერები გადაეცემათ ასევე დაწყებითი კლასის მასწავლებლებს.

ინდიკატორი 3.5.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ვიზუალური დათვალიერება
2. განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალები
3. ელექტროული რესურსები
4. ინვენტარიზაციის ამსახველი დოკუმენტაცია

შეფასება:
- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია 7 პერსონალური კომპიუტერით და 3 ლეფტოპით.. სკოლაში არის 3 პრინტერი და 1 პროექტორი. კომპიუტერებით უზრუნველყოფილია სკოლის დირექცია, საქმისმწარმოებელი, ექთანი, ბუღალტერი. მათ ასევე აქვს პრინტერი და სკანერი. საგნობრივ კათედრებს აქვს თავიანთი კუთხე სამასწავლებლოში, რომლებიც ასევე აღჭურვილია კომპიუტერით და პრინტერით. სკოლამ ტექნოლოგიებით მუშაობის ხარისხის ხელშეწყობის მიზნით შეიძინა ინტერნეტის სიჩქარის გამაძლიერებელი მოწყობილობა. სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი ციფრული განვითარების გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს ადმინისტრაციულ და

სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე სკოლაში დასაქმებულ პირთათვის.

ინდიკატორი 3.6.1.1.შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მატერიალური რესუსებით სარგებლობის წესი, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალური რესურსების, მათ შორის კომპიუტერული კაბინეტის ხელმისაწვდომობას როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე თანამშრომლებისთვის. ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია სამასწავლებლოში, საკლასო ოთახებში.

ინდიკატორი 3.6.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ციფრული განვითარების გეგმა
2. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი
3. სკოლის ვიზუალური დათვალიერება

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 სექტემბრის N2-23 ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების ერთიანი წესი. სკოლაში საქმის წარმოება ხორციელდება ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow)- საშუალებით და მას ახორციელებს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული საქმისმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულ მუშაობას.

ინდიკატორი 3.6.2.1.შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა სარგებლობს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემით - „eflow"; სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა - tsipnari@mes.gov.ge. სკოლის მონაცემები ასახულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - Eschool; იყენებს ელექტრონულ ჟურნალს.

ინდიკატორი 3.6.2.2.შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლას აქვს საკუთარი პროფილი eSchool.emis.ge-ზე. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია სხვადასხვა ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. ასახული ინფორმაცია არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების თაობაზე.

ინდიკატორი 3.6.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4.სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. საქმისწარმოების წესის შესაბამისად საქმისმწარმოებელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს დოკუმენტებზე რეაგირების ვადების დაცვას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლა სრულად, კანონმდებლობის შესაბამისად თანამშრომლობს მარეგულირებელ უწყებებთან, დროულად აწვდის მათ ანგარიშებს, უკუკავშირსა და საჭირო ინფორმაციას.

ინდიკატორი 3.6.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 სექტემბრის N2-23 ბრძანება „საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე"
2. Eschool -ის ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი, რომლის თანახმად, სკოლის ვებ გვერდი და სოციალური ქსელი საზოგადოებასთან კომუნიკაციის ძირითად საშუალებებია. სკოლას აქვს ვებ გვერდი, რომლის საშუალებითაც სკოლა ახდენს საზოგადოების ინფორმირებას. სკოლას ასევე გვერდი სოციალურ ქსელში (facebook), სადაც გამოქვეყნებულია ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესების თაობაზე, კონკურსების, მიმდინარე და განხორციელებული პროექტების შესახებ. აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ ინფორმაცია სკოლასა და მშობლებს მიეწოდებათ ელექტრონული ჟურნალის საშუალებით.

ინდიკატორი 3.6.3.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. საზოგადეობასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესის თანახმად, დაწესებულება არ უნდა ავრცელებდეს შეცდომაში შემყვან ინფორმაციას. ვებ გვერდზე და სოციალური ქსელში განთავსებული ინფორმაცია უნდა იყოს უტყური და შესაძლებელი უნდა იყოს მისი გადამოწმება. სკოლის სოციალური ქსელის. ვებ გვერდის და საინფორმაციო დაფის დათვალიერების შედეგად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი.

ინდიკატორი 3.6.3.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3.სკოლაში კითხვარების საშუალებით, სხვადასხვა აქტუალური საკითხის თაობაზე, მშობლებიდან ინფორმაციის მიღება, დამკვიდრებული პრაქტიკაა. მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგებს, სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

ინდიკატორი 3.6.3.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4.სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე. სკოლას აქვს მოქმედი ვებ რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. ვებ გვერდი შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორი 3.6.3.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ვებ გვერდი
2. სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook)
3. საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი
4. მშობელთა გამოკითხვის ინსტრუმენტი

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ძირითადად ფინანსდება ვაუჩერული დაფინანსებით. სკოლის ძირითადი ფინანსური რესურსი იხარჯება დასაქმებულთა შრომით ანაზღაურებაზე, ასევე მატერიალური რესურსების შესყიდვაზე, პერიოდულ სარემონტო სამუშაოებზე. საჭიროებების შესაბამისად ხდება ბიუჯეტის კორექტირება და შესაბამისი ცვლილების პროექტი დასამტკიცებლად წარედგინება სამეურვეო საბჭოს.

ინდიკატორი 3.7.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შესყიდვების წესი, შესყიდვების გეგმა. ხორციელდება ბაზრის კვლევა უშუალოდ შესყიდვის განხორციელების წინ. სკოლის დირექტორი 10 დეკემბრამდე ანგარიშით წარდგება სამეურვეო საბჭოს წინაშე. კალენდარული წლის ბოლოს შედგენილია ფინასური ანგარიშგების დოკუმენტი. განსაზღვრული ჰყავს ბაზრის კვლევაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც მიმართავს სკოლის დირექტორს და აცნობს მას ბაზრის კვლევის შედეგებს.

ინდიკატორი 3.7.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საპროგნოზო ბიუჯეტი
2. სამურვეო საბჭოს სხდომის ოქმი
3. სახელმწიფო შესყიდვებისწლიური გეგმის დამტკიცების შესახებ
4. კორექტირების ბრძანება

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიები უზრუნველყოფილია, როგორც მოქმედი კანონმდებლობის, ასევე სკოლი მიერ შემუშავებული რეგულაციების საფუძველზე.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას სკოლა ახდენს შინაგანაწესში გაწერილი „მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი“, „მოსწავლის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა“, სკოლაში ჩარიცხვის და სკოლიდან გადაყვანის პირობები“, „ მოსწავლის პირადი გასინჯვა“, „განცხადების და საჩივრის განხილვა“.

სკოლას ასევე დამტკიცებული აქვს ბავშვთა ძალადობის პრევენციის, იდენტიფიცირებისა და რეაგირების მექანიზმები, რომელშიც გათვალისწინებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №06/ნ ბრძანება. შესაბამისად, აღნიშნულ დოკუმენტში საუბარია მანდატურის სამსახურის ფუნქცია, მოვალეობებზე, თუმცა, ამ ეტაპზე სკოლას მანდატურის სამსახური არ ემსახურება.

სკოლაში არის დისციპლინური კომიტეტი, დამტკიცებულია დისციპლინური კომიტეტის დებულება, რომელიც საჭიროების შემთხვევაში განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის ფორმა, რომელსაც კლასების მიხედვით, განუსაზღვრელი ვადით აწერენ ხელს მშობლები. სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას მოსწავლეთა მშობლებთან, რომელშიც განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები. სკოლაში, დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის უსაფრთხოების შესახებ.

სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სასკოლო საზოგადოების ჩართულობასა და თანამონაწილეობას.

ამრიგად, სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციებით: შინაგანაწესი, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, პერსონარული მონაცემების დამუშავების თანხმობა, დისციპლინური კომიტეტის დებულება, ასევე, სსსმ მოსწავლეებისათვის სერვისების მიწოდების რეგულაციები, რომელიც მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორს დადებული ხელშეკრულებები უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას.

ინდიკატორი 4.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლამ წარმოადგინა მშობელთა კრების ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები აცნობენ მშობლებს სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, ამონარიდებს ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმიდან, ასევე უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე და მისი გაცნობის შესაძლებლობა აქვს ყველა დაინტერესებულ პირს. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მშობლებთან შეხვედრის დღეები და დრო. ასევე, მშობელს შეუძლია წინასწარი შეთანხმების გარეშე შეხვდეს კლასის დამრიგებლებს და გაეცნოს სასურველ ინფორმაციას. სკოლამ შეიმუშავა და მშობლებს გააცნო მშობლებთან ურთიერთობის დებულება, რომელშიც გაწერილია უფლებები და ურთიერთობის ფორმები. გამოცდებისა და სხვადასხვა კონკურსებისა თუ ოლიმპიადების შესახებ ინფორმაცია კლასების დამრიგებლებისა და სოციალური ქსელის მეშვეობით ეცნობებათ მოსწავლეებს და მათ წარმომადგენლებს. სკოლის დირექტორის განცხადებით, გადაწყვეტილებები, რომლებიც დაკავშირებულია მოსწავლის უფლებებთან სკოლის საქმისმწარმოებლის მიერ ეცნობება დამრიგებლებს, ხოლო დამრიგებლების მიერ მშობლებს და თუ არ შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, გამოიკვრება საინფორმაციო დაფაზე (მაგ. დებულებები, ინსტრუქციები, ოლიმპიადა, გამოცდების შესახებ ინფორმაცია, კონკურსების შესახებ ინფორმაცია და სხვა).

ინდიკატორი 4.1.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებით განსაზღრულია მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლის უფლებება-მოვალეობები.

ინდიკატორი 4.1.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი
2. მოსწავლეთა თვითმართველობის არჩენევნების შესახებ დოკუმენტაცია
3. მშობელთა კრების ოქმი
4. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას 2023 წლის 23 მაისის N1/კ-08 ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი,რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. აღნიშნული წესი განსაზღვრავს მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, მობილობის განხორციელების წესებსა და პროცედურებს, მოსწავლის უფლება-მოვალეობებს და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

ინდიკატორი 4.1.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად, ანხორციელებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს. სკოლაში მოსწავლეთა მიღება ხდება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი ნორმებისა და პროცედურების შესაბამისად. პირველკლასელთა რეგისტრაცია ხორციელდება სკოლის მიერ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, მინისტრის მიერ დადგენილი ვადებისა და ეტაპების შესაბამისად. სკოლაში მობილობა ხორციელდება ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად. სკოლა საჭიროების შემთხვევაში მიმართავს საგანმანათლებლო რესურსცენტრს განსხვავებულ ვადებში მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ. მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერება ხდება შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში. უმეტეს შემთხვევაში მშობელი სტატუსის შეჩერების მოთხოვნით სკოლას მიმართავს საზღვარგარეთ საცხოვრებლად წასვლის გამო. სტატუსის აღდგენა ხდება მშობლის განცხადების საფუძველზე. მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს.

ინდიკატორი 4.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3.სკოლაში დამრიგებელი არაუგვიანეს სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი კვირის განმავლობაში, მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. აღნიშნულის შესრულებისთვის მზაობა დასტურდება მშობელთა კრების ოქმით.. ასევე, სოციალური ქსელის საშუალებით, ხელმისაწვდომია სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალები. სკოლამ წარმოადინა მშობელთა კრების ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ მეორე უცხო ენის არჩევის საკითხი განხილული იყო მშობლებთან და არჩევანი განხორციელდა მათი ინტერესების გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა მცირეკონტიგენტიანია, სკოლაში ისწავლება 3 უცხო ენა.სკოლას ემსახურება ტრანსპორტი, რომელსაც მოსწავლეები მოჰყავს სკოლამდე და მიყავს უკან. როგორც სკოლაში ვიზიტისას აღნიშნეს, დაწყებითი კლასის მოსწავლეები ტრანსპორტის მოსვლამდე არ რჩებიან უყურადღებოდ. მათთან დამატებით მეცადინეობას ატარებენ სხვადასხვა საგნის მასწავლებლები, გვაჩვენეს ამ მეცადინეობების ჩატარების გრაფიკიც.

ინდიკატორი 4.1.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის მიერ დაგეგმილი შეთავაზებული ყველა მომსახურება თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. მშობლები სკოლაში მიმდინარე აქტივობების შესახებ ინფორმაციას იღებენ დამრიგებლებისაგან. უკვე ამოქმედდა ვებ გვერდი, სადაც იგეგმება სკოლაში მიმდინარე აქტივობების შესახებ ინფორმაციის განთავსება. სკოლის facebook -ზე განთავსებული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი. სკოლის ფოიეში გამოკრულია შინაგანაწესი. საინფორმაციო დაფაზე არის განთვსებული ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე აქტივობებისა თუ სერვისების შესახებ.

ინდიკატორი 4.1.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
2. მოსწავლის ამორიცხვის ბრძანება,
3. მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერების ბრძანება
4. მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება
5. საფეხურის დაძლევის ბრძანება

6. საფეხურის დაძლევის ოქმი
7. მშობელთა კრების ოქმი მეორე უცხო ენის არჩევის თაობაზე
შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული არ აქვს მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმის დოკუმენტი, მაგრამ აქვს ტრადიცია სასწავლო წლის ბოლოს მომავალ პირველკლასელებს მოუწყოს სკოლაში ვიზიტი, იმართება გასართობი ღონისძიება. სკოლამ წარმოადგინა აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტომასალა.სკოლის დაწყების დღეს სკოლა საზეიმო ვითარებაში აწყობს პირველი კომპიუტერის გადაცემას, ამბობენ პირველ ლექსს. საბაზო საფეხურის მოსწავლეთა ადაპტაციის მიზნით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართვას ფორმალურ და არაფორმალურ აქტივობებში, კერძოდ მოსწავლეების თანამშრომლობისა და სხვა უნარების განსავითარებლად იგეგმება ექსკურსიები, მოსწავლეების ჩართვა ხდება სასკოლო ღონისძიებებში. სკოლას აქვს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შექმნილი კლუბები, რომელიც მოსწავლეს ხდის უფრო თავდაჯერებულს და ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან,

ინდიკატორი 4.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა, სწავლის დაწყების მომენტიდან, ხელს უწყობს სასწავლო გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციას. სწავლის დაწყებამდე გათვალისწინებულია საორიენტაციო ვიზიტი სკოლაში, რომლის დროსაც მოსწავლე ეცნობა სასკოლო გარემოს, მას აწვდიან ინფორმაციას მისთვის საჭირო საორგანიზაციო საკითხების თაობაზე. მობილობის წესით, სკოლაში ახალი მოსწავლის გადმოსვლის შემთხევვაში, მოსწავლის ადაპტაციის პროცესში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება დამრიგებელს, რომელმაც ჯგუფური აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების გზით, ხელი უნდა შეუწყოს ახალი მოსწავლის კლასში ინტეგრირებას. სკოლას არ ყავს სსსმ მოსწავლე, მაგრამ აქვს მზაობა სკოლაში მოსულ მოსწავლეს შეუქმნას მისთვის ხელსაყრელი საგანმანათლებლო გარემო.

ინდიკატორი 4.2.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს განმავითარებელ შეფასებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში. სკოლის შინაგანაწესის თანახმად, სკოლის ყველა მასწავლებელი, მიუხედავად მათი დატვირთვისა, ვალდებულია სკოლაში იყოს ყოველ პარასკევს 13:00 საათიდან 17:00 საათამდე და მიაწოდოს ინფორმაცია სკოლაში მოსულ მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მათი შვილების აკადემიური მოსწრების შესახებ. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო დახმარებას, რომ გაუმჯობესოს აკადემიური მიღწევები. კლასები მცირეკონტიგენტიანია და მასწავლებლებს აქვთ საშუალება თითქმის ყველა მოსწავლესთან იმუშაონ ინდივიდუალურად. კლასის დამრიგებლებმა წარმოადგინეს ფოტომასალა, სადაც ჩანს, როგორ ეხმარებიან მოსწავლეებს , უტარებენ დამატებით მეცადინეობებს. სკოლაში არ ყოფილა მოსწავლის კლასში დატოვების ფაქტი.

ინდიკატორი 4.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. მოსწავლისათვის კანონმდებლობითა დადგენილი უფლებების რეალიზებისთვის, სკოლა ახორციელებს სრულყოფილ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. პირველკლასელთა რეგისტრაციის გამოცხადებისთანავე ინფორმაცია სოციალური ქსელისა და სკოლაში საჯარო სივრცეში განთავსების საშუალებით მშობლებს შესაძლებლობა აქვთ მეორე ეტაპისათვის დაგეგმოს დედმამიშვილის რეგისტრაცია. სკოლის პრაქტიკა ადასტურებს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები კრებებზე მოსწავლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უზიარებენ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეგულაციებს მოსწავლეების გაცდენების, გამოცდების, შემაჯამებელი დავალებების, შემაჯამებელი დავალების აღდგენის და სხვა წესის შესახებ. ასევე აცნობენ შინაგანაწესით განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს. აღნიშნული ვალდებულება დამრიგებელს ეკისრება სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად.

ინდიკატორი 4.2.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლის პრაქტიკა ადასტურებს, რომ სკოლა სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. ფუნქციონირებს კლუბები, მუსიკალური თეატრი, ჭადრაკის კლუბი, ხალხური სიმღერების შემსწავლელი წრე, მხატვრული კითხვისა და ჟურნალისტიკის წრე. ხორციელდება პროექტები,წარმოადგინეს 3 სპექტაკლი, ჩატარდა სასწავლო შემოქმედებითი კონფერენცია, სპორტული ღონისძიებები. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით ხდება გამარჯვებულის გამოვლენა. წახალისების მიზნით, მოსწავლეებს, სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობისთვის დირექტორის ბრძანებით გადაეცემათ მადლობის სიგელები. სკოლა აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა რაიონულ თუ რესპუბლიკურ კონკურსებსა თუ სპორტულ შეჯიბრებებში. სკოლის ფეხბურთის გუნდმა რაიონულ შეჯიბრში მოიპოვა I ადგილი, ხოლო რეგიონალურში II ადგილი. სკოლამ 4-ჯერ წარმატებულად მიიღო მონაწილეობა ნორჩ მკვლევართა და გამომგონებელთა კონკურსში ,,ლეონარდო და ვინჩი“, შექმნა თხილის ამგროვებელი აპარატი. მოსწავლეთა ყველა ინიციატივას მხარს უჭერს და ხელმძღვანელობს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი.

ინდიკატორი 4.2.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა უკუკავშირს, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური აქტივობებისა და შეთავაზებული სერვისის მიწოდების პროცესში. მშობელთა უკუკავშირის როლი მნიშვნელოვნად მაღალია მოსწავლის წარმატებული ადაპტაციისა და სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში, ამიტომაც სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან და ითვალისწინებს მათ მოთხოვნებს. სკოლამ წარმოადინა მშობელთა კრების ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ მეორე უცხო ენის არჩევის საკითხი განხილული იყო მშობლებთან და არჩევანი განხორციელდა მათი ინტერესების გათვალისწინებით.

ინდიკატორი 4.2.1.6. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook)
2. მშობელთა კრების ოქმები
3. კლუბების მუშაობის ამსახველი ფოტო მასალა
4. ბანერი
5. დირექტორის ბრძანება მოსწავლეთა დაჯილდოვების შესახებ.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც წამყვანი მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები მოიცავს სკოლაში მოსწავლეების პროფორიენტაციის ხელშეწყობას. სკოლა მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფს პროფესიების გაცნობას, აწყობს ვიზიტებს სოფლის მაცხოვრებლებთან, რომლების ჩართული არიან სამეწარმეო საქმიანობაში. მოსწავლეები იმყოფებოდნენ რეგიონში და გაეცნენ ღვინის წარმოების ტექნოლოგიას. ერთ ერთმა მეღვინემ სკოლას აჩუქა გურული ჯიშის ვაზი, რომელიც გაახარეს სკოლის ეზოში და შემოდგომის ზეიმზე ამ ვაზზე დაკრეფილი ყურძნით მოსწავლეები წურავენ წვენს და აკეთებენ თათარას, ავლებელ ჩურჩხელებს.IX კლასის მოსწავლეები შეხვდნენ სოფელში მაცხოვრებელ ხის ხელოსნებს და გაეცვნენ ტრადიციულ ხის დამუშავების ტექნიკას. პროექტის ფარგლებში ვიზიტი მოაწყვეს ჩაის აგრონომთან და გაეცვნენ ჩაის მოყვანის და დამუშავების ტექნოლოგიას. მიმდინარე სასწავლო წელს იგეგმება მოსწავლეებს გააცნონ თოჯინების დამზადების ტექნიკა, რასაც სამომავლოდ გამოიყენებენ სკოლაში შექმნილ თოჯინების თეატრისათვის. სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს სოფელში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების წარმოებაში, რის შემდეგაც ისინი მიწვეულნი არიან ბათუმში, გონიოს ციხეზე მიმდინარე არქეოლოგიურ გათხრებზე.

ინდიკატორი 4.2.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2.სკოლის მიერ წარმოდგენილია მშობელთა კრებების ოქმები, რომელზე დაყრდნობითაც დასტურდება, რომ კლასის/კლასების ხელმძღვანელები გეგმავენ და ატარებენ საუბრებს საბაზო საფეხურის მოსწავლეთა მშობლებთან პროფესიის არჩევასა და სწავლის პროფესიულ სასწავლებლებში გაგრძელებასთან დაკავშირებით. მოსწავლეებს აქვთ საშუალება თავად გაეცნონ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს და მიიღონ მონაწილეობა მათ მიერ ჩატარებულ მასტერკლასებში, დაუსვან მათ შეკითხვები. გასულ წელს ერთმა მოსწავლემ სწავლა გააგრძელა ჩოხატაურში, ახლად გახსნილ პროფესიულ სასწავლებელში, რომელის შესახებაც ინფორმაცია სკოლისგან მიიღო.აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს მიაწოდოს ინფორმაცია ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 4.2.2.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლა გეგმავს კვლევის ჩატარებას კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში მოსწავლეთა მხარდაჭერის პროგრამებთან დაკავშირებით. კვლევის ფარგლებში მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ წარმოადგინონ მოსაზრებები ე.წ დეფიციტურ

პროფესიებთან დაკავშირებით, ასევე მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში დამრიგებლის პასუხისმგებლობით გათვალისწინებულია კარიერული დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა.

ინდიკატორი 4.2.2. 3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.ფოტომასალა
2. პროექტი - „სასოფლო-სამეურნეო პროფესიები მევენახეობა-მეღვინეობა-მეჩაიეობა
3. სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას არ ყავს სსსმ მოსწავლე, მაგრამ აქვს შემუშავებული სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, რითაც გამოხატავს მზაობას ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურეობა გაუწიოს სკოლაში ჩარიცხულ მოსწავლეს.

ინდიკატორი 4.2.3.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2.სკოლას არ ყოლია და არც ამჟამად ყავს სსსმ მოსწავლე, მაგრამ როგორც სკოლაში ვიზიტისას მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, მასწავლებლებმა კარგად იციან როგორ გამოკვეთონ მოსწავლის საჭიროებები და მიაწოდონ მას საჭირო საგანმანათლებლო რესურსი, იზრუნონ სსსმ მოსწავლის განვითარებაზე.

ინდიკატორი 4.2.3.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია,

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას ყავს ტრანსპორტი, რომელსაც მოსწავლეები მოყავს და მიყავს დანიშნულების ადგილამდე. სატრანსპორტო მომსახურეობა ხორციელდბა შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ. მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხდება სასკოლო ექსკურსიის განხორციელების დროსაც, კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციებისა და სამინისტროს მიერ შემუშავებული რეგულაციების დაცვით.

ინდიკატორი 4.2.4.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

1. სკოლა არ ახორციელებს დამატებით (არასავალდებულო) მომსახურებას გარდა ტრანსპორტით მომსახურეობისა. შესაბამისად სატრანსპორტო მომსახურეობა არის ნებაყოფლობითი და მისაღები მშობლისათვის.

ინდიკატორი 4.2.4.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა ახორციელებს დამატებით (არასავალდებულო) ტრანსპორტით მომსახურებას, რომელიც ხორციელდება უსაფრთხოების ნორმების დაცვით. სატრანსპორტო საშუალება არის გამართული და მძღოლს აქვს წარმოდგენილი ყველა სჭირო საბუთი.

ინდიკატორი 4.2.4.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია
2. სატრანსპორტო მომსახურეობის ამსახველი ტაბელი

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი-დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია სასკოლო კურიკულუმის არსი და მისი შემადგენელი ნაწილები, მიმართებები ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სასკოლო კურიკულუმს შორის, ასევე კურიკულუმის განვითარების ეტაპები. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების პროცესში სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. სკოლას წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, შემუშავებული აქვს დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები, რომელშიც ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, მათზე დაფუძნებით განხორციელებული სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ყველა მოსწავლის შესაძლებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და განხორციელებული სასწავლო პროცესით, შეიქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო.

ინდიკატორი 2.1.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და მოტივაცია. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში სასკოლო საზოგადოების ინტერესების კვლევა არ ჩატარებულა. სკოლას ამ მხრივ ნაკლები გამოცდილება აქვს, პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, გამოიკვეთა მათი მზაობა აღნიშნული საკითხის გაუმჯობესებისთვის. კურიკულუმის შემუშავების დროს შეძლებისდაგვარად მაინც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესები. კურიკულუმში გაწერილია საინტერესო, არსებულ რეალობასა და მოსწავლეთა საჭიროებაზე გათვლილი კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც მოსწავლეთა შედეგებს გააუმჯობესებს და უფრო საინტერესოს გახდის სასწავლო პროცესს.

ინდიკატორი 2.1.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შემუშავებულია დაწყებითი კლასის ყველა საგნის მასწავლებლის აქტიური ჩართულობით. მასწავლებელი კათედრასთან თანამშრომლობით ქმნის და განავითარებს საკუთარ კურიკულუმს, რომლის საშუალებითაც აჩვენებს იმ გზას (აქტივობები, დავალებები, სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსები), რომელსაც საკუთარ მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნულ სასწავლო გეგმაში დასახული გრძელვადიანი მიზნების (საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები) მისაღწევად. ამ

ეტაპისთვის შემუშავებულია კურიკულუმის პირველადი ვერსიები, რომლის დახვეწაზე კათედრის წევრები ინტენსიურად მუშაობენ სასკოლო საზოგადოებასთან ერთად. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს კიდევ უფრო გამოიკვეთა აღნიშნული გარემოება. ერთობლივად მიმდინარეობს კურიკულუმების დახვეწაზე მუშაობა. შესაბამისად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4.სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მოცემულია ის ინსტრუმენტები, რომელთა დახმარებით მოხდება სასკოლო კურიკულუმის გაზიარება, საჯარო და ხელმისაწვდომი გახდება სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის დაწყებითი კლასების ყველა საგნის კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს გააჩნია წვდომა საგნობრივ კურიკულუმებებზე. I-VI კლასის კურიკულუმებში თემები, საკითხები, ქვეცნებები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები მაქსიმუმამდე იყოს ასახული. პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე მეტია მშობელთა ინტერესი და ჩართულობა. გარდა ამისა, სკოლას აქვს სოც. გვერდი, სადაც მუდმივად ხდება ჩატარებული ღონისძიებების გამოქვეყნება. კომპლექსური დავალებების ფარგლებში დაგეგმილი ფესტივალები, რომელიც გაწერილია კურიკულუმებში სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარების მეტ შესაძლებლობას იძლევა, გამომდინარე აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.
- დაწყებით საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სახელმწიფო ენა - საგნობრივი კურიკულუმი შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. ყველა კლასში დამუშავებულია სამიზნე ცნებები. პროცესი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვას, რადგანაც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ, ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. შემუშავებულ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის წინარე ცოდნა, წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და კომპლექსური დავალებები ეყრდნობა მოსწავლეთა და მასწავლებელთა წინარე გამოცდილებას და პრაქტიკას. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე და კომპლექსური დავალებების პირობებიდან ჩანს, რომ სკოლა იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორი 2.1.2. დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კურიკულუმის წარმოდგენილ ჩარჩოში სკოლა გვთავაზობს შუალედურ მიზნებსა და კომპლექსური დავალების იდეებს.მასწავლებლები ინტერვიუში აღნიშნავენ, რომ მათ აქვთ ამგვარი დავალებებით სწავლების პრაქტიკა, ოღონდ არცთუ მდიდარი. დაგეგმილი დავალებების სწორად განხორციელების შემთხვევაში კურიკულუმი გახდება მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა. მეოთხე კლასების ჩარჩოში მოყვანილი კომპლექსური დავალებები აგებული იყო ძველ სტანდარტზე,რაც ვიზიტისას გასწორდა. ინტერვიუებში გამოიკვეთა,რომ მომავალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმი უფრო მეტად დაიხვეწება. ყველა შესასწავლი თემის ბოლოს იგეგმება მოსწავლის პიროვნული ზრდისა და კოგნიტური უნარების განვითარებაზე ორიენტირებული დავალებების ჩაშენება,რაც ხელს შეუწყობს სამიზნე ცნებებზე ორიენტაციის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა - სკოლის მათემატიკის **დაწყებითი საფეხურის** საგნობრივი კურიკულუმი ძირითადად სასწავლო პროცესზე ორიენტირებული პროგრამაა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება ამ საგანში, წარმოდგენილია შესაბამის თემები და საკითხები. კურიკულუმების დიზაინი აგებულია იმგვარად, რომ მარტივად ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე: **მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა**. ასევე კარგი იქნება თუ დაამატებენ მე-3 მე-6 კლასში ელ. რესურსებს, Geogebra, Mathigon, WolframAplha-ს პლატფორმებიდან. ეს რესურსები უფასოა და მარტივად გამოსაყენებელი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ დოკუმენტებში თემების და შესაბამისი შუალედური მიზნების დასახელება არ ხდება ფორმალურად, ეს მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც დაზუსტდა. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ძირითადად იყენებენ სანიმუშო მატრიცებს math.ge-დან, ამ მატრიცის ბოლოში კი ინტეგრირებულია ე. წ. პოლიას მეთოდით შემუშავებული კითხვები, რომლიც ეხმარება მოსწავლეს გაიაზროს რა გამოუვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოუტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა და ა. შ. ეს კი მიუთითებს, რომ კათედრის წევრები იყენებენ მეტაკოგნაციის განვითარების სტრატეგიებს. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**

კომპიუტერული ტექნოლოგიები - კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმი წარმოდგენილია ყველა კლასში. საგნობრივი კურიკულუმი შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. ყველა კლასში დაფარულია ყველა მიმართულება.

დამუშავებულია სამიზნე ცნებები. მიუხედავად იმისა რომ კლასის საგნის კურიკულუმში არ იფარება ყველა სამიზნე ცნება, პროცესი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვას, რადგანაც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ, ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. შემუშავებულ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის წინარე ცოდნა, წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და კომპლექსური დავალებები ეყრდნობა მოსწავლეთა და მასწავლებელთა წინარე გამოცდილებას და პრაქტიკას. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე და კომპლექსური დავალებების პირობებიდან ჩანს, რომ სკოლა იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ასევე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეებს შესთავაზოს სხვადასხვა პროექტები ტექნოლოგიების მიმართულებით. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა- წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები **დაწყებით საფეხურზე უცხოურ ენაში** (პირველი და მეორე უცხოური ენა) 2023-2024 სასწავლო წლისთვის წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში შეტანილი თემატური ერთეულები და შუალედური მიზნები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. კონტექსტ-მაგალითები მოიაზრებს მოსწავლეთა წინარე ცოდნის დადგენას და ინტერესის გამოწვევის პრაქტიკულ მაგალითს. ინგლისური ენის VI კლასის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი შუალედური მიზანი: ღია ბარათის შექმნა თემაზე: ,,ჩემი ბავშვობის ფოტოსურათი''., წარმოადგენს მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინების თვალსაჩინო ნიმუშს. დავალებაში წარმოდგენილი ქვესაკითხები მიემართება გრძელვადიან, ცოდნის სამივე კატეგორიაზე მორგებულ პროცესს. შეთავაზებული რესურსები (კონტექსტ მაგალითის და მაგალითი შედარებისთვის) საინტერესო და ასაკზე მორგებულია. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებით საფეხურზე, საზოგადოებრივი მეცნიერებების ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვამ მკაფიო წარმოდგენა შეგვიქმნა. საგან "მე და საზოგადოების" ფარგლებში შექმნილი კურიკულუმის ნიმუშები აგებულია თეორიული და პრაქტიკული მახასიათებლების სრული დაცვით. იგივე შეიძლება ითქვას საგან "ჩვენი საქართველოს" ფარგლებში, V კლასის შექმნილ კურიკულუმის ჩარჩოს ნიმუშზე. რაც შეეხება VI კლასის ფარგლებში შექმნილ დოკუმენტს, აქაც ყველა გრაფა წესრიგშია და დასრულებული ფორმითაა წარმოდგენილი. ის ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგვმასა და განვითარებაზე, მასში წარმოდგენილი კომპონენტები საჭირო გრაფებშია მითითებული და იძლევა შემდგომი რევიზიისა და განვითარების კარგ საშუალებას.

შევსებულია ყველა გრაფა და იძლევა მკაფიო წარმოდგენას, როგორ ესახებათ პედაგოგებს მიმდინარე სასწავლო წელს სასწავლო პროცესის წარმართვა, კათედრაში შემავალი საგნების ფარგლებში. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - კათედრებზე შემუშავებული დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. სამიზნე ცნებები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს აზუსტებს, გამოდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგებიდან , რაც საფეხურის ბოლოს უნდა იქნეს მიღწეული. გაწერილი თემები, საკითხები, ცნებები და ქვეცნებები მოსწავლეს საგნობრივ ცოდნას აძლევს თითოეული თემიდან გამომდინარე, ხოლო გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები მოსწავლის გააქტიურებას განაპირობებს.
ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა -სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში I-IV კლასების კურიკულუმებში განსაზღვრულია სავალდებულო/სარეკომენდაციო საკითხები/თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები, ასევე, რამდენიმე კომპლექსური დავალება. მუსიკისა და ხელოვნების V-VI კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, საკითხები, რესურსები და მინიმუმ ორი კომპლექსური დავალება. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის და საჭიროებების შესაბამისად. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ წინა წლის შედეგების ანალიზის გათვალისწინებით, 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებისათვის შეიმუშავეს იმგვარი კურიკულუმები, რომლებიც მიმართული არის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისაკენ. **ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია**

2.სახელმწიფო ენა - სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის წლიური კურიკულუმები დაგეგმილია სახელმწიფო ენის საგნობრივი სტანდარტისა და გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, საგნობრივი პროგრამა იძლევა სამიზნე ცნებებამდე მისვლის საშუალებას. ხოლო თემები, საკითხები, დავალებები და სხვა დამატებითი რესურსები მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს, ორიენტირებულია მის პიროვნულ განვითარებაზე და ემსახურება ისეთი გლობალურ-ფუნქციური უნარების დახვეწას, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა და სხვ. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - სკოლის **დაწყებითი საფეხურის** წლიური კურიკულუმები დაგეგმილია მათემატიკის საგნობრივი სტანდარტისა და გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სავალდებულო თემებით, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი. I-VI კლასებში ჩანს თუ რა საგნობრივ საკითხებს, კომლექსურ დავალებებს, თემებს, ძირითად რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის და ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. ვურჩიეთ, რომ მე-4 კლასში დაამატონ ქვეცნებები. მათემატიკაში ქვეცნებათა რაოდენობა დიდია და მათი კურიკულუმში არსებობა და დამუშავება სასწავლო პროცესში განაპირობებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას.

პედაგოგთა მიერ ძირითადად გააზრებულია შედეგები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად, ჩანს კორელაცია გრძელვადიან მიზნებსა და შეფასების ინსტრუმენტებს შორის. დასტურდება საგნობრივი კურიკულუმებით, შეფასების რუბრიკებით, პედაგოგებთან გასაუბრებით. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**

კომპიუტერული ტექნოლოგიები- სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შემუშავებული კურიკულუმების ანალიზისას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საგნის კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. საგნობრივ კურიკულუმში გაწერილია ძირითადი ნაწილები. მიუხედავად იმისა რომ კლასის საგნის კურიკულუმში არ იფარება ყველა სამიზნე ცნება ინტერვიუს დროს მასწავლებელმა დაგვანახა მზაობა და აღნიშნა რომ განხორციელებს ცვლილებას და აღნიშნულს გაითვალისწინებს. შეგვიძლია ვთქვათ რომ სკოლას აქვს მზაობა და საგნის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა- 2023-2024 სასწავლო წლისთვის შემუშავებული კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ (რუსულ და ინგლისურ ენებში) კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან, რასაც მოწმობს დაგეგმილი პროექტული ტიპის დავალებები და აქტივობები. თუმცა, V-VI კლასების გერმანულ ენაში მიმდინარე წლის კურიკულუმში ბუნდოვანია, რა ფორმით მოხდება სამიზნე ცნებების თემის ფარგლებში დამუშავება, არ ჩანს პროექტული ტიპის დავალებები და მოცემული საკითხები მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის დაგროვების სურათს იძლევა . მასწავლებელთან გასაუბრების დროს და გასული სასწავლო წელს განხორციელებული კომპლექსური დავალების ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ მასწავლებელი იცნობს სასწავლო ესგ-ის გრძელვადიან მიზნებს, აქვს კომპლექსური დავალებების განხორციელების პრაქტიკა. რჩევა: დაწყებითი საფეხურის გერმანული ენის კურიკულუმის ჩარჩოზე მუშაობისას გამოიკვეთოს როგორ დამუშავდება სამიზნე ცნებები კონკრეტული თემის ფარგლებში პროექტული ტიპის/კომპლექსური დავალებების განხორციელების შემთხვევაში
ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი დოკუმენტები, ამ ინდიკატორთან მიმართებითაც მკაფიო დასკვნის საშუალებას იძლევა. საგან "მე და საზოგადოების" ფარგლებში შექმნილი კურიკულუმის ნიმუშებში, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული თითოეული კომპონენტი სწორადაა შესაბამის გრაფაში განთავსებული, ასევე საჭირო ადგილასაა წარმოდგენილი სამიზნე ცნებებიც და ძირითადი საკითხებიც. დოკუმენტ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში, მკაფიოდაა წარმოდგენილი, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. რაც შეეხება საგან "ჩვენი საქართველოს" ფარგლებში შექმნილ კურიკულუმის ნიმუშებს, მეხუთე კლასის ფარგლებში შექმნილ დოკუმენტში რამდენიმე მნიშვნელოვანი გრაფაა წარმოდგენილი და შეიძლება ითქვას, რომ მას პრაქტიკული საქმიანობისათვის მზა ფორმა უკვე აქვს. მეექვსე კლასში ასევე გაწერილია ყველა გრაფა და კომპონენტი, ასევე სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას დაგეგმილი აქტივობები. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - წარმოდგენილი კურიკულუმები სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს. გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამა იძლევა სამიზნე ცნებებამდე მისვლის საშუალებას. ხოლო თემები, საკითხები, დავალებები და სხვა დამატებითი რესურსები მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს, ორიენტირებულია მის პიროვნულ განვითარებაზე და ფუნქციური უნარების დახვეწას უწყობს ხელს. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლას, მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI კლასები) შესაბამისობაშია სტანდარტთან. დაწყებითი საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება განიხილება შუალედურ სასწავლო მიზანად. ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევი ხაზს უსვამს კომპლექსური დავალების როლს ფუნქციური უნარების გააქტიურებაში და მიიჩნევს, რომ თავისი ბუნებით ასეთი ტიპის დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, კოლაბორაციის, მოქალაქეობის და ხასიათი/ნებელობის უნარების გამომუშავებას. კომპლექსური დავალება ორიენტირებულია, არა მხოლოდ ფუნქციური უნარების გააქტიურებაზე, არამედ ხელს უწყობს მათ გაცნობიერებას, გააზრებასა და სრულყოფას. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ აღწერილობა და ვიზუალური მტკიცებულებები სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური აქტივობების განხორციელების შესახებ (სასკოლო პროექტები, ღონისძიებები, მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენები და სხვ.) უფრო ამყარებს მსჯელობას. აღნიშნულით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე, ორივე საგანში
(მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლა გეგმავს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებების დანერგვა მიიღებს სისტემურ ხასიათს, პერმანენტულად განხორციელდება შესრულებული კომპლექსური დავალებების ანალიზი/რეფლექსია და მოდიფიკაცია საჭიროების შემთხვევაში. ამ გზით მოხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების სრულყოფილად მიღწევა. მასწავლებლები თავიანთ გამოცდილებას ერთმანეთს კათედრებზე გაუზიარებენ. **ინდიკატორი2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3.სახელმწიფო ენა - წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტად კომპლექსური დავალებებია წარმოდგენილი, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მასწავლებლებს ასევე აქვთ გამოცდილება კომპლექსური დავალების ადაპტირებული ვერსიების შექმნისა და მოიყვანეს შესაბამის მაგალითებიც. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - დაწყებით საფეხურზე მათემატიკის სწავლების პროცესის შინაარსი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, კერძოდ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტები, კომპლექსური დავალების ბარათები ასახავს კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. ყველა თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას; საერთო ჯამში კურიკულუმებში, შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტად კომპლექსური დავალებებია წარმოედგენილი, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ. ასევე აქვთ გამოცდილება კმპლექსური დავალების ადაპტირებული ვერსიების შექმნისა და მოიყვანეს შესაბამის მაგალითებიც. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

კომპიუტერული ტექნოლოგიები - ინტერვიუს დროს მასწავლებელი საუბრობს დიფერენცირებულ მიდგომებზე კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლებისას. ინტერვიუს დროს მასწავლებელს მოჰყავს მაგალითები და აღნიშნავს, რომ სკოლას აქვს მზაობა განახორციელოს დიფერენცირებული მიდგომა. ასევე სკოლას აქვს მზაობა დაგეგმოს აქტივობები მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე მოახდინოს კურიკულუმის მოდიფიცირება. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა- 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოდან და გასაუბრებიდან იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული, ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება უცხოური ენის დაწყებით საფეხურზე. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. წარმოდგენილი შუალედური მიზნები კომპლექსური ბუნებისაა, ეს კი მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა და დამოკიდებულება თემის ირგვლივ. მასწავლებელს კი აქვს დავალებების მოდიფიცირების და ადაპტირების საშუალება. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ უცხოური ენის კათედრა მოსწავლეების საჭიროებებს მუდმივად ითვალისწინებს, აქტივობები და რესურსები განისაზღვრება და ადაპტირდება მათი საჭიროებებიდან გამომდინარე. ინგლისური ენის მასწავლებელმა გაგვიზიარა მეთოდი, როგორ აკეთებს უცხო ტექსტის ადაპტირებას სხვადასხვა მზაობის მოსწავლისთვის (ტექსტის დაყოფა მცირე მონაკვეთებად საჭიროების მიხედვით, უცხო სიტყვების წინასწარ მიწოდება..). **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - პედაგოგებთან გასაუბრების დროს, მათ დააფიქსირეს თავიანთი მიდგომა აღნიშნული საკითხის მიმართ და განაცხადეს, რომ პედაგოგები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში, შეისწავლან მოსწავლეთა ინდივიდუალურ ინტერესებსა და მოთხოვნებს და აძლევენ მათ საშუალებას აირჩიონ მათვის საინტერესო საკითხი, ან თუნდაც შემოქმედებითი პროდუქტი. პედაგოგების თქმით, ისინი სამომავლოდ გეგმავენ, რომ სრულად გაითვალისწინონ დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომები და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, კომპლექსური დავალებების შესრულებისას, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს მისცენ საშუალება აირჩიონ ხატვას, ძერწვასა და სხვადასხვა შემოქმედებით აქტივობას შორის. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. კომპლექსური ტიპის სამუშაო მოსწავლეს საშუალებას აძლევს ერთი და იგივე საკითხის, ერთი და იგივე სამიზნე ცნების დამუშავებისას, აირჩიოს სხვადასხვა დავალებები.**ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნების (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, ყველა სავალდებულო თემატურ ბლოკში დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები. კომპლექსური დავალებებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი , საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. ამ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუ. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენცირებას. ამ მიმართულებით სკოლის სასწავლო გეგმაში დამტკიცებულია საგნობრივი პროგრამების მეთოდიკური ორიენტირები. მკაფიოდაა გაწერილი მოსწავლეზე ორიენტირებული დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების შინაარსი. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სთავაზობენ მოსწავლეებს სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის მრავალფეროვან მეთოდებს. მასწავლებლებმა მტკიცებულებების სახით წარმოადგინეს მრავალფეროვანი რესურსები. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - ზეპირ ინტერვიუში საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლები აღნიშნავენ რომ სასწავლო პროცესში გაითვალისწინებენ დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებს. წარმოდგენილია სსსმ მოსწავლეზე მორგებული დავალების ვერსია. სკოლა აპირებს კომპლექსური დავალებების იმგვარად განხორციელებას, რომ მოსწავლეებს უფრო მეტად მიეცეთ საკუთარი აზრის, საინტერესო საკითხებთან დამოკიდებულების გამოხატვის შესაძლებლობა. ეფექტური საშუალებით გააანალიზდეს მოსწავლის სწავლის პროცესი, გამოვლინდეს მათი ძლიერი/სუსტი მხარეები, და აქედან გამომდინარე,განხორციელდეს კომპლექსური დავალებების მორგება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე,რითაც გათვალისწინებული იქნება დიფერენცირებული /ინკლუზიურ მიდგომები. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

4.სახელმწიფო ენა - სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, ასევე ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, შექმნან დავალებას მორგებული, კონკრეტული სქემები. წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუში პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს.

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა - კათედრამ **დაწყებით საფეხურზე** წარმოადგენია მიმიდნარე სემესტრიში განმავითარებელი შეფასებს რუბრიკები, სექტემბერ-ოქტომბერში დაგეგმილი თემებისა, ამატებენ რუბრიკებს ახალ თემაზე გადასვლისას. ასევე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ განმავითარებელიაქვთ შეფასების როლი სწავლის შედეგების აღწერასა და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით.
რაც შეეხება განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, წარმოადგინეს რამდენიმე ნიმუში, რუბრიკები სტანდარტის ინდიკატორების გათვალისწინებითაა აგებული. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას ესმის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების როლი, ისინი მოსწავლის შესახებ აგროვებს მონაცემთა ფართო სპექტრს, მათზე დაყრდნობის მასწავლებელს უკეთესად შეუძლია ხელი შეუწყოს მოსწავლის განვითარებას. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია**

კომპიუტერული ტექნოლოგიები- სკოლამ წარმოადგინა საგანში კომპიუტერული ტექნოლოგიები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები. ასევე ინტერვიუს დროს მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას შექმნან დავალებას მორგებული, კონკრეტული სქემები. წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუში პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა- უცხოური ენის დაწყებით საფეხურზე შეფასების სისტემა შესაბამისობაშია გრძელვადიან მიზნებთან. მიმდინარე სასწავლო წლიდან დაწესებულება გადავიდა შეფასების მეორე მოდელზე. წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების სანიმუშო რუბრიკები თემის ფარგლებში მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ინდიკატორებს. ასევე, განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუში მე-4 კლასის ინგლისურ ენაში საკითხით -კედლის გაზეთი თემაზე: Daily routines(დღის რუტინა), სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების გააზრებისკენ ორიენტირების მაგალითს წარმოადგენს. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლას აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების შემუშავებული რუბრიკების მოდელი, ამ დასკვნის საშუალება მომცა საზოგადოებრივი მეცნიერებების შემადგენელ საგნების ფარგლებში ატვირთულმა შეფასების რუბრიკის ნიმუშებმა. ამ ინდიკატორზე მსჯელობისას ასევე ვეყრდნობი პირადი გასაუბრებისას პედაგოგთა უკუკავშირს. მათი განცხადებით, მოსწავლეთა შეფასებისას, იქნება ეს განმსაზღვრელი, თუ განმავითარებელი შეფასების მოდელი, ისინი ეყრდნობიან საგნობრივ სტანდარტებში გაწერილ შეფასების ინდიკატორებს. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**

სპორტი – მოსწავლეთა ცოდნის კონსტრუირების და შეძენილი ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის განმსაზღვრელია მოსწავლის შეფასება. მასწავლებელი ითვალისწინებს სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და აქიდან გამომდინარე აკეთებს უკუკავშირს, რომელიც ძირითადად სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, უკუკავშირის გაცემა ძირითადად ვერბალურად განხორციელდა, მათ აქვთ მზაობა ახალი კურიკულუმების დანერგვის პროცესში თემების მიხედვით დააკორექტირონ უკვე არსებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები, რის შემუშავებაშიც ასევე აქტიურად იქნებიან ჩართულნი მოსწავლეებიც. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლას დოკუმენტაციის სახით წარმოდგენილი აქვს მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისი ახალი ფორმის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში. მათ საფუძველზე შესაძლებელია მსჯელობა სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ესთეტიკური აღზრდის კათედრაში შემავალი საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე უფრო ხშირად იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. შეფასება ხდება სამიზნე ცნებებთან მიმართებით. მიმდინარე სასწავლო წელს დაგეგმილი აქვთ ყველა დასამუშავებელი თემის ფარგლებში თემებთან მიმართებით შეიმუშაონ კონკრეტული რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი. წარმოდგენილი დოკუმენტების და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე.
ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლის დაწყებით საფეხურზე არსებობს განმსაზღვრელი (5-6 კლ) და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის კარგი გამოცდილება,რაც აქტიურად და მიზნობრივად არის გამოყენებული. მასწავლებლების უმრავლესობა ცდილობს სასწავლო პროცესის თანმდევი გახადოს ეფექტური უკუკავშირი და აქტიურად გამოიყენოს მის ხელთ არსებული ინსტრუმენტები,თუმცა აღნიშნავენ,რომ საჭიროა ეფექტური საკათედრო მუშაობა,რათა ქოუჩინგის პროცესში შეძენილი რუბრიკების შექმნის გამოცდილება, თანაბრად ხელმისაწვდომი გახდეს ყველასთვის და რომლითაც იხელმძღვანელებენ მომდევნო სასწავლო წელს. . პრაქტიკაში დანერგილი ჰქონდათ ძირითადად ზეპირი უკაკუკავშირი, თუმცა გეგმავენ სისტემატიური ხასიათი მისცენ წერილობით ფორმას. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**

5.სახელმწიფო ენა - სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში, კერძოდ თვითშეფასების ფორმაში წარმოდგენილი ინფორმაციის, ასევე გასაუბრების თანახმად დგინდება, რომ კათედრა ითვალისწინებს წინარე წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს დაგეგმვის პროცესში. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი კურიკულუმი ასახავს წინა წლის გამოცდილებას. კათედრას აქვს პრაქტიკა და მოტივაცია სასწავლო პროცესის პარალელურად დახვეწოს და გაამრავალფეროვნოს კურიკულუმის შინაარსი, გამომდინარე მიმდინარე პროცესებიდან. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - მათემატიკის **დაწყებითი საფეხურის** კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება მიაქციეს წავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაცია გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს. მათ კურიკულუმში დაწყებითში შეიტანეს მათ მიერ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებები. გამოთქვეს მზაობა რომ მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგების და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ და დახვეწავენ კურიკულუმებს.
ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია

კომპიუტერული ტექნოლოგიები- გადმოგზავნილი კურიკულუმიდან და ინტერვიუზე დაყრდნობით ჩანს, რომ მასწავლებლები ყურადღებას აქცევენ წინარე ცოდნას. ყოველი აქტივობა ეფუძნება წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. ინტერვიუს დროს მასწავლებელი საუბრობს დაგეგმვის პროცესში როგორ გაითვალისწინებს წინარე გამოცდილებას. საგნობრივი კურიკულუმი აგებულია იმგვარად, რომ მასში გათვალისწინებულია და თვალსაჩინოა წინარე გამოცდილება. ინდიკატორი 2.1.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

უცხოური ენა- . თვითშეფასების ფორმაში წარმოდგენილი ინფორმაციის, ასევე გასაუბრების თანახმად დგინდება, რომ კათედრა ითვალისწინებს წინარე წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს დაგეგმვის პროცესში. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი კურიკულუმი ასახავს წინა წლის გამოცდილებას. კათედრას აქვს პრაქტიკა და მოტივაცია სასწავლო პროცესის პარალელურად დახვეწოს და გაამრავალფეროვნოს კურიკულუმის შინაარსი, გამომდინარე მიმდინარე პროცესებიდან. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის თვითშეფასების ფორმაში აღწერილია პროცესი, რომ კურიკულუმის შექმნისას, ითვალისწინებენ, მოსწავლეების მზაობას და ჩატარებული აქტივობებიდან მიღებული გამოცდილების გაზიარებას. ამას პედაგოგებთან პირადი გასაუბრებისას რამდენჯერმე, საგანგებოდ გაესვა ხაზი. პედაგოგების განცხადებით, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, გათვალისწინებულ აქტივობებს გვიან გაეცნენ და თუმცა პრაქტიკული განხორციელების პროცესზე მუდმივად ანხორცილებენ დაკვირვებას და მომავალ აქტივობებსაც დიდი ინტერესით ელიან. გეოგრაფიისა და ჩვენი საქართველოს პედაგოგმა

გვაჩვენა უკვე განხორციელებული აქტივობის შედეგად, მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტი და განაცხადა, რომ გამომდინარე მოსწავლეთა მაღალი ინტერესიდან, ის ამ ტიპის აქტივობას მომავალშიც მიმართავს. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია წარმატებული გამოცდილებისა და გამოწვევების გათვალისწინება. მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასების და ანალიზის, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევების შედეგების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს კურიკულუმების შემუშავება/დახვეწა. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგიდან გამომდინარე, მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნება ყველა ის ნიუანსი, რომელიც იქნება წარმატებული შედეგის დიდი გარანტი.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა - კათედრის მიერ, მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს, რომ კათედრა კურიკულუმის ჩარჩოს დაგეგმვისას ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას, რაც გულისხმობს, რომ მასწავლებლებმა აქტიურად უნდა გამოიყენონ მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები სასწავლო პროცესში. უნდა მოხდეს კომპლექსური დავალებებით მუშაობის გაძლიერება, შედეგების განხილვა დინამიკაში, გამოკვეთილი პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა. სკოლის მიერ შემუშავებული ჩარჩო კურიკულუმებში ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) , ჩანს, რომ სკოლამ გაითვალისწინა წინა წლის გამოცდილება, სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება მოიაზრება შუალედურ სასწავლო მიზნად და მიემართება საგნების/ების სტანდარტს. კათედრასთან ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად იყვნენ/არიან ჩართულები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, წინა წლებშიც აქტიურად განუხორციელებიათ არაერთი კომპლექსური დავალება, რის საფუძველზეც აკვირდებიან მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში, მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით დაგეგმონ სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლებს აქვთ კომპლექსური დავალების შესრულების გარკვეული გამოცდილება, თუმცა, როგორც ისინი ზეპირ ინტერვიუში აღნიშნავენ, მათ ეს გამოცდილება კურიკულუმის დაგეგმვისას მხოლოდ ნაწილობრივ გაითვალისწინეს. მასწავლებლებს ყველა საგნის და კლასის კურიკულუმებში ზოგიერთ თემაზე ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები.

სკოლაში გეგმავენ, ყურადღებას გაამახვილონ იმ პრობლემურ საკითხებზე, რომელიც გამოიკვეთება უკვე განხორციელებულ დავალებებში, გააკეთონ ანალიზი პრობლემის გამომწვევი მიზეზების დასადგენად, შეიმუშაონ პრობლემების გადაჭრის გზები და ახალი აქტივობების დანერგვის პროცესში გამოცადონ განხორციელებული სტრატეგიის ეფექტიანობა. კათედრებზე და კათედრებს შორის თანამშრომლობის საფუძველზე, კომპლექსური დავალებების რეფლექსიის ანალიზის მიხედვით მოახდენენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას. .

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის I უცხოური ენის კურიკულუმის ჩარჩო;
2. დაწყებითი საფეხურის II უცხოური ენის კურიკულუმის ჩარჩო;
3. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები პირველ და მეორე უცხოურ ენაში;
4. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები პირველ და მეორე უცხოურ ენაში
5. დაწყებითი საფეხურის სახელმწიფო ენის კურიკულუმის ჩარჩოები;
6. შეფასების რუბრიკები სახელმწიფო ენაში;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სახელმწიფო ენა - საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზისა და პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე, შესაძლოა ითქვას, რომ მათ მიერ დაგეგმილ სასწავლო პროცესში გათვალისწინებული სწავლა-სწავლების პრინციპები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორიენტირებას მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე. საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემების გადაჭრის გზით. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, კონსტრუქტივისტული მიდგომების შესაბამისი რესურსებითა და სტრატეგიებით.
სკოლაში მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება სხვადასხვა ტიპის კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებები, სპორტული და ინტელექტუალურ აქტივობები, სრულდება და მომავალშიც დაგეგმილია პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას, ასევე, მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის ზრდას, უყალიბდებათ პოზიტიური დამოკიდებულებები და იზრდება მათი აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის ხარისხი.
ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა- დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში შეტანილი დავალებები, საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. კათედრამ ამის დასტურად გარდა კურიკულუმისა, გასაუბრებისას ზეპირად აღწერეს მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებიც.
მათემატიკის მასწავლებლები მიმდინარე სასწავლო პროცესში იყენებენ ელ. რესურსებს და უახლოეს პერიოდში სასურველია სრულად ასახონ კურიკულუმში რესურსების ველში. გააზრებული აქვთ, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პროცესში მასწავლებლის როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრა ამ ყველაფრის საფუძველზე ასაბუთებს, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

კომპიუტერული ტექნოლოგიები - წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა კომპლექსურ დავალებას. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე და კომპლექსური დავალებების პირობებიდან ჩანს, რომ სკოლა იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ასევე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეებს შესთავაზოს სხვადასხვა პროექტები ტექნოლოგიების მიმართულებით, ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას იძლევა. ყოველივე აღნიშნულიდან კეთდება დასკვნა რომ აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისაობაში. **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა- 2023-2024 სასწავლო წლისთვის უცხოური ენის კათედრას დაწყებითი საფეხურისთვის წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოების ანალიზში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლეების აქტიური ჩართვის საშუალებას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები არის კარგი საშუალება მოსწავლეების შინაგანი ძალების გააქტიურებისთვის და მოტივაციის ამაღლებისთვის. თუმცა, წარმოდგენილ თემებს აკლია კომპლექსური ტიპის აქტივობები/დავალებები, რათა მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით მაქსიმალურად გამოიკვეთოს. რჩევა: დაწყებითი საფეხურის პირველ და მეორე უცხოურ ენაში სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიური ჩართვის შესაძლებლობის გაზრდისთვის დაიგეგმოს მეტი პროექტული ტიპის დავალებები (კომპლექსური დავალებები) **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - სწავლის პროცესის ეფექტიანობისა და თანამშრომლობითი სწავლისთვის მოტივაცია მნიშვნელოვანია. მოსწავლე ინტერაქციაშია თანატოლებთან, გასცემს და იღებს უკუკავშირს, იზიარებს პასუხისმგებლობას, შემუშავებული კურიკულუმები მოსწავლეებისთვის პოზიტიურ სასწავლო კლიმატს ქმნის. მასში მოსწავლეებისთვის საყვარელი და საინტერესო თემები და საკითხებია გათვალისწინებული, რომელიც მოტივატორია მათი სპორტულ აქტივობებში მაღალი ჩართულობის, რაც განაპირობებს და უზრუნველხყოფს პოზიტიური თვითეფექტიანობის ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა - კათედრის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, აგრეთვე ორივე საგანში განხორციელებული სასწავლო თუ სოციალური პროექტები, მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალი საგნების ფარგლებში, წარმოდგენილი კურიკულუმის თუნდაც ერთი ნიმუში, რომლიც სრული ფორმითაა წარმოდგენილი და დასრულებულ ფორმა უკვე აქვს, მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის, რომ აღნიშნულ ინდიკატორს ზუსტი

პასუხი გაეცეს. აღნიშნულ საგნებში წარმოდგენილ კურიკულუმის ნიმუშში გაწერილია ძირითადი საგნობრივი საკითხები, კომპლექსური დავალებები და ძირითადი კონტექსტ მაგალითები, რომლებზე დაკვირვებამაც, მოგვცა იმის საშუალება განგვესაზღვრა, იძლევა თუ არა აღნიშნული დოკუმენტი, მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობის კარგ შესაძლებლობას. ინტერვიუს დროს ერთმა პედაგოგმა განაცხადა, რომ აქვს პრაქტიკული გამოცდილება, კურიკულუმში გაწერილი საგანმანათლებლო კომპონენტების სასწავლო პროცესში გამოყენების, ხოლო მეორე პედაგოგისათვის ეს პროცედურები ნაკლებად ნაცნობი აღმოჩნდა. პედაგოგებმა განაცხადეს, რომ ისინი აქტიურად განახორციელებენ კომპლექსურ დავალებებს. შემოთავაზებულ დოკუმენტაციაში, სადაც წარმოდგენილი იყო საგან "მე და საზოგადოებისა" და "ჩვენი საქართველოს", კურიკულუმის ნიმუშები, ერთ სრულად შევსებულ დოკუმენტზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მასში წარმოდგენილი კომპონენტები, როგორიცაა კომპლექსური დავალების იდეა, კონტექსტ მაგალითები ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - დაწყებით საფეხურზე როგორც მასწავლებლები აღნიშნავენ ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე ხშირად ატარებენ თემატურ მარტივ ექსპერიმენტებს საყოფაცხოვრებო უსაფრთხო ნივთიერებების და მასალების გამოყენებით. იქ, სადაც წვდომა მათთვის შეზღუდული იყო, იყენებდნენ ვირტუალურ ლაბორატორიებს და სიმულაციებს. აქედან გამომდინარე, სკოლაში არის გამოცდილება და პოტენციალი, რომ მოსწავლე ჩართონ აქტიურ შემოქმედებით პროცესში.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.სახელმწიფო ენა - სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რაც წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას. როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს, მოსწავლეები ინფორმაციის დამუშავებასა და ცოდნად გარდაქმნას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახდენენ, რაც განაპირობებს მათი შინაგანი ძალების გააქტიურებას. კომპლექსური დავალებები ისეა ფორმულირებული რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეებისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოაქვს. საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების შესრულებისას მოსწავლეებს უწევთ გადაჭრან მათთვის ნაცნობი პრობლემები, გააკეთონ ანალიზი და შექმნან საინტერესო პროდუქტი.
ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა- სასწავლო პროცესი **დაწყებით საფეხურზე** ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას მოსწავლის წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, დასტურდება კურიკულუმით, ინტერვიუს დროს ხაზგასმული სასწავლო პროექტებით, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალებით/რესურსებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლისათვის ნაცნობ კონტექსტშია განხილული, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში.

კურიკულუმის თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტები - ეს ყველაფერი ეხმარება მოსწავლეს ახალი ცოდნის კონსტრუირებაში წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.. **ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

კომპიუტერული ტექნოლოგიები - კურიკულუმში ჩანს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობრივი კურიკულუმი ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას. მასწავლებელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ თანმიმდევრულად წარმართავს სასწავლო პროცესს ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურის შედეგებისკენ. როგორც მასწავლებელმა აღნიშნა, 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები აგებული იქნება კონტექსტ მაგალითებზე დაყრდნობით, რომელიც უკავშირდება მოსწავლეთა წინარე ცოდნას და აღძრავს მათში საკითხის შესწავლის ინტერესს. რაც საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ **ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა- უცხოური ენის დაწყებითი საფეხურზე წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულ თემებსა და კომპლექსური დავალებების პირობებში ჩანს, რომ მოსწავლის წინარე ცოდნა არის გათვალისწინებული და მასზეა დაფუძნებული. აგრეთვე, თვითშეფასების ფორმაში მოცემულია ინფორმაცია, როგორ ითვალისწინებს დაწესებულება მოსწავლეთა გამოცდილებას და ცოდნას დაგეგმვის პროცესში. **ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - აღნიშნულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ამ ინდიკატორის შეფასება რთულია. თუმცა კურიკულუმის ერთ-ერთ ნიმუშში, ის კონკრეტული გრაფა, რომელიც ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და წინარე ცოდნის, შესასწავლ საკითხთან დაკავშირებას ემსახურება, უკვე შევსებულია. კურიკულუმის ჩარჩოს შესაბამის გრაფაში - "მაგალითები შედარებისთვის" პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ უკვე ცნობილი საგნობრივი საკითხები. შესაბამისად სწავლა-სწავლების პროცესში, აღნიშნულ კომპონენტებზე დაყრდნობით კარგადაა შესაძლებელი წინარე ცოდნის გააქტიურება და ნაცნობ კონტექსტებზე ახალი ცოდნის დაშენებას.**ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტირება და ახალ ცოდნამდე მიყვანა სასწავლო პროცესს ხდის უფრო საინტერესოს და მოსწავლეთა გააქტიურებას უწყობს ხელს. კომპლექსური დავალებების განხორციელების დროს ხდება შესწავლილი საკითხების წარმოჩენა, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაწყვიტოს მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, რაც სასწავლო პროცესს ხდის უფრო ეფექტიანს. **ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი. კათედრა მიზნად ისახავს კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება, ასევე კონტექსტ-მაგალითები, კომპლექსური დავალების პირობა, შინაარსი, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი და ა.შ. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში კონსტრუქტივიზმის პრინციპებს, რაც მაძლევს საფუძველს დავასკვნა, რომ მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა-სწავლების პროცესში ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - დაწყებით საფეხურზე კომპლექსური დავალებიდან ახალ კომპლექსურ დავალებამდე მასწავლებლები ძირითადად იყენებდნენ ზეპირ გამოკითხვას, თუ რა ისწავლეს მოსწავლეებმა და ა. შ. სამომავლოდ დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები გეგმავენ, რომ მოსწავლეებს შეავსებინებენ თვითშეფასების კითხვარს, სადაც მოსწავლეები დეტალურად ჩამოწერენ როგორც პოზიტიურ,ისე ნეგატიურ მიმართულებებს . შედეგებს მასწავლებლები გაითვალისწინებენ შემდგომ კომპლექსურ დავალებაში და ასევე ,მოსწავლეთა პასუხებიდან გამომდინარე, თვითონაც მოახდინენ ჩანიშვნებს. **ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3.სახელმწიფო ენა - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებელთა გასაუბრებიდან ცალსახად იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რომლის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, კომპლექსური დავალებები ისეა აგებული, რომ მოსწავლეს შეუძლია მეტაკოგნიტური უნარების გამომუშავება, რაც სამომავლოდ გაზრდის მოსწავლეთა თვითშეფასებას. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები ისეა გაწერილი, რომ ხელს უწყობს მოსწავლეებში სწავლის-სწავლის, რეფლექსიის, თვითრეგულირებადი სწავლის უნარების განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს (რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში თუ დაგეგმილი პროცესი ისე წარიმართა, როგორი მაღალი მზაობაც შეიმჩნეოდა გასაუბრებისას). კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის და დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებულ დავალების ნიმუშებში ჩანს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, მაგ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი

პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. (მაგ.კომპლექსური დავალებები: კარტოფილის მოსავლის აღება დიდი ფინანსური მოგებით, ასევე საქველმოქმედო აქცია) ინტერვიუს დროსაც მასწავლებლებმა დაადასტურეს რომ მომდევნო სასწავლო წელს პროცესი წარიმართება აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

კომპიუტერული ტექნოლოგიები - წარმოდგენილ დოკუმენტაციის და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე. მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები, რესურსები იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებით დამოუკიდებლად სწავლის საშუალებას. საგნობრივი კურიკულუმი ეფუძნება საგნობრივი სტანტადრტით გათვალისწინებულ საფეხურეობრივ მიზნებსა და შედეგებს და კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელიც, თავის მხრივ, განხორციელების პროცესში მოიაზრებს მოსწავლეთა უკუკავშირს საკუთარი სწავლის პროცესის მიმართ, კომპლექსური დავალებები მოსწავლეს სთავაზობს დამაფიქრებელ, მეტაკოგნიტურ კითხვებს, რაც ქმნის საფუძველს მოსწავლემ შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი და განსაზღვროს სამომავლო გეგმები. აღნიშნული **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა- 2023-2024 სასწავლო წლისთვის წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები უცხოურ ენაში თავის თავში მოიცავს მეტაკოგნიტურ კითხვებს, რომლებიც მოსწავლეს აფიქრებს თუ როგორ წარმართონ სწავლის პროცესი. დაგეგმონ, განახორციელონ, მიიღონ უკუკავშირი და გააუმჯობესონ მიღებული შედეგი. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის ფარგლებში სწავლის სწავლა, გააზრებულია, როგორც კომპლექსური დავალებების განხორციელების უწყვეტი პროცესი და მოსწავლეთა მხრიდან ამ პროცესის შეფასება და სამომავლოდ გათვალისწინება. კონკრეტული აქტივობები, რომელიც მეთოდიკასა და სწავლების სწავლაზე იქნებოდა ორიენტირებული კურიკულუმში არცთუ მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, თუმცა პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოკვეთეს რამდენიმე ფაქტორი და დასძინეს რომ მათ აქვთ ნაფიქრი ამაზე და აქვთ გარკვეული გამოცდილებაც. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - წარმოდგენილი კურიკულუმებიდან შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება მოსწავლის სწავლის სწავლაზე. კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლის მიერ შესრულებული დავალებები, სპორტულ აქტივობებში მონაწილეობა, მოსწავლის თვითრეფლექსიის რუბრიკები, თანატოლთა შეფასება რასაც ახალი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს კიდევ მეტად გააქტიურებს და გააჯანსაღებს ამ პროცესებს. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - კათედრის მიერ გადმოგზავნილ კურიკულუმებში სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ, რომ ყურადღებით აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მსჯელობენ, როგორ წახალისდეს სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. თუ როგორ უზრუნველყოს მასწავლებელმა მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ შეიძლება სამომავლოდ უზრუნველყოს მოსწავლეებში სწავლის, მრავალფეროვანი სტრატეგიების დაუფლება. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - დაწყებით საფეხურზე დაგეგმილია, რომ მასწავლებელი მოსწავლეებს დაუსვამს ისეთ შეკითხვებს, რომლებიც მოსწავლის მეტაკოგნიციის უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. მოსწავლეები წერილობით გასცემენ შეკითხვებზე პასუხს. ბოლოს, მოსწავლეებს, ერთი კონკრეტული კომპლექსური დავალების ფარგლებში, გაუადვილდებათ მთლიანობაში მოახდინონ საკუთარი სწავლის პროცესის გაანალიზება და გააზრება. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4.სახელმწიფო ენა - წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებელთა გასაუბრებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული), რაც აისახება საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსურ დავალებებსა და არაფორმალურ აქტივობებში. ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის გამოყენებას. შერჩეული დავალებების განხორციელებისათვის მოსწავლეს დასჭირდება, როგორც თეორიული ცოდნა, ისე პრაქტიკული უნარები, ხოლო მასწავლებლების მხრიდან უკუკავშირებისა და თვითრეფლექსურობის წახალისება ხელს შეუწყობს ბავშვებს საკუთარი სასწავლო პროფილისა და შესაძლებლობების თვითგამორკვევის გზით მეტაკოგნიტური ცნობიერების ჩამოყალიბებაში. **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა - დაწყებით საფეხურზე კათედრის მიერ არჩეული კომპლექსური დავალებების პირობები, მოითხოვს საგნობრივი საკითხის დამუშავებას, ცოდნის დადასტურებას, სწავლის სტრატეგიების ფლობას, გარკვეული პროცედურების შესრულებას, პრობლემის გადაჭრას და ცოდნის ცხოვრებისეულ კონტექსტთან დაკავშირებით შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა თავის თავში გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულობას. ასევე, ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მიმდინარე საკლასო

თუ არაფორმალურ აქტივობებში, როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

კომპიუტერული ტექნოლოგიები - სკოლის მის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც ცოდნის ამ სამი კატეგორიის გამოყენებას გულისხმობს. მასწავლებელთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სკოლას აქვთ მზაობა ასეთი ტიპის დავალებების განხორციელების, ინტერვიუს დროს მასწავლებელი საუბრობს ასევე პროექტული ბუნების მქონე დავალებებზე, რომელიც ასევე ცოდნის ამ სამი კატეგორიის გამოყენებას გულისხმობს. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა - უცხოურ ენაში დაწყებით საფეხურზე 2023-2024 სასწავლო წლისთვის წარმოდგენილ შუალედურ მიზნებში იკითხება ცოდნის სამივე კატეგორია. დეკლარაციული ცოდნა- მოსწავლის წიგნსა და სამუშაო რვეულში მოცემული დავალებები; პროცედურული- სამუშაო რვეულის დავალებები; პირობისეული ცოდნა- კომპლექსური დავალებების საბოლოო პროდუქტის შექმნა და წარდგენა. მაგალითად. მე-4 კლასში წარმოდგენილი კომპლექსური დავალება საყვარელი ცხოველის შესახებ პოსტერის მომზადება და წარდგენა, მოსწავლეებში ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას მოიაზრებს ტექსტის (პრეზენტაციის), ენობრივი საშუალებების და სამეტყველო ქმედებების ცნებების დამუშავების გზით. **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კურიკულუმის ჩარჩოს, საგნობრივი კურიკულუმებისა და პედაგოგთა პირადი ინტერვიუს უკუკავშირის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შუალედურ სასწავლო მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალება, კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - სასწავლო პროცესში მოსწავლის მიერ ხდება ინფორმაციის გაცნობა, მასალის დამუშავება არამარტო საგნობრივი საკითხებიდან გამომდინარე, არამედ სხვა წყაროებიდან, რომლებიც სასწავლო რესურსებშია ჩაშლილი და დეკლარატიულ ცოდნაზეა ორიენტირებული. სწავლის სტრატეგიების შესახებ მიღებული ცოდნა მოსწავლეს პროცედურულ ცოდნას აძლევს, ხოლო ნასწავლის მოქმედებაში გადატანა პირობისეულ ცოდნას განაპირობებს. იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი კიდევ მეტად ორიენტირებული იყოს ცოდნის სამივე კატეგორიაზე მასწავლებელს ვურჩევდი კურიკულუმებში პროექტის სახით დაემატებია თემები, რომელიც ცოდნის სამივე კატეგორიაზე კიდევ მეტად იქნებოდა ორიენტირებული.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა - ესთეტიკის კათედრის, დაწყებითი საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსურები დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების გააზრებას ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) ჭრილში. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ტყველა ქვეცნების დამუშავების პროცესში ხდება ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურება შეკითხვების და აქტივობების სახით. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლაში აღნიშნავენ, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს, ძირითად გამოწვევად რჩება ცოდნის მესამე კატეგორია - პირობისეული ცოდნის დამუშავება და გამომჟღავნება, რადგან უკავშირდება მაღალ სააზროვნო უნარებს. სამომავლოდ გეგმავენ, რომ კომპლექსური დავალებების დამუშავების პროცესში მეტი ყურადღება დაეთმობა პირობისეული ცოდნის გააქტიურებას და დამუშავებას . თუმცა დასახვეწი და გასამრავალფეროვნებელია ის მეთოდები და საშუალებები,რითაც აპირებენ სასწავლო პროცესის კონსტრუქტუვისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებას. **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

5.სახელმწიფო ენა - სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან, თვითშეფასების დოკუმენტებიდან და მასწავლებელთა გასაუბრებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და მათი განხორციელებისათვის დაგეგმილი აქტივობები ცხადად მიუთითებს ცოდნათა ორგანიზებული ურთიერთდაკავშირების მცდელობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს სხვადასხვა სასკოლო პროექტებიც, რომლებიც ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რაც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, სამომავლოდაც იგეგმება იმ უნარების განვითარება, რომელიც მნიშვნელოვნად საჭიროა რეალურ გამოწვევებთან გამკლავებისა და ღირებული პროდუქტის შექმნისათვის, ცოდნის სააზროვნო ინსტრუმენტად გარდაქმნისთვის. **ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში შეტანილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევებთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექნაზე და ა.შ. ამავდროულად მასწავლებლებს აქვთ მზაობა, მოაწყონ უფრო მეტი არაფორმალური, პროექტული და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობები, სადამრიგებლო საათზე განხორციეელონ აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას, დაკავშირებას და ა.შ. **ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობასია.**

კომპიუტერული ტექნოლოგიები - მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ აქვთ მზაობა და გეგმავენ პროექტული სწავლების გაძლიერებას ასევე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას მოახერხებენ ინტეგრირებული გაკვეთილების

ჩატარებით. ასევე 2023-2024 სასწავლო წელს სწავლა-სწავლების პროცესი დაეფუძნება კომპლექსური დავალებების განხორციელებას, რისთვისაც დავალების პირობის მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს დაჭირდება სხვადასხვა ცოდნის გამოყენება. **ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა- 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები უცხოურ ენაში ნათელ სურათს იძლევა, რამდენად მოხდება შეძენილი ცოდნის თავმოყრა დავალების პროდუქტის შექმნის და წარდგენის მიზნით. მაგალითად, მეორე კლასში დაგეგმილია კომპლექსური დავალება-დიალოგის გამართვა შესრულებული ნახატის შესახებ თემაზე: ჩემი სამეცადინო მაგიდა, კარგ მაგალითს წარმოადგენს. **ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ამ იდიკატორის სრულფასოვანი შეფასების საშუალებას იძლევა. რადგან შუალედურ სასწავლო მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალებები, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას კი ხელი ეწყობა კომპლექსური დავალებების საშუალებით, შესაბამისად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. თვითშეფასების დოკუმენტში, სკოლის წარმოამადგენლები საუბრობენ, რომ ცოდნათა ურთიერთდაკავშირება ხდება კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს, როდესაც მოსწავლეები სამიზნე ცნებებსა და საგნობრივ საკითხებს აკავშირებენ ერთმანეთთან. დაგეგმილი და განხორციელებული კომპლექსური დავალება ეხება კონკრეტულ ქვეცნებას და ქვესაკითხს, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება სამიზნე ცნებას და მონათესავე ბუნების სხვა საკითხებს, ამ კავშირების დანახვა და გააზრება კი თავისთავად გულისხმობს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ცოდნათა ურთიერთ დაკავშირებაზე ყველა მეტად ორიენტირებული კომპონენტია კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი მაგალითები შედარებისთვის. მნიშვნელოვანია ამ კომპონენტის კარგად გააზრება. **ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზების და ურთიერთდაკავშირების საშუალებას იძლევა. წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვლილი თემები, მოსწავლეს ხელს შეუწყობს საგნობრივი საკითხების გააზრებაში. ხოლო კომპლექსური დავალებები მოსწავლეს დაეხმარება

პრობლემის გადაჭრაში, გამოწვევასთან გამკლავებაში, პროდუქტის შექმნაში, სხვისი მოსაზრებების გათვალისწინებასა და ყველა გამოცდილების მობილიზებაში. **ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - კათედრის მიერ წარმოდგენილ (2023-24 სასწავლო წელი) დაწყებითი საფეხურის მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა არგუმენტად მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები საგანთა ინტეგრაცია და ცოდნის ტრანსფერი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები გეგმავენ ისეთი კომპლექსური დავალებების შემუშავებას რომელშიც მოხდება სხვა საგნის/საგნების ინტეგრირება. რადგან სკოლა არის კურიკულუმების დამუშავების პროცესში, მასწავლებლები სხვადასხვა კათედრებიდან იმსჯელებენ და შეიმუშვებენ ისეთ კომპლექსურ დავალებებს, რომელშიც მოხდება სხვადასხვა მიმართულების ინტეგრირება. **ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმი
2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში პირველ და მეორე უცხოურ ენაში;
3. მატრიცები პირველი უცხოურ ენაში;
4. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში სახელმწიფო ენაში

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სახელმწიფო ენა - სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებისა და პედაგოგებთან გასაუბრების ანალიზით გამოიკვეთა შემდეგი ხედვა: სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. მასწავლებლები გეგმავენ მკაფიოდ განსაზღვრონ გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის.დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ყოველივე ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარაგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ, რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა - დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია სამიზნე ცნებებზე, მოდელი, კანონზომიერება, ლოგიკა. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მკვდრი წარმოდგენების მნიშვნელობა, ამის კარგი მაგალითია მოსწავლეების მიერ კომპლექსური ბუნების დავალების შერულების შედეგად შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც მიმოიხილეს გასაუბრებისას. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

კომპიუტერული ტექნოლოგიები- მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით, ყველა კლასში ვერ იფარება ყველა სამიზნე ცნება, ინტერვიუს დროს მასწავლებელი აანალიზებს გასაუმჯობესებელ მხარეებსა და გამოწვევებს. სკოლას აქვს მზაობა რაც მიუთითებს იმაზე რომ სასწავლო პროცესი მომავალში უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათვისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. გამომდინარე აქედან, კეთდება დასკვნა, რომ აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენა: მესამე თაობის ესგ-ის მიხედვით სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება ასახულია უცხოური ენის მასწავლებლების მიერ შექმნილ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში. კურიკულუმში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. კომპლექსურ დავალებაში შეფასების კრიტერიუმები მიემართება ცნების მკვიდრი წარმოდგენებისკენ, მოსწავლე სხვადასხვა თემაში ამუშავებს ცნებებს, შესაბამისად ცნებებთან დაკავშირებულ ცოდნას გაითავისებს და განაზოგადებს ცნების მკვიდრი წარმოდგენების სახით. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და

მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში სავალდებულო თემებს შეესაბამება გრძელვადიანი მიზნები-ცნებები ქვეცნებები. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებითების საფეხურზე, საზოგადოებრივი მეცნიერებების წარმოამდგენელ საგნებში შექმნილ კურიკულუმებში, შესაბამის ადგილასაა წარმოდგენილი სამიზნე ცნებები. საგან "მე და საზოგადოების" ფარგლებში შექმნილი კურიკულუმის ნიმუშებში, სამიზნე ცნებები სწორადაა გაწერილი და ძირითად საკითხებთან შესაბამისობაც მკაფიოა. ისეა გაწერილი ორივე დოკუმენტი, რომ ადგილზეა ყველა სამიზნე ცნების დამუშავებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო აქტივობები. რაც შეეხება საგან "ჩვენი საქართველოს", ერთი დოკუმენტი მთლიანადაა წარმოდგენილი, შესაბამის გრაფაში შესაბამისი აქტივობებითა და კომპონენტებით. ასწავლებლების მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მასალის სიღრმისეულ გააზრებას და არა საგნობრივი საკითხების ზედაპირულ დასწავლას. საბოლოოდ, მოსწავლე თეორიულ ცოდნას ასახავს ცხოვრებისეულ კონტექსტში და ქმნის კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტს. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება. წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით და მასში გაწერილი აქტივობებით, სასაწავლო პროცესში გამოყენებული მასალა/რესურსებით და შესრულებული დავალებებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - კათედრის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირები სამიზნე ცნებებს, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), კონტექსტ მაგალითებს შორის. კომპლექსური დავალებები კი აზუსტებს სამიზნე ცნებების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, ხელს უწყობს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმები, სადაც დეტალურად არის გაწერილი სამიზნეცნებები/ ქვეცნებები და ა.შ. მცირეოდენი დაზუსტება დასჭირდათ ცნებისა და თემატური მკვიდრი წარმოდგენების გამიჯვნის მიმართულებით.კურიკულუმში გაწერილ კომპლექსური დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეები შეძლებენ სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას, შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებას და მათ მიერ შექმნილი პროდუქტების გაანალიზებას. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

2.სახელმწიფო ენა - საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებამ შედარებით უკეთ გამოკვეთა, რომ კათედრის წარმომადგენლების უმრავლესობას ესმის, რომ საგნობრივი კონტექსტები უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებელ ფასილიტატორის როლში განსაზღვრავს მოსწავლეთა უახლოესი განვითარების ზონას. მუდმივი სკაფოლდინგი და

სასწავლო პროცესში სხვადსხვა რესურსების თუ აპლიკაციების, პროგრამების გამოყენება: ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემემი, რუკები, სურათები, ილუსტრაციები, რაც ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - კურიკულუმები, ინტერვიუს დროს აღწერილი სასწავლო პროექტები, სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები, აქტივობები, ამ მასალების საფუძველზე სკოლამ დაასაბუთა, რომ **ორივე საფეხურზე** სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს (და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას"). შესაბამისად მათემატიკის საგნობრივი კონტექსტი ემსახურება მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

კომპიუტერული ტექნოლოგიები - გადმოგზავნილ კურიკულუმში მოცემულ კომპლექსურ დავალებებში მოცემული საკითხები მოსწავლის ასაკობრივი თავისებურების, ინტერესის შესაბამისია. საგნობრივი კონტექსტი ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ინტერვიუს დროს მასწავლებელი საუბრობს მის მიერ განხორციელებულ დავალებებზე საგანში კომპიუტერული ტექნოლოგიები, რომელიც ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებული.**

უცხოური ენა: საგნობრივი კონტექსტები უცხოურ ენაში ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული **თემები** წარმოადგენს მოსწავლისთვის ნაცნობ, აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რომელიც ახდენს მის შინაგანი ძალების გააქტიურებას. უზრუნველყოფს მის აქტიურ ჩართულობას რაც დავალებაზე მუშაობის პროცესში იწვევს მის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს მე-4 კლასში ინგლისურ ენაში წარმოდგენილია გასულ სასწავლო წელს შესრულებული კომპლექსური დავალება: მეგობრული წერილი უცხოელ მეგობარს ყოველდღიური საქმიანობების შესახებ. მოსწავლეების ნაშრომებში იგრძნობა მათი მოტივაცია, სიხარული და საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, რაც ადასტურებს, რომ მსგავსი შინაარსის დავალებები და აქტივობები ზრდის მიკუთვნებულობის და შინაგანი მოტივაციის ზრდის კარგ საშუალებას. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებითების საფეხურის საგან "მე და საზოგადოებისა" და „ჩვენი საქართველოს" ფარგლებში შექმნილ ერთ დოკუმენტში გათვალისწინებულია ისეთი შინაარსისა და აქტივობების შემცველი კომპლექსური დავალებები, რომლებიც საგნობრივ კონტექსტებთან ერთად ხელს შეუწყობს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კომპლექსურ დავალებაში მოაზრებულია სოციალური ხასიათის აქტივობები და ასევე თანამშრომლობაზე დაფუძნებული მუშაობის ტიპები. ვითშეფასების დოკუმენტში საუბარია, რომ სკოლის მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული, რომ სოციალურ-ემოციური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას, ამიტომ მოსწავლეებს სთავაზობენ ისეთ აქტივობებს, რომელიც ეხმარებათ დაამყარონ ურთიერთობა გარემოსთან და გარშემომყოფებთან. ამ პროცესში მასწავლებლები აკვირდებიან რამდენად გააჩნია მოსწავლეს უნარი, შეძლოს საკუთარი გრძნობების გაგება და გამოხატვა, სხვათა გრძნობების გაგება (თანაგრძნობა) და სათანადოდ რეაგირება. მნიშვნელოვანია ამ თეორიული მსჯელობის კურიკულუმის ჩარჩოებში შესაბამისი აქტივობებით გამყარება, როდესაც სკოლა დაამტკიცებს საგან "მე და საზოგადოებისა" და "ჩვენი საქართველოს" კურიკულუმის ჩარჩოს საბოლოო ვარიანტებს. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - საგნობრივი საკითხები მოსწავლის პიროვნულ და ფსიქოციალურ განვითარებას უნდა განაპირობებდეს. კურიკულუმების შემუშავებისას საგნობრივი საკითხები შერჩეულია მოსწავლის ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომელიც მოსწავლის სწავლის პროცესს ააქტიურებს და საშუალებას აძლევს ამოიცნოს თავისი თავი ძლიერი და სუსტი მხარეებით.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

ესთეტიკური აღზრდა - კათედრის მიერ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემატური ბლოკები. თემებით, კომპლექსური დავალებებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები, აგრეთვე კათედრის მიერ განხორციელებული პროექტები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ ფსიქო-სოციალურ განვითარებაზეც. ამ მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - ჩატარებული გასაუბრების შედეგად გამოვლინდა,რომ მასწავლებლები არა მხოლოდსასწავლო პროცესში,არამედ არაფორმალურ აქტივობებშიც ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურგანვითარებაზე ,დაგეგმილი

აქტივობები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები,ძლიერი და სუსტიმხარეები,მართონ საკუთარი ემოციები.მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებული აქტივობების ეფექტურობაზეც.შეიძლება ითქვას, რომ **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

3.სახელმწიფო ენა - მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთს, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარშიც იკითხება, რომ I -IV კლასებში განმავითარებელი შეფასება ხდება მესამე თაობის სასწავლო გეგმი შესაბამისად. V-VI კლასების მოსწავლების მიღწევები ფასდება განმსაზღვრელი შეფასებით. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ შეეცდებიან მრავალფეროვანი ჰოლისტური შეფასების სისტემა შეიმუშაონ. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა - შეფასების სისტემა **დაწყებით საფეხურზე** ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილი განმავითარებელი შეფასების წარმოების აღწერიდან შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსწავლეების მიერ შესასრულებელი აქტივობები ფასდება მთლიანობაში და ეძლევა შესაბამისი უკუკავშირი. მათ საშუალება აქვთ მთლიანობაში დაინახონ საკუთარი შესაძლებლობები კონკრეტულ დავალებასთან მიმართებით, გაიგონ რა აქვთ გამოსასწორებელი და იმუშაონ მის გაუმჯობესებაზე. ერთ-ერთმა პედაგოგმა პორტფოლიო წარმოადგინა ზეპირად, ანუ იმის ანალიზი თუ რამდენად მოახდინა მისმა საქმიანობამ ზეგავლენა მოსწავლის მიღწევებზე, **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია**

კომპიუტერული ტექნოლოგიები - სკოლამ გადმოაგზავნა განმსაზღვრელიდა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საგანში კომპიუტერული ტექნოლოგიები. კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი კომპლექსური დავალებებიც მოსწავლის პროგრესის ხელშემწყობი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტია. ასწავლებელთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სამომავლოდ შეფასების სისტემას უფრო დახვეწენ, რუბრიკებს მოარგებენ კონკრეტული სასწავლო თემის საკითხებს/ქვესაკითხებსა და კონტექსტ-მაგალითებს და შეავსებენ არსებულ ბაზას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას ასევე გამოიკვეთა, რომ ისინი სწორად იაზრებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მიზნებს, წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუს საფუძველზე დაყრდნობით შეიძლება შეფასდეს, რომ აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებული.**

უცხოური ენა: წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები დაწყებითი საფეხურის უცხოურ ენაში (განმსაზღვრელი და განმავითარებელი) წარმოადგენს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების საფუძველს. ასევე, გასული სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული კომპლექსური დავალებების შეფასებისთვის და შედეგების გასაზომად იყენებს SOLO ტაქსონომიას. ეს კი პირდაპირ კორელაციაშია მოსწავლის, როგორც არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის დამგროვებლის, არამედ ღირებულებების, დამოკიდებულებების, უნარების მატარებელი პიროვნების ჩამოყალიბების ხელშესაწყობად. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - აღნიშნული ინდიკატორის განსაზღვრისას ვეყრდნობით საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალი საგნების ფარგლებში წარმოდგენილ რუბრიკის ნიმუშებს და ინტერვიუს პროცესში პედაგოგთა მიერ გაცემულ პასუხებს, სადაც ისინი აცხადებდნენ, რომ შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის მიღწევებზე, ასევე არის ხელმისაწვდომი და გამჭირვალე სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - შეფასების სისტემა ფაქტობრივ ცოდნაზე უნდა იყოს ორიენტირებული და მოსწავლის პიროვნულ განვითარებას ითვალისწინებდეს. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლის აკადემიური მიღწევების დადგენას უნდა ემსახურებოდეს. სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან გამომდინარე შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ სკოლას აქვს ამ მიმართულებით მუშაობის გამოცდილება. კურიკულუმების დანერგვის პროცესში ხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების მიხედვით, რომელშიც მოსწავლის ჰოლისტური ბუნება არის გათვალისწინებული.**ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - დაწყებითი საფეხურის 2023-2024 წლის სასკოლო კურიკულუმებში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კათედრის წევრებს წარმოდგენილი აქვთ ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში, წარმოდგენილი აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები . კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარატიულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას. დაწყებით საფეხურზე კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზანს, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებენ შეფასების ორივე ფორმას და მოსწავლეს ეხმარებიან სამიზნე ცნებების გააზრებასა და მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებაში. აღნიშნული მსჯელობების საფუძველზე დაწყებით საფეხურზე შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კათედრებზე შემუშავებულია შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებთან გასაუბრების გამოიკვეთა, რომ ისინი სწორად იაზრებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მიზნებს. ასევე, იციან სოლოტაქსონომიის, როგორც

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მნიშვნელობა.განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ასახულია ცოდნის კონსტრუირების დინამიკა დეკლარატიულიდან პირობისეულ ცოდნამდე .მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების მიზნით, სხვა მრავალი ინსტრუმენტის მსგავსად, კათედრა იყენებს მოსწავლის ან წყვილის მიერ შევსებული თვითშეფასების სქემას, შემუშავებულ რუბრიკებს მოსწავლის განვითარების დინამიკის შესაფასებლად (სტანდარტის შედეგებთან მიმართებით). ამ ინსტრუმენტების გამოყენებით მასწავლებელი თვალს ადევნებს მოსწავლის განვითარების პროცესს მთელი სემესტრის განმავლობაში, იღებს ინფორმაციას მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეებისა და შესაბამისად მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია**

4.სახელმწიფო ენა - დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები შეფასებისას ეყრდნობიან სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს, ანუ შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, მართალია, მოსწავლეთა შეფასება შემოიფარგლებოდა სიტყვიერი კომენტარებით, მაგრამ ვინაიდან სკოლას აქვს შეფასების რუბრიკების შემუშავების გამოცდილება, ახალი კურიკულუმების დანერგვის პროცესში მოხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების მიხედვით (ამჟამადაც აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა რუბრიკებზე), რომელიც იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, რაც ინტერვიერების დროსაც დაადასტურეს. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა - სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დაგეგმილია შეფასების მხრივ დოკუმენტაციის დახვეწა, ამჟამად სკოლას აქვს მზაობაორივე **საფეხურზე** შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიქტური. პედაგოგებს აქვთ გააზრებული, რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და სერიოზულად უდგებიან მას. ამ დასკვნის საფუძველს გვაძლევს კურიკულუმი, მომავალი დაგეგმილი სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, ასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია**

კომპიუტერული ტექნოლოგიები -სკოლამ გადმოაგზავნა განსმაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ზოგადი ნიმუში საგანში კომპიუტერული ტექნოლოგიები. რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიან მიზნს, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური და სანდო. სკოლა გამოთქვამს მზაობას, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შემუშავდება შესაბამისი რუბრიკები, რომელიც ყველა დაგეგმილ კომპლექსურ დავალებაზე იქნება მორგებული. სკოლას აქვს მზაობა შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. აქედან გამომდინარე, კეთდება დასკვა, რომ აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებული.**

უცხოური ენა: უცხოური ენის კათედრის ანგარიშსა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან შეფასების რუბრიკებს, რათა იცოდნენ რაში და რატომ ფასდებიან. შეფასების კრიტერიუმები იქმნება კათედრაზე ერთობლივად. არის გამჭირვალე, მოსწავლეებს და მშობლებს აქვთ ინფორმაცია, როგორ ფასდებიან ისინი / მათი შვილები. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების წარმომადგენელ საგნებში, რომლებიც ისწავლება დაწყებით საფეხურზე, არის წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა მკაფიო დასკვნა. ასევე შეგვიძლია ვისარგებლოთ ინტერვიუს დროს პედაგოგთა უკუკავშირით, მათი განცხადებით შეფასების რუბრიკები იქმნება საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და წინასწარ უზიარდება სასკოლო საზოგადოების წევრებს, არის საჯარო და გამჭირვალე, ასევე ემყარება სტანდარტით გათვალისწინებულ ინდიკატორებს. ასევე სხვა საგნის ფარგლებში წარმოდგენილი ნიმუშებით. სკოლაში არსებობს შეფასების სისტემა, თუმცა მისი მკაფიობის, სანდოობისა და ობიექტურობის განსაზღვრა, წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით რთულია. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - დაწყებით საფეხურზე სპორტის მიმართულებით კურიკულუმების დანერგვის პროცესში განმსაზღვრელი და განმავთარებელი შეფასების რუბრიკების შემუშავება ხორცელდება თემების მიხედვით, რომელიც არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, რაც გასაუბრების დროსაც დაადასტურეს. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - კათედრის მიერ წარმოდგენილ რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები მიემართება სამიზნე ცნებებისკენ და კონკრეტულ დავალებაში დამუშავებულ ქვეცნებებისკენ. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს იმის შესახებ, რომ მოსწავლეებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს აცნობენ , უმარტავენ შეფასების რუბრიკებს, მშობლებს უგზავნიან ბარათებს და აცნობენ რა თემაზე უნდა იმუშაონ და რა პროდუქტი უნდა შექმნან, რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ ,შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასება (ტესტები, რუბრიკები) არის ვალიდური, შეესაბამება ესგ-ს მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. მასში ასახულია მხოლოდ ის ცოდნა და უნარი, რომლის გაზომვაც არის დაგეგმილი. მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ კათედრაზე მოქმედებს მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების ერთიანი რუბრიკები. მოცემული რუბრიკები მოიცავს შემაჯამებელ დავალებებს. სასწავლო წლის დაწყებისთანავე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აქვთ ინფორმაცია თუ რა მიზანი აქვს შეფასებას, რა ფორმით (წერითი/ზეპირი გამოცდა, ტესტირება თუ სხვ.) მოხდება შეფასება და ასევე რა შედეგი ექნება მას. ინფორმაცია მიწოდებულია ოფიციალურად ყველა მხარის პასუხსისმგებლობის გათვალისწინებით.

პროცესზე პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია**

5.სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციისმექანიზმი. მოცემული დოკუმენტაციის შესაბამისად, სკოლის დირექცია, კათედრები მუშაობენ შეფასების სისტემის შექმნაზე, შეხვედრებისას ხდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზის განხილვა. ვერიფიკაცია სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი და სწავლა-სწავლების პროცესის ძირითადი საყრდენია. ვერიფიკაცია წარმოადგენს მოსწავლის მიღწევის ანალიზის. სკოლას არჩეული აქვს მოსწავლეთა შეფასების სამკომპონენტიანი მოდელი. მოსწავლეები ძირითადად განმავითარებელი შეფასებით ფასდებიან. დაწყებით საფეხურზე მოსწალეებს განმსაზღვრელი შეფასება ეძლევათ საკლასო და შემაჯამებელი აქტივობების მიხედვით, რაც აისახება მათ სემესტრულ და წლიურ შეფასებაზე. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ კათედრებზე ხორციელდება წლიური აკადემიური შეფასების ანალიზი. კათედრაზე ხდება გამოყენებული ინსტრუმენტების მოქნილობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში მისი მოდიფიკაცია. მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე მოხდება ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება. მასწავლებელთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებით დიდია მშობელთა ჩართულობა შეფასების პროცესების დაგეგმვაში, განხორციელებაში. ასევე ისინი იყენებენ შეფასების შედეგების ანალიზს მომდენო პროცესების დასაგეგმად. **ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია**

6.სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.სკოლაში დაცულია დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებული წესები. განსაზღვრულია მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, პროექტების შენახვის წესი და ფორმა, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური. სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი. **ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში პირველ და მეორე უცხოურ ენაში;
2. განხორციელებული კომპლექსური დავალებების მატრიცები და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (დაწყებითი საფეხური);

3. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები პირველ და მეორე უცხოურ ენაში;
4. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები პირველ და მეორე უცხოურ ენაში
5. ვერიფიკაციის მექანიზმი
6. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები სახელმწიფო ენაში
7. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სახელმწიფო ენაში

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია კათედრის ყველა წევრი, საჭიროების შემთხვევაში დირექცია აძლევს მეთოდურ რეკომენდაციებს, ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება და მათი ინტერესების გათვალისწინება. პედაგოგებთან გასაუბრების დროსაც იგრძნობოდა მხარდაჭერა, ერთიანობა და გუნდურობა. ღნიშნულ ინდიკატორზე მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის სკოლის მიერ შემოთავაზებული არაერთი დოკუმენტი. მაგალითად გაკვეთილზე დასწრების უკუკავშირი. ასევე მრჩეველთა საბჭოს ოქმები. აღნიშნული დოკუმენტების გაცნობამ და ასევე პედაგოგებთან გასაუბრებამ შეგვიქმნა წარმოდგენა რომ სკოლის ფარგლებში შექმნილია თანამშრომლობითი გარემო.

ასევე დაწყებით საფეხურზე სკოლა აღნიშნავს, რომ მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი და მასში გაწერილი ისეთი საკითხები, როგორიცაა, მაგალითად, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (საჭიროების შემთხვევაში) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.

ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია.

2.დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში განსაზღვრულია თემები, თემის ფარგლებში შერჩეული საკითხები. ასევე კომპლექსური დავალებები, ძირითადი საკითხები, რომელთა საფუძველზეც სექტემბრიდან მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. კურიკულუმებში გაწერილ კომპონენტებზე დაყრდნობით, ასევე მათი საგანმანათლებლო აქტივობების სპეციფიკიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. საჭიროების შემთხვევაში სკოლა შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, წაახალისებს ინტეგრირებულ გაკვეთილებს და პროექტებში მონაწილეობას. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში, სადაც ერთწლიანი სამოქმედო გეგმაა გაწერილი, მკაფიოდაა ჩამოყალიბებული თუ რა გზით უნდა მოხდეს სასწავლო პროცესის მოსწავლეებზე ორიენტირება. გასაუბრებისას პედაგოგებმა არაერთხელ გაუსვეს ხაზი ისეთ შემთხვევას, როცა მოხდა მოსწავლეთა საგანმანათლებლო ინტერესების გათვალისწინება სამომავლო აქტივობების დაგეგმვისას.

ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია.

3.სასწავლო პროცესი დაფუძნებულია თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზე. შექმნილია მასწავლებელთა შეხვედრის ჯგუფი. ხდება სხვადასხვა კათედრის წევრ მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა. სკოლის წარმომადგენელთა განცხადებით სამომავლოდ გეგმავენ მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შეხვედრები იყოს უფრო ხშირი და შინაარსობრივი, პროდუქტიული. სკოლის ფარგლებში თანამშრომლობითი კულტურის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის შემოთავაზებული ოქმები, სადაც პედაგოგთა გაერთიანებული კოლექტივი განიხილავს სკოლის ფარგლებში გადასაწყვეტ სხვადასხვა პრობლემას. ამ საკითხზე მკაფიო წარმოდგენას ქმნის სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები - ასევე სხვადასხვა საგნობრივი კათედრის წევრ პედაგოგებთან პირადმა გასაუბრებამ.

ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია.

4.დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დისციპლინების კურიკულუმის ჩარჩოს ნიმუშების შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სხვადასხვა საგნის ფარგლებში გაწერილი კომპლექსური დავალებები, ასევე სხვა ტიპის საგანმანათლებლო აქტივობები, ატარებს ისეთ ხასიათს, რომ უზრუნველყოს საკლასო სივრცეში პოზიტიური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბება და მოსწავლეთა ჩართულობის წახალისება. მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს სკოლაში პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას.

ინდიკატორი 2.2.3.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. გასაუბრება პედაგოგებთან
2. საგნობრივი კურიკულუმის ნიმუშები
3. კათედრების სხდომის ოქმები

შეფასება:
- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.კურიკულუმების მონიტორინგი და მისი შეფასება ხორციელდება სასწავლო პროცესის განმავლობაში და ამ აქტივობის ფარგლებში აქტიურად თანამშრომლობენ საგნობრივი კათედრები და დირექციის წარმომადგენლები. ის დაგეგმვის პროცესშივეა მოაზრებული სკოლის ფარგლებში და სამ მიმართულებაზეა ორიენტირებული. სკოლის ფარგლებში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე, სკოლის ინსტიტუციურ განვითარებასა და მოსწავლეთა შედეგებისა და პროგრესის დიაგნოსტირებაზე. ღნიშნული საკითხები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული სასკოლო კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში. დოკუმენტის მიხედვით, უნდა

განხორციელდეს მონიტორინგი, თუ როგორ მიმდინარეობს პროცესები წინასწარ გაწერილი ჩარჩოს მიხედვით და ასევე რამდენად ჰქონდა დაგეგმილ აქტივობებს სასურველი და მისაღები შედეგები.

ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად, ასევე კათედრების მიხედვით მასწავლებელთა ინტერვიუერების შედეგად დგინდება, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება აღქმულია არა დასჯა-წახალისების მექანიზმებად, არამედ კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან, რასაც მოწმობს კვლევა-შეფასების სამმიმართულებიანი პროცესი:

1.მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;
2.სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის);
3.სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია

3.დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად, ასევე კათედრების მიხედვით მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად დგინდება, მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზი კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების, განხორციელებისთვის ხელისშემშლელი ფაქტორების და არსებული შესაძლებლობების იდენტიფიცირების და პრობლემების გადაჭრის გზის საშუალებაა. სკოლა ანალიზზე დაფუძნებით შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას და ასახავს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში

ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
2. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, ასევე სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე ვლინდება, რომ სასწავლო პროცესის შეფასებას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი უკავია. დაწესებულება სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას განიხილავს და შეგროვილ ინფორმაცია აგენერირებს, ეს წყაროებია: მოსწავლის შედეგები, მშობლის უკუკავშირი, სასკოლო საზოგადოებისგან მიღებული ინფორმაცია, ასევე სკოლის თვითშეფასების მიხედვით სასწავლო პროცესის კომპლექსურად შეფასების მიზნით მასწავლებლები ერთობლივად შეიმუშავებენ მონაცემთა შეგროვების ფორმას. ფორმას ექნება ცხრილის სახე, მასში შესაძლებელი იქნება მრავალფეროვანი წყაროებიდან მიღებული სხვადასხვა სახის ინფორმაციის ორგანიზებულად განთავსება. ამ ფორმით წარმოდგენა გააადვილებს მონაცემებთა ანალიზისა და მათზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანის პროცესს.

ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში, 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებსა და მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში შეფასება განხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილი იქნება თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით და სასწავლო პროცესში გათვალისწინებით. ს აგაკვეთილო პროცესების დროს ყურადღება მახვილდება მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე და შეფასების სისტემაც, შეფასების რუბრიკების სახით, ამის გათვალისწინებითაა შექმნილი.

ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია

3.მასწავლებლებთან გასაუბრებებისას მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ შეფასებისთვის გამოიყენებენ როგორც განმსაზღვრელ ასევე განმავითარებელ შეფასებას, რაც დასტურდება სკოლის მიერ მოწოდებული მომავალი წლის განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუნრიკებით, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი, რომ მოსწავლეები შეფასდებიან გრძელვადიან მიზნებზე ცნებებზე, შედეგებზე დაყრდნობით, ასევე სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმებში ასახული შუალედური(საკითხები, თემები, კომპლექსური დავალების იდეა) და გრძელვადიანი(ცნებები, შედეგები) მიზნებიდან და კურიკულუმებში ასახული სკოლის მიერ მოწოდებული კომპლექსური

დავალებების სრული(ინსტრუქციით) ნიმუშებიდან გამომდინარე (სადაც ასევე მკაფიოდ არის გამოკვეთილი თუ რის მიხედვით უნდა შეფასდეს მოსწავლე განმავითარებელი შეფასებით) ვფიქრობ, რომ მომავალ სასწავლო წელს შეფასებისას გამოყენებული იქნება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.

ინდიკატორი 2.3.2.3.დაკმაყოფილებულია.

4.მასწავლებლებთან გასაუბრებებისას მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ შეფასებისთვის გამოიყენებენ როგორც განმსაზღვრელ ასევე განმავითარებელ შეფასებას, რაც დასტურდება სკოლის მიერ მოწოდებული მომავალი წლის განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუნრიკებით, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი, რომ მოსწავლეები შეფასდებიან გრძელვადიან მიზნებზე ცნებებზე, შედეგებზე დაყრდნობით, ასევე სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმებში ასახული შუალედური(საკითხები, თემები, კომპლექსური დავალების იდეა) და გრძელვადიანი(ცნებები, შედეგები) მიზნებიდან და კურიკულუმებში ასახული სკოლის მიერ მოწოდებული კომპლექსური დავალებების სრული(ინსტრუქციით) ნიმუშებიდან გამომდინარე (სადაც ასევე მკაფიოდ არის გამოკვეთილი თუ რის მიხედვით უნდა შეფასდეს მოსწავლე განმავითარებელი შეფასებით) შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მომავალ სასწავლო წელს შეფასება განხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორი2.3.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კურიკულუმები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმიდან გამომდინარე კურიკულუმის განვითარებას მუდიმავად ახდენენ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. თუმცა ამ მხრივ მნიშვნელოვანია სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის გამოყენება, რის საფუძველზეც მოხდეს კურკულუმში ცვლილებების შეტანა მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. ასევე მიმდინარე წლის კურკულუმიდან გამომდინარე გამოკვეთილი საჭიროებები აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ახალი სასწავლო წლის ფარგლებში კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რაზეც მზაობა დაადასტურეს პედაგოგებმა. ასევე სკოლის ყველა კათედრაზე, საგნის ექსპერტებთან ერთად შემუშავდა ახალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა (რესურსი 12). სასწავლო წლის დაწყებამდე საგნობრივ კათედრებზე გადაიხედა ამ ეტაპზე შემუშავებული სასწავლო გეგმების მიხედვით განსახორციელებული სასწავლო აქტივობები, მოხდა მასწავლებელთა მიერ საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და შემუშავდა რეკომენდაციები სასკოლო სასწავლო გეგმის დასახვეწად და სასწავლო პროცესში დასანერგად. 2023-24 სასწავლო წლის განმავლობაში მოხდება უკვე დამუშავებული კურიკულუმების დანერგვა. ასევე სკოლის კათედრები გაივლიან კონსულტაციებს ექსპერტებთან და შეიმუშავებენ ერთობლივად, თუ რა სახით უნდა მოხდეს კურიკულუმების მონიტორინგი და რეფლექსია. ეტაპობრივად განხორციელდება მათი მონიტორინგი და შეფასება, აგრეთვე გადასინჯვა და რევიზია. სასწავლო წლის ბოლოს კი მოხდება რეფლექსია და ანალიზი.

ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია.

2.კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის იგეგმება კურკულუმის რევიზია/განახლება მათ შორის უკვე შექმნილი კურკულუმის ჩარჩოების, რომელშიც გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილება.

ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1.გადამუშავებული კურიკულუმი.
2.სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**
2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**
3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**
4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია სასკოლო კურიკულუმის არსი და მისი შემადგენელი ნაწილები, მიმართებები ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სასკოლო კურიკულუმს შორის, ასევე კურიკულუმის განვითარების ეტაპები. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების პროცესში სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. სკოლას წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, შემუშავებული აქვს საბაზო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები, რომელშიც ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, მათზე დაფუძნებით განხორციელებული სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ყველა მოსწავლის შესაძლებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და განხორციელებული სასწავლო პროცესით, შეიქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და მოტივაცია. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში სასკოლო საზოგადოების ინტერესების კვლევა არ

ჩატარებულა. სკოლას ამ მხრივ ნაკლები გამოცდილება აქვს, პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, გამოიკვეთა მათი მზაობა აღნიშნული საკითხის გაუმჯობესებისთვის. კურიკულუმის შემუშავების დროს შეძლებისდაგვარად მაინც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესები. კურიკულუმში გაწერილია საინტერესო, არსებულ რეალობასა და მოსწავლეთა საჭიროებაზე გათვლილი კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც მოსწავლეთა შედეგებს გააუმჯობესებს და უფრო საინტერესოს გახდის სასწავლო პროცესს.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შემუშავებულია საბაზო საფეხურის კლასის ყველა საგნის მასწავლებლის აქტიური ჩართულობით. მასწავლებელი კათედრასთან თანამშრომლობით ქმნის და განავითარებს საკუთარ კურიკულუმს, რომლის საშუალებითაც აჩვენებს იმ გზას (აქტივობები, დავალებები, სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსები), რომელსაც საკუთარ მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნულ სასწავლო გეგმაში დასახული გრძელვადიანი მიზნების (საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები) მისაღწევად. ამ ეტაპისთვის შემუშავებულია კურიკულუმის პირველადი ვერსიები, რომლის დახვეწაზე კათედრის წევრები ინტენსიურად მუშაობენ სასკოლო საზოგადოებასთან ერთად. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს კიდევ უფრო გამოიკვეთა აღნიშნული გარემოება. ერთობლივად მიმდინარეობს კურიკულუმების დახვეწაზე მუშაობა. შესაბამისად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მოცემულია ის ინსტრუმენტები, რომელთა დახმარებით მოხდება სასკოლო კურიკულუმის გაზიარება, საჯარო და ხელმისაწვდომი გახდება სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის საბაზო საფეხურის კლასების ყველა საგნის კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს გააჩნია წვდომა საგნობრივ კურიკულუმებებზე. I-VI კლასის კურიკულუმებში თემები, საკითხები, ქვეცნებები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები მაქსიმუმამდე იყოს ასახული. პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე მეტია მშობელთა ინტერესი და ჩართულობა. გარდა ამისა, სკოლას აქვს სოც. გვერდი, სადაც მუდმივად ხდება ჩატარებული ღონისძიებების გამოქვეყნება. კომპლექსური დავალებების ფარგლებში დაგეგმილი ფესტივალები, რომელიც გაწერილია კურიკულუმებში სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარების მეტ შესაძლებლობას იძლევა, გამომდინარე აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

2. საბაზო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**
2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**
3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**
4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**
5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სახელმწიფო ენა - საგნობრივი კურიკულუმი შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. ყველა კლასში დამუშავებულია სამიზნე ცნებები. პროცესი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვას, რადგანაც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ, ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. შემუშავებულ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის წინარე ცოდნა, წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და კომპლექსური დავალებები ეყრდნობა მოსწავლეთა და მასწავლებელთა წინარე გამოცდილებას და პრაქტიკას. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე და კომპლექსური დავალებების პირობებიდან ჩანს, რომ სკოლა იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - სკოლის მათემატიკის ***საბაზო*** *საფეხურის* საგნობრივი კურიკულუმი ძირითადად სასწავლო პროცესზე ორიენტირებული პროგრამაა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება მათემატიკაში. საბაზო საფეხურის წარმოდგენილი კურიკულუმის დიზაინი აგებულია იმგვარად, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა. სკოლის საბაზო საფეხურის მათემატიკის პროგრამა შექმნილია მათზე ორიენტირებით: გაწერილია წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში, ასევე მოსწავლეთა შეფასების რუბრიკებში. ამ დოკუმენტებში გრძელვადიან მიზნების დასახელება რომ არ ხდება ფორმალურად, ეს მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც დაზუსტდა. კარგი იქნება თუ დაამატებენ ყველა კლასში ელ. რესურსებს, Geogebra, Mathigon, WolframAplha-ს და ა.შ. პლატფორმებიდან. ეს რესურსები უფასოა და მარტივად გამოსაყენებლი.

კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ მეტაკოგნაციის განვითარების სტრატეგიები: მატრიცებს, რომელსაც ისინი სანიმუშოდ იყენებენ (math.ge-დან), ბოლოში ინტეგრირებული აქვთ ე.წ. პოლიას მეთოდით შემუშავებული კითხვები, რომლიც ეხმარება მოსწავლეს გაიაზროს

რა გამოუვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოუტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა და ა.შ. ინტერვიუდან გაირკვა რომ ისინი ამ მეთოდს იცნობენ და იყენებენ. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენა: უცხოური ენების (ინგლისური, რუსული და გერმანული ენები) კათედრის კურიკულუმის ჩარჩოებში და მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურის შუალედურ მიზნებს წარმოადგენს მოსწავლეთა განვითარებაზე ორიენტირება იმდენად რამდენადაც მოცემული საკითხები და თემები მიემართება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რაც სხვადასხვა უნარის განვითარებას უწყობს ხელს მოსწავლეებში და ცოდნის კონსტრუირების საუკეთესო საშუალებაა.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საბაზო საფეხურზე, საზოგადოებრივი მეცნიერებების ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვამ მკაფიო წარმოდგენა შეგვიქმნა. საგან ისტორიისა და მოქალაქეობის ფარგლებში შექმნილი კურიკულუმის ნიმუშები აგებულია თეორიული და პრაქტიკული მახასიათებლების სრული დაცვით. რაც შეეხება გეოგრაფიას, VII და VIII კლასის დოკუმენტები შევსებული და წარმოდგენილია სრულად, ყველა თეორიული და პრაქტიკული წესის დაცვით. IX კლასის კურიკულუმის ჩარჩო უნდა შეივსოს. ყველა დოკუმენტი ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგვმასა და განვითარებაზე, მასში წარმოდგენილი კომპონენტები საჭირო გრაფებშია მითითებული და იძლევა შემდგომი რევიზიისა და განვითარების კარგ საშუალებას. შევსებულია ყველა გრაფა და იძლევა მკაფიო წარმოდგენას, როგორ ესახებათ პედაგოგებს მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესის წარმართვა, კათედრაში შემავალი საგნების ფარგლებში. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - კათედრებზე შემუშავებული საბაზო საფეხურის კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას იძლევა, სამიზნე ცნებები აზუსტებს საგნის გრძელვადიან მიზნებს და გამოდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგებიდან, რომელიც მოსწავლის მიერ საფეხურის ბოლოს უნდა იქნეს მიღწეული. მოსწავლეები შესასწავლი თემებიდან, ქვეცნებებიდან შეიძენენ საგნობრივ ცოდნას , კომპლექსურ/შემაჯამებელ დავალებებში მოხდება შესწავლილი ცოდნის წარმოჩენა, რაც თავისთავად მოსწავლის მოტივაციის ამაღლებას და გააქტიურებას უწყობს ხელს. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - ესთეტიკის კათედრას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს საბაზო საფეხურის საგნობრივი (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმები, სადაც ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. ხდება სავალდებულო თემატური ბლოკების დაფარვა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში და მუსიკაში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს , რომ სკოლას უკვე დამტკიცებული აქვს გადამუშავებული კურიკულუმები, რომელიც თანხვედრაშია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ხელოვნების და მუსიკის დაწყებითი საფეხურის ახალ სტანდარტთან. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კურიკულუმის წარმოდგენილ ჩარჩოში სკოლა გვთავაზობს შუალედურ მიზნებსა და კომპლექსური დავალების იდეებს.მასწავლებლები ინტერვიუში აღნიშნავენ, რომ მათ აქვთ ამგვარი დავალებებით სწავლების პრაქტიკა, ოღონდ არცთუ

მდიდარი. დაგეგმილი დავალებების სწორად განხორციელების შემთხვევაში კურიკულუმი გახდება მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა. იყო რამდენიმე უზუსტობა კურიკულუმის ჩარჩოებში,რაც ვიზიტისას გასწორდა. ინტერვიუებში გამოიკვეთა,რომ მომავალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმი უფრო მეტად დაიხვეწება. ყველა შესასწავლი თემის ბოლოს იგეგმება მოსწავლის პიროვნული ზრდისა და კოგნიტური უნარების განვითარებაზე ორიენტირებული დავალებების ჩაშენება,რაც ხელს შეუწყობს სამიზნე ცნებებზე ორიენტაციის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

2.სახელმწიფო ენა - სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის წლიური კურიკულუმები დაგეგმილია სახელმწიფო ენის საგნობრივი სტანდარტისა და გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, საგნობრივი პროგრამა იძლევა სამიზნე ცნებებამდე მისვლის საშუალებას. ხოლო თემები, საკითხები, დავალებები და სხვა დამატებითი რესურსები მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს, ორიენტირებულია მის პიროვნულ განვითარებაზე და ემსახურება ისეთი გლობალურ-ფუნქციური უნარების დახვეწას, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა და სხვ.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა -წარმოდგენილი **საბაზო საფეხურის** წლიური საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია მათემატიკის საგნობრივი სტანდარტისა და გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სავალდებულო თემებით, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. **ვურჩიეთ, რომ დაამატონ ქვეცნებები ყველა თემაში. ქვეცნება მათემატიკის მასწავლებელს ეხმარება რომ ორიენტირება შეინარჩუნოს ძირითად ობიექტებზე, რასაც ასწავლის თემის ფარგლებში.** კარგად ჩანს თუ რა საგნობრივ საკითხებს, თემებს, ძირითად რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის და ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. კურიკულუმებში ჩანს რომელ კომლექსურ დავალებებს სთავზობენ მოსწავლელბს. შეიძლება ითქვას, სკოლის მიერ გააზრებულია შედეგები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად, დასტურდება საგნობრივ კურიკულუმით, მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტებით, პედაგოგებთან გასაუბრებით. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენა: წარმოდგენილი საბაზო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმები (VII, VIII, IX კლასები პირველ და მეორე უცხოურ ენებში) მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. ძირითადად გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად თემატური ბლოკების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული ქვეცნებები.

ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი დოკუმენტები, ამ ინდიკატორთან მიმართებითაც მკაფიო დასკვნის საშუალებას იძლევა. საგან ისტორიისა და მოქალაქეობის ფარგლებში შექმნილი კურიკულუმის ნიმუშებში, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული თითოეული კომპონენტი სწორადაა შესაბამის გრაფაში განთავსებული, ასევე საჭირო ადგილასაა წარმოდგენილი სამიზნე ცნებებიც და ძირითადი საკითხებიც. თუმცა მნიშვნელოვანია გაიწეროს სხვა კომპონენტებიც, როგორიცაა ძირითადი კონტექსტ მაგალითი და ასევე კომპლექსური დავალების იდეა. უნდა აღინიშნოს რომ წარმოდგენილი დოკუმენტი სამუშაო ვერსიას წარმოადგენს და მას დასრულებული სახე, მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა მიეცეს. დოკუმენტ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში, მკაფიოდაა წარმოდგენილი, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. რაც შეეხება საგან გეოგრაფიის ფარგლებში შექმნილ კურიკულუმის ნიმუშებს, სამიზნე ცნებებსა და ძირითად საკითხებს შორის კავშირები მკაფიოა. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - წარმოდგენილი კურიკულუმები სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს. გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამა იძლევა სამიზნე ცნებებამდე მისვლის საშუალებას. ხოლო თემები, საკითხები, დავალებები და დამატებითი რესურსები მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს, ორიენტირებულია მის პიროვნულ განვითარებაზე და ფუნქციური უნარების გააქტიურებას უწყობს ხელს.
ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.
ესთეტიკური აღზრდა - სკოლას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი საბაზო საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება VII-VIII-IX კლასები) შესაბამისობაშია სტანდარტთან. საბაზო საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება განიხილება შუალედურ სასწავლო მიზანად. ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევი ხაზს უსვამს კომპლექსური დავალების როლს ფუნქციური უნარების გააქტიურებაში და მიიჩნევს, რომ თავისი ბუნებით ასეთი ტიპის დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, კოლაბორაციის, მოქალაქეობის და ხასიათი/ნებელობის უნარების გამომუშავებას. კომპლექსური დავალება ორიენტირებულია, არა მხოლოდ ფუნქციური უნარების გააქტიურებაზე, არამედ ხელს უწყობს მათ გაცნობიერებას, გააზრებასა და სრულყოფას. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ აღწერილობა და ვიზუალური მტკიცებულებები სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური აქტივობების განხორციელების შესახებ (სასკოლო პროექტები, ღონისძიებები, მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენები და სხვ.)**ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლა გეგმავს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებების დანერგვა მიიღებს სისტემურ ხასიათს, პერმანენტულად განხორციელდება შესრულებული კომპლექსური დავალებების

ანალიზი/რეფლექსია და მოდიფიკაცია საჭიროების შემთხვევაში. ამ გზით მოხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების სრულყოფილად მიღწევა. მასწავლებლები თავიანთ გამოცდილებას ერთმანეთს კათედრებზე გაუზიარებენ.
ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

3.სახელმწიფო ენა - წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტად კომპლექსური დავალებებია წარმოდგენილი, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მასწავლებლებს ასევე აქვთ გამოცდილება კომპლექსური დავალების ადაპტირებული ვერსიების შექმნისა და მოიყვანეს შესაბამის მაგალითებიც. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა -საბაზო საფეხურზე მათემატიკის სწავლების პროცესის შინაარსი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, კერძოდ საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტები ასახავს კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. ყველა თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას; კურიკულუმებში, შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტად კომპლექსური დავალებებია წარმოდგენილი, რომელიც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები. ასევე აქვთ გამოცდილება კმპლექსური დავალების ადაპტირებული ვერსიების შექმნისა და მოიყვანეს შესაბამის მაგალითებიც. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენა: წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ კათედრა იყენებს მრავალფეროვან რესურსებს დიფერენცირებული სწავლებისთვის. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში და სთავაზობენ მოდიფიცირებულ რესურსებს/დავალებებს. მაგალითად: გამარტივებულ ტექსტს ან სავარაუდო ახალი ლექსიკური ერთეულების ჩამონათვალს ქართული თარგმანით.
ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - პედაგოგებთან გასაუბრების დროს, მათ დააფიქსირეს თავიანთი მიდგომა აღნიშნული საკითხის მიმართ და განაცხადეს, რომ პედაგოგები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში, შეისწავლიან მოსწავლეთა ინდივიდუალურ ინტერესებსა და მოთხოვნებს და აძლევენ მათ საშუალებას აირჩიონ მათვის საინტერესო საკითხი, ან თუნდაც შემოქმედებითი პროდუქტი. პედაგოგების თქმით, ისინი სამომავლოდ გეგმავენ, რომ სრულად გაითვალისწინონ დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომები და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, კომპლექსური დავალებების შესრულებისას, საბაზო საფეხურის მოსწავლეებს მისცენ საშუალება აირჩიონ მათთვის ყველაზე საინტერესო ძირითადი

საკითხი და პედაგოგები ცდილობენ აღნიშნულ საკითხებზე მოიძიონ ან შექნან კომპლექსური დავალებები, ან სხვა სახის შემოქმედებითი საგანმანათლებლო აქტივობები. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მისი საჭიროებების, ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიერ ყოველთვის ხდებოდა მოსწავლისთვის საინტერესო, მისი უნარებიდან გამომდინარე სასწავლო რესურსებისა და მასალის მიწოდება, რაც თავისთავად მოსწავლის აქტიურობას და ჩართულობას განაპირობებდა. კომპლექსური სახის დავალებები მოსწავლეს კიდევ მეტად მისცემს საშუალებას ერთი და იგივე საკითხის, ერთი და იგივე სამიზნე ცნების დამუშავების პროცესში სხვადასხვა აქტივობებით მოახდინონ ჩართვა.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.
ესთეტიკური აღზრდა - კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნების (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, ყველა სავალდებულო თემატურ ბლოკში დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები. კომპლექსური დავალებებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი , საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. ამ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუ. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენცირებას. ამ მიმართულებით სკოლის სასწავლო გეგმაში დამტკიცებულია საგნობრივი პროგრამების მეთოდიკური ორიენტირები. მკაფიოდაა გაწერილი მოსწავლეზე ორიენტირებული
დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების შინაარსი. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სთავაზობენ მოსწავლეებს სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის მრავალფეროვან მეთოდებს (მაგალითად მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში იყენებენ სხვადასხვა ვიდეო და აუდიო დამხმარე მასალას: ფილმები, ოპერა, მიუზიკლი, სასწავლო ელექტრონული რესურსი და სხვა) მასწავლებლებმა მტკიცებულებების სახით წარმოადგინეს მრავალფეროვანი რესურსები. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - ზეპირ ინტერვიუში საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლები აღნიშნავენ რომ სასწავლო პროცესში გაითვალისწინებენ დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებს. სკოლა აპირებს კომპლექსური დავალებების იმგვარად განხორციელებას, რომ მოსწავლეებს უფრო მეტად მიეცეთ საკუთარი აზრის,საინტერესო საკითხებთან დამოკიდებულების გამოხატვის შესაძლებლობა. ეფექტური საშუალებით გააანალიზდეს მოსწავლის სწავლის პროცესი, გამოვლინდეს მათი ძლიერი/სუსტი მხარეები, და აქედან გამომდინარე,განხორციელდეს კომპლექსური დავალებების მორგება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე,რითაც გათვალისწინებული იქნება დიფერენცირებული /ინკლუზიურ მიდგომები.**ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

4.სახელმწიფო ენა - სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, ასევე ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, შექმნან დავალებას მორგებული, კონკრეტული სქემები. წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუში პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა -საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი სანიმუშო შეფასების რუბრიკა ეფუძნება საგნობრივ კურიკულუმში, მოსწავლეთა შეფასების ამსახველ დოკუმენტებში გრძელვადიან მიზნებს. კათედრის წევრებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ შეფასებას სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

კათედრამ წარმოადგინა სექტემბრის თვეში მიმდინარე თემის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, როემლიც ეფუძვნება საბაზო საფეხურის მათემატიკის სტანდარტს, სტანდარტში გაწერილ ინდიკატორებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი შეფასების როლი სწავლის შედეგების აღწერასა და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით.

რაც შეეხება განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, წარმოადგინეს ცალკე ფაილად 1 ნიმუში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას ესმის განმავითარებელი შეფასების რუბრიკების როლი, ისინი მოსწავლის შესახებ აგროვებს მონაცემთა ფართო სპექტრს, მათზე დაყრდნობის მასწავლებელს უკეთესად შეუძლია ხელი შეუწყოს მოსწავლის განვითარებას. წარმოდგენილი რუბრიკებით შესაძლებელია თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკის კონტროლი და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენა: საბაზო საფეხური უცხოური ენის კათედრას წარმოდგენილი აქვს მიმდინარე სასწავლო წლისთვის შემუშავებული როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც შესაბამისობაშია გრძელვადიან მიზნებთან.

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლას აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების შემუშავებული რუბრიკების მოდელი, ამ დასკვნის საშუალება მომცა საზოგადოებრივი მეცნიერებების შემადგენელ საგნების ფარგლებში ატვირთულმა შეფასების რუბრიკის ნიმუშებმა. ონკრეტულად კი, საზოგადოებრივი მეცნიერებების ფარგლებში შექმნილმა განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშმა, რადგანაც საბაზო საფეხურზე, მსგავსი დოკუმენტი წარმოდგენილი არ ყოფილა. თუმცა ცხადია, რომ სკოლაში ამ დოკუმენტის შექმნის პრაქტიკა უკვე არსებობს. მ ინდიკატორზე მსჯელობისას ასევე ვეყრდნობი პირადი გასაუბრებისას პედაგოგთა უკუკავშირს. მათი განცხადებით, მოსწავლეთა შეფასებისას, იქნება ეს განმსაზღვრელი, თუ განმავითარებელი შეფასების მოდელი, ისინი ეყრდნობიან საგნობრივ სტანდარტებში გაწერილ შეფასების ინდიკატორებს. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - მოსწავლეთა ცოდნის კონსტრუირების და შეძენილი ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის განმსაზღვრელია მოსწავლის შეფასება. მასწავლებელი ითვალისწინებს სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს, რის მიხედვითაც ახდენს უკუკავშირს განმავითარებელი კომენტარის სახით, ხოლო შემაჯამებელი დავალების შემდეგ შედეგი ჩათვლის სახით იწერებოდა ელ.ჟურნალებში რომელიც სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, უკუკავშირის გაცემა ძირითადად ვერბალურად განხორციელდა. ახალი კურიკულუმების დანერგვის პროცესში მოხდება თემების მიხედვით განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკების შექმნა, ასევე განხორციელდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზის დაწერაც, რომელის შემუშავებაში ასევე ჩართული იქნება მოსწავლეებიც. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლას დოკუმენტაციის სახით წარმოდგენილი აქვს მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისი ახალი ფორმის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში. მათ საფუძველზე შესაძლებელია მსჯელობა სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ესთეტიკური აღზრდის კათედრაში შემავალი საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე უფრო ხშირად იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. შეფასება ხდება სამიზნე ცნებებთან მიმართებით. მიმდინარე სასწავლო წელს დაგეგმილი აქვთ ყველა დასამუშავებელი თემის ფარგლებში თემებთან მიმართებით შეიმუშაონ კონკრეტული რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლის საბაზო საფეხურზე არსებობს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის კარგი გამოცდილება,რაც აქტიურად და მიზნობრივად არის გამოყენებული. მასწავლებლების უმრავლესობა ცდილობს სასწავლო პროცესის თანმდევი გახადოს ეფექტური უკუკავშირი და აქტიურად გამოიყენოს მის ხელთ არსებული ინსტრუმენტები,თუმცა აღნიშნავენ,რომ საჭიროა ეფექტური საკათედრო მუშაობა,რათა ქოუჩინგის პროცესში შეძენილი რუბრიკების შექმნის გამოცდილება, თანაბრად ხელმისაწვდომი გახდეს ყველასთვის და რომლითაც იხელმძღვანელებენ მომდევნო სასწავლო წელს. პრაქტიკაში დანერგილი ჰქონდათ ძირითადად ზეპირი უკაკუკავშირი, თუმცა გეგმავენ სისტემატიური ხასიათი მისცენ წერილობით ფორმას. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია**

5.სახელმწიფო ენა - სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში, კერძოდ თვითშეფასების ფორმაში წარმოდგენილი ინფორმაციის, ასევე გასაუბრების თანახმად დგინდება, რომ კათედრა ითვალისწინებს წინარე წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს დაგეგმვის პროცესში. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი კურიკულუმი ასახავს წინა წლის გამოცდილებას. კათედრას აქვს პრაქტიკა და მოტივაცია სასწავლო პროცესის პარალელურად დახვეწოს და გაამრავალფეროვნოს კურიკულუმის შინაარსი, გამომდინარე მიმდინარე პროცესებიდან. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა -მათემატიკის **საბაზო საფეხურის** კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება მიაქციეს წავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაცია გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს. გამოთქვეს მზაობა რომ მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის,

რეფლექსიის შედეგების და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ და დახვეწავენ კურიკულუმებს. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენა: წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიასა და ინტერვიუს საფუძველზე, ასევე კათედრის მუშაობის ანგარიშის შესწავლისას დგინდება, რომ უცხოური ენის კათედრა იყენებს წინარე გამოცდილებას, რაც საფუძვლად უდევს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმს.
ინდიკატორი 2..1.2.5 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის თვითშეფასების ფორმაში აღწერილია პროცესი, რომ კურიკულუმის შექმნისას, ითვალისწინებენ, მოსწავლეების მზაობას და ჩატარებული აქტივობებიდან მიღებული გამოცდილების გაზიარებას. ამას პედაგოგებთან პირადი გასაუბრებისას რამდენჯერმე, საგანგებოდ გაესვა ხაზი. პედაგოგების განცხადებით, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, გათვალისწინებულ აქტივობებს გვიან გაეცნენ და თუმცა პრაქტიკული განხორციელების პროცესზე მუდმივად ანხორცილებენ დაკვირვებას და მომავალ აქტივობებსაც დიდი ინტერესით ელიან. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - წარმატებული გამოცდილება სასწავლო პროცესის დაგეგმვისას დიდ როლს თამაშობს, მასწავლებლის მიერ მიღწეული წარმატებული შედეგი, რომელიც რაიმე მეთოდისა თუ ხერხის საშუალებით იქნა მიღწეული, ასევე შეიძლება გათვალისწინებული იყოს სასკოლო თუ რაიონული სპორტული ღონისძიებების შედეგად მიღებული გამოცდილება, გათვალისწინებული უნდა იყოს სასწავლო პროცესის თუ კურიკულუმების შემუშავების დროს, რაზეც პედაგოგებმა გამოთქვეს სრული მზაობა და ახალი სასწავლო წლიდან მაქსიმალურად იქნება ყველა ნიუანსი გათვალისწინებული და გამოყენებული. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - კათედრის მიერ, მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს, რომ კათედრა კურიკულუმის ჩარჩოს დაგეგმვისას ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას, რაც გულისხმობს, რომ მასწავლებლებმა აქტიურად უნდა გამოიყენონ მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები სასწავლო პროცესში. უნდა მოხდეს კომპლექსური დავალებებით მუშაობის გაძლიერება, შედეგების განხილვა დინამიკაში, გამოკვეთილი პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა. სკოლის მიერ შემუშავებული ჩარჩო კურიკულუმებში ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) , ჩანს, რომ სკოლამ გაითვალისწინა წინა წლის გამოცდილება, სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება მოიაზრება შუალედურ სასწავლო მიზნად და მიემართება საგნის/ების სტანდარტს. კათედრასთან ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად იყვნენ/არიან ჩართულები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, წინა წლებშიც აქტიურად განუხორციელებიათ არაერთი კომპლექსური დავალება, რის საფუძველზეც აკვირდებიან მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში, მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით დაგეგმონ სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლებს აქვთ კომპლექსური დავალების შესრულების გარკვეული გამოცდილება, თუმცა, როგორც ისინი ზეპირ ინტერვიუში აღნიშნავენ, მათ ეს გამოცდილება კურიკულუმის დაგეგმვისას მხოლოდ ნაწილობრივ გაითვალისწინეს. მასწავლებლებს ყველა საგნის და კლასის კურიკულუმებში ზოგიერთ თემაზე ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები.
სკოლაში გეგმავენ, ყურადღებას გაამახვილონ იმ პრობლემურ საკითხებზე, რომელიც გამოიკვეთება უკვე განხორციელებულ დავალებებში, გააკეთონ ანალიზი პრობლემის გამომწვევი მიზეზების დასადგენად, შეიმუშაონ პრობლემების გადაჭრის გზები და ახალი აქტივობების დანერგვის პროცესში გამოცადონ განხორციელებული სტრატეგიის ეფექტიანობა. კათედრებზე და კათედრებს შორის თანამშრომლობის საფუძველზე, კომპლექსური დავალებების რეფლექსიის ანალიზის მიხედვით მოახდენენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას. .

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
2. საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები პირველ და მეორე უცხოურ ენაში;
3. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები პირველ და მეორე უცხოურ ენაში (საბაზო საფეხური);
4. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები პირველ და მეორე უცხოურ ენაში (საბაზო საფეხური);
5. საბაზო საფეხურის სახელმწიფო ენის კურიკულუმის ჩარჩოები;
6. შეფასების რუბრიკები სახელმწიფო ენაში;

შეფასება:
- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. **კურიკულუმის განხორციელება**

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**
2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**
3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**
4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**
5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სახელმწიფო ენა - საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზისა და პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე, შესაძლოა ითქვას, რომ მათ მიერ დაგეგმილ სასწავლო პროცესში გათვალისწინებული სწავლა-სწავლების პრინციპები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორიენტირებას მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე. საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემების გადაჭრის გზით. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, კონსტრუქტივისტული მიდგომების შესაბამისი რესურსებითა და სტრატეგიებით.
სკოლაში მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება სხვადასხვა ტიპის კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებები, სპორტული და ინტელექტუალურ აქტივობები, სრულდება და მომავალშიც დაგეგმილია პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას, ასევე, მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის ზრდას, უყალიბდებათ პოზიტიური დამოკიდებულებები და იზრდება მათი აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის ხარისხი.
ინდიკატორი 2.2.1.1 სრულად დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა - საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში შეტანილი კომპლექსური დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. კათედრამ ამის დასტურად გარდა კურიკულუმისა, გასაუბრებისას ზეპირად აღწერეს მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებიც. მათემატიკის მასწავლებლები მიმდინარე სასწავლო პროცესში იყენებენ ელ. რესურსებს და უახლოეს პერიოდში სასურველია სრულად ასახონ კურიკულუმში რესურსების ველში. გააზრებული აქვთ, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პროცესში მასწავლებლის როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრა ამ ყველაფრის საფუძველზე ასაბუთებს, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენა: უცხოური ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი განხორციელებული სასწავლო პროექტები ინგლისურ ენაში საბაზო საფეხურზე ცხადყოფს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. მე-8 კლასში განხორციელებულ პროექტის გეგმაში (Healthy food) აღწერილია რამდენად მრავალმხრივად, შემოქმედებითად იყო დაგეგმილი და შესრულებული პროექტი. მოსწავლეებმა მოამზადეს კითხვარი, გამოკითხეს თანატოლები, დაამუშავეს ინფორმაცია, მოიძიეს და საინფორმაციო ბუკლეტებში ასახეს ჯანსაღი კვების წესების ჩამონათვალი, გააფორმეს ხელნაკეთი ბროშურები და დაარიგეს თანატოლებში. **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალი საგნების ფარგლებში (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა), წარმოდგენილი კურიკულუმის თუნდაც ერთი ნიმუში, რომლიც სრული ფორმითაა წარმოდგენილი და დასრულებულ ფორმა უკვე აქვს, მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის, რომ აღნიშნულ ინდიკატორს ზუსტი პასუხი გაეცეს. აღნიშნულ საგნებში წარმოდგენილ კურიკულუმის ნიმუშში გაწერილია ძირითადი საგნობრივი საკითხები, კომპლექსური დავალებები და ძირითადი კონტექსტ მაგალითები, რომლებზე დაკვირვებამაც, მოგვცა იმის საშუალება განგვესაზღვრა, იძლევა თუ არა აღნიშნული დოკუმენტი, მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობის კარგ შესაძლებლობას. ინტერვიუს დროს ერთმა პედაგოგმა განაცხადა, რომ აქვს პრაქტიკული გამოცდილება, კურიკულუმში გაწერილი საგანმანათლებლო კომპონენტების სასწავლო პროცესში გამოყენების, ხოლო მეორე პედაგოგისათვის ეს პროცედურები ნაკლებად ნაცნობი აღმოჩნდა. პედაგოგებმა განაცხადეს, რომ ისინი აქტიურად განახორციელებენ კომპლექსურ დავალებებს. შემოთავაზებულ დოკუმენტაციაში, სადაც წარმოდგენილი იყო საგან ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის კურიკულუმის ნიმუშები, სრულად შევსებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მასში წარმოდგენილი კომპონენტები, როგორიცაა კომპლექსური დავალების იდეა, კონტექსტ მაგალითები ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - კათედრის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები მოსწავლეების ინტერესებზე, საჭიროებებზე და შესაძლებლობებზეა მორგებული, რაც თავისთავად მოსწავლეებისთვის პოზიტიურ კლიმატს ქმნის და მათი სპორტულ აქტივობებში, ფესტივალებში და სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში მაღალ ჩართულობას განაპირობებს, რაც ასევე უზრუნველყოფს პოზიტიური თვითეფექტიანობის ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი 2.2.1.1 სრულად დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა - კათედრის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, აგრეთვე ორივე საგანში განხორციელებული სასწავლო თუ სოციალური პროექტები, მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის

გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორი 2.2.1.1 სრულად დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბაზო საფეხურზე როგორც მასწავლებლები აღნიშნავენ ბუნებისმეტყველების მიმართულების გაკვეთილებზე ხშირად ატარებენ თემატურ მარტივ ექსპერიმენტებს საყოფაცხოვრებო უსაფრთხო ნივთიერებების და მასალების გამოყენებით. ლაბორატორიის შესაძლებლობები საკმაოდ მწირია,ამიტომ უპირატესად იყენებენ ვირტუალურ ლაბორატორიებს და სიმულაციებს. მასწავლებლები სწორად აღნიშნავენ ამ მიდგომის ეფექტურობას,განსაკუთრებით შეზღუდული წვდომისა და ექსტრემალური პირობებისათვის.აქედან გამომდინარე, სკოლაში არის გამოცდილება და პოტენციალი, რომ მოსწავლე ჩართონ აქტიურ შემოქმედებით პროცესში. **ინდიკატორი 2.2.1.1 სრულად დაკმაყოფილებულია.**

2.სახელმწიფო ენა - სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რაც წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას. როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს, მოსწავლეები ინფორმაციის დამუშავებასა და ცოდნად გარდაქმნას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახდენენ, რაც განაპირობებს მათი შინაგანი ძალების გააქტიურებას. კომპლექსური დავალებები ისეა ფორმულირებული რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეებისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოაქვს. საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების შესრულებისას მოსწავლეებს უწევთ გადაჭრან მათთვის ნაცნობი პრობლემები, გააკეთონ ანალიზი და შექმნან საინტერესო პროდუქტი.
ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა - საბაზო საფეხურზე კურიკულუმებში კარგადაა გაწერილი თემებისა და საკითხების თანმიმდევრობა, რაც ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე ახლის დაშენების შესაძლებლობას. შესატანად შერჩეული კომპლექსურ დავალებებში განსახორციელებელი ნაბიჯები ასახავს ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას. აღნიშნული პროცესების დასტურად ინტერვიუში მასწავლებელთა მიერ განხილული თემის დამუშავების სტრატეგიებია. კურიკულუმის თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტები - ეს ყველაფერი ეხმარება მოსწავლეს ახალი ცოდნის კონსტრუირებაში წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი2.2.1.2. დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენა: კათედრის წევრების გამოკითხვის შედეგად და გასული სასწავლო წლის შემაჯამებელი დავალებების ანალიზით დგინდება, რომ მასწავლებელი ეყრდნობა მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას, რაც უზრუნველყოფს ახალი ცოდნის მარტივად და მოსწავლისთვის საინტერესო კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - აღნიშნულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ამ ინდიკატორის შეფასება რთულია. თუმცა კურიკულუმის რამდენიმე ნიმუშში, ის კონკრეტული გრაფა, რომელიც ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და წინარე ცოდნის, შესასწავლ საკითხთან დაკავშირებას ემსახურება, უკვე შევსებულია. კურიკულუმის ჩარჩოს შესაბამის გრაფაში - "მაგალითები შედარებისთვის" პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ უკვე ცნობილი საგნობრივი საკითხები. შესაბამისად სწავლა-სწავლების პროცესში, აღნიშნულ კომპონენტებზე დაყრდნობით კარგადაა შესაძლებელი წინარე ცოდნის გააქტიურება და ნაცნობ კონტექსტებზე ახალი ცოდნის დაშენება. **ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტირება და ახალ ცოდნამდე მიყვანა სასწავლო პროცესს საინტერესოს ხდის, რაც მოსწავლეთა გააქტიურებას განაპირობებს. კომპლექსური დავალებების, სპორტული აქტივობების, ფესტივალის თუ პროექტული სწავლების დროს გათვალისწინებული მასალა, წინარე ცოდნაზე და გამოცდილებაზეა დაფუძნებული, ხოლო შესწავლილი საკითხების წარმოჩენა მოსწავლეს საშუალებას აძლევს შექმნას საინტერესო პროდუქტი, რაც სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებას მიუახლოვებს. **ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი. კათედრა მიზნად ისახავს კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება, ასევე კონტექსტ-მაგალითები, კომპლექსური დავალების პირობა, შინაარსი, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი და ა.შ. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში კონსტრუქტივიზმის პრინციპებს. **ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბაზო საფეხურზე კომპლექსური დავალებიდან ახალ კომპლექსურ დავალებამდე მასწავლებლები ძირითადად იყენებდნენ ზეპირ გამოკითხვას, თუ რა ისწავლეს მოსწავლეებმა და ა. შ. სამომავლოდ დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები გეგმავენ, რომ მოსწავლეებს შეავსებინებენ თვითშეფასების კითხვარს, სადაც მოსწავლეები დეტალურად ჩამოწერენ როგორც პოზიტიურ,ისე ნეგატიურ მიმართულებებს . შედეგებს მასწავლებლები გაითვალისწინებენ შემდგომ კომპლექსურ დავალებაში და ასევე, მოსწავლეთა პასუხებიდან გამომდინარე, თვითონაც მოახდინენ ჩანიშვნებს. **ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3.სახელმწიფო ენა - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებელთა გასაუბრებიდან ცალსახად იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რომლის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და

ღირებულებები, კომპლექსური დავალებები ისეა აგებული, რომ მოსწავლეს შეუძლია მეტაკოგნიტური უნარების გამომუშავება, რაც სამომავლოდ გაზრდის მოსწავლეთა თვითშეფასებას. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები ისეა გაწერილი, რომ ხელს უწყობს მოსწავლეებში სწავლის-სწავლის, რეფლექსიის, თვითრეგულირებადი სწავლის უნარების განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - საბაზო საფეხურზე ინტერვიუს დროს ხაზი გაესვა, რომ სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას. მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე, ამ ეტაპზე ზეპირსიტყვიერად წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა: საფეხურის ფარგლებში შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები როგორც პირველ, ასევე მეორე უცხოურ ენაში თავის თავში მოიცავს მეტაკოგნიტურ კითხვებს, რომლებიც აფიქრებს მოსწავლეების თუ როგორ წარმართონ სწავლის პროცესი ეფექტურად და ეფექტიანად. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის ფარგლებში სწავლის სწავლა, გააზრებულია, როგორც კომპლექსური დავალებების განხორციელების უწყვეტი პროცესი და მოსწავლეთა მხრიდან ამ პროცესის შეფასება და სამომავლოდ გათვალისწინება. კონკრეტული აქტივობები, რომელიც მეთოდიკასა და სწავლების სწავლაზე იქნებოდა ორიენტირებული კურიკულუმში არცთუ მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, თუმცა პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოკვეთეს რამდენიმე ფაქტორი და დასძინეს რომ მათ აქვთ ნაფიქრი ამაზე და აქვთ გარკვეული გამოცდილებაც. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - წარმოდგენილი კურიკულუმებიდან შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება მოსწავლის სწავლის სწავლაზე. მოსწავლის მიერ შესრულებული დავალებები, სპორტულ აქტივობებში მონაწილეობა, მოსწავლის თვითრეფლექსიის რუბრიკები, თანატოლთა შეფასება რასაც ახალი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს კიდევ მეტად გააქტიურებს ამ პროცესებს. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - კათედრის მიერ მოცემულ კურიკულუმებში სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ, რომ ყურადღებით აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მსჯელობენ, როგორ წახალისდეს სასწავლო

პროცესში მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. თუ როგორ უზრუნველყოს მასწავლებელმა მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ შეიძლება სამომავლოდ უზრუნველყოს მოსწავლეებში სწავლის, მრავალფეროვანი სტრატეგიების დაუფლება. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბაზო საფეხურზე დაგეგმილია, რომ მასწავლებელი მოსწავლეებს დაუსვამს ისეთ შეკითხვებს, რომლებიც მოსწავლის მეტაკოგნიციის უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. მოსწავლეები წერილობით გასცემენ შეკითხვებზე პასუხს. ბოლოს, მოსწავლეებს, ერთი კონკრეტული კომპლექსური დავალების ფარგლებში, გაუადვილდებათ მთლიანობაში მოახდინონ საკუთარი სწავლის პროცესის გაანალიზება და გააზრება. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4.სახელმწიფო ენა - წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებელთა გასაუბრებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული), რაც აისახება საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსურ დავალებებსა და არაფორმალურ აქტივობებში. ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის გამოყენებას. შერჩეული დავალებების განხორციელებისათვის მოსწავლეს დასჭირდება, როგორც თეორიული ცოდნა, ისე პრაქტიკული უნარები, ხოლო მასწავლებლების მხრიდან უკუკავშირებისა და თვითრეფლექსურობის წახალისება ხელს შეუწყობს ბავშვებს საკუთარი სასწავლო პროფილისა და შესაძლებლობების თვითგამორკვევის გზით მეტაკოგნიტური ცნობიერების ჩამოყალიბებაში. **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა - საბაზო საფეხურზე კათედრამ წარმოადგინა კურიკულუმი, ფაქტიურად ესაა პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელების გეგმა, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის მოძებნა. შეარჩიულია, ასე რომ, სასწავლო პროცესი ხელს უწყობს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას და ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა: საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებას უზრუნველყოფს, ვინაიდან პროექტული ტიპის დავალებები არა მარტო თეორიულ და რეპროდუცირებას გულისხმობს, არამედ ცოდნის ტრანსფერსაც უზრუნველყოფს. ასევე, წარმოდგენილი სასწავლო პროექტები (IX კლასი, ინგლისური ენა-პროექტი N1 Healthy food, N2 Protect nature and it will protect us) მიზნად ისახავს მოსწავლეების მიერ მოძიებული ინფორმაციის, ასევე კვლევის შედეგები გაზიარებულ იქნას სასკოლო საზოგადოებისთვის, რაც პირობისეული ცოდნის წარმოჩენის საშუალებაა.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კურიკულუმის ჩარჩოს, საგნობრივი კურიკულუმებისა და პედაგოგთა პირადი ინტერვიუს უკუკავშირის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შუალედურ სასწავლო მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალება, კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - სასწავლო პროცესში მოსწავლის მიერ ხდება ინფორმაციის გაცნობა, მასალის დამუშავება არა მარტო საგნობრივი საკითხებიდან გამომდინარე, არამედ სხვა წყაროებიდან, რომლებიც სასწავლო რესურსებშია ჩაშლილი რაც მოსწავლის დეკლარატიულ ცოდნაზე გააქტიურებას იწვევს. სწავლის სტრატეგიების შესახებ მიღებული ცოდნა მოსწავლეს პროცედურულ ცოდნას აძლევს, ხოლო ნასწავლის მოქმედებაში, რომელიც კომპლექსური დავალებებითაა განსაზღვრული, პირობისეულ ცოდნას განაპირობებს. იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი კიდევ მეტად ორიენტირებული იყოს ცოდნის სამივე კატეგორიაზე, მასწავლებელს ვურჩიე კურიკულუმებში პროექტის სახით დამატებული იქნას მოსწავლისთვის საინტერესო თემები, რომელიც მოსწავლეს ასევე დაეხმარება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგების მიღწევაში და ცოდნის სამივე კატეგორიაზე კიდევ მეტად იქნებოდა ორიენტირებული.**ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - ესთეტიკის კათედრის, საბაზო საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსურები დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების გააზრებას ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) ჭრილში. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ყველა ქვეცნების დამუშავების პროცესში ხდება ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურება შეკითხვების და აქტივობების სახით. **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - -სკოლაში აღნიშნავენ, რომ საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს, ძირითად გამოწვევად რჩება ცოდნის მესამე კატეგორია - პირობისეული ცოდნის დამუშავება და გამომჟღავნება, რადგან უკავშირდება მაღალ სააზროვნო უნარებს. სამომავლოდ გეგმავენ, რომ კომპლექსური დავალებების დამუშავების პროცესში მეტი ყურადღება დაეთმობა პირობისეული ცოდნის გააქტიურებას და დამუშავებას . თუმცა დასახვეწი და გასამრავალფეროვნებელია ის მეთოდები და საშუალებები,რითაც აპირებენ სასწავლო პროცესის კონსტრუქტუვისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებას. **ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია.**

5.სახელმწიფო ენა - სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან, თვითშეფასების დოკუმენტებიდან და მასწავლებელთა გასაუბრებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და მათი განხორციელებისათვის დაგეგმილი აქტივობები ცხადად მიუთითებს

ცოდნათა ორგანიზებული ურთიერთდაკავშირების მცდელობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს სხვადასხვა სასკოლო პროექტებიც, რომლებიც ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რაც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, სამომავლოდაც იგეგმება იმ უნარების განვითარება, რომელიც მნიშვნელოვნად საჭიროა რეალურ გამოწვევებთან გამკლავებისა და ღირებული პროდუქტის შექმნისათვის, ცოდნის სააზროვნო ინსტრუმენტად გარდაქმნისთვის. **ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია..**

მათემატიკა - საბაზო საფეხურზე მათემატიკის კათედრის ინტერვიუს დროს და კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახული ინფორმაცია, განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. კურიკულუმები საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებული იქნება ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას აძლევს მოსწავლეებს. ეს ფაქტორები გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან არჩეული კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე. **ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა: სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საგნობრივ კურიკულუმში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა ნათელ სურათს თუ როგორ ხდება სხვადასხვა ცოდნათა ორგანიზება და დაკავშირება დავალების პროდუქტის შესაქმნელად.
ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია

სპორტი - სპორტის კათედრის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს. ხოლო მასში წარმოდგენილი თემები, ქვეცნებები, საკითხები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზების და ურთიერთდაკავშირების საშუალებას იძლევა. კომპლექსური ტიპის დავალებები მოსწავლეს დაეხმარება პრობლემის გადაჭრაში, გამოწვევასთან გამკლავებაში, პროდუქტის შექმნაში, სხვისი მოსაზრებების გათვალისწინებასა და ყველა გამოცდილების მობილიზებაში.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია..
ესთეტიკური აღზრდა - კათედრის მიერ წარმოდგენილ (2023-24 სასწავლო წელი) საბაზო საფეხურის მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და

ურთიერთდაკავშირებას. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა არგუმენტად მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები საგანთა ინტეგრაცია და ცოდნის ტრანსფერი. **ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია..**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ამ ინდიკატორის სრულფასოვანი შეფასების საშუალებას იძლევა. რადგან შუალედურ სასწავლო მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალებები, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას კი ხელი ეწყობა კომპლექსური დავალებების საშუალებით, შესაბამისად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. თვითშეფასების დოკუმენტში, სკოლის წარმომადგენლები საუბრობენ, რომ ცოდნათა ურთიერთდაკავშირება ხდება კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს, როდესაც მოსწავლეები სამიზნე ცნებებსა და საგნობრივ საკითხებს აკავშირებენ ერთმანეთთან. დაგეგმილი და განხორციელებული კომპლექსური დავალება ეხება კონკრეტულ ქვეცნებას და ქვესაკითხს, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება სამიზნე ცნებას და მონათესავე ბუნების სხვა საკითხებს, ამ კავშირების დანახვა და გააზრება კი თავისთავად გულისხმობს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ცოდნათა ურთიერთ დაკავშირებაზე ყველა მეტად ორიენტირებული კომპონენტია კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი მაგალითები შედარებისთვის. მნიშვნელოვანია ამ კომპონენტის კარგად გააზრება.**ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია..**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბაზო საფეხურზე მასწავლებლები გეგმავენ ისეთი კომპლექსური დავალებების შემუშავებას რომელშიც მოხდება სხვა საგნის/საგნების ინტეგრირება. რადგან სკოლა არის კურიკულუმების დამუშავების პროცესში, მასწავლებლები სხვადასხვა კათედრებიდან იმსჯელებენ და შეიმუშვებენ ისეთ კომპლექსურ დავალებებს, რომელშიც მოხდება სხვადასხვა მიმართულების ინტეგრირება. **ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია..**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები პირველ და მეორე უცხოურ ენაში;
2. განხორციელებული პროექტის გეგმები რეფლექსიით და ამსახველი მასალით (IX კლასი, ინგლისური ენა)
3. კურიკულუმი.
4. სასწავლო პროექტები.

5. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები.
6. სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები.
7. საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში სახელმწიფო ენაში
8. მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები;
9. კათედრის შეხვედრის ოქმები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სახელმწიფო ენა - სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებისა და პედაგოგებთან გასაუბრების ანალიზით გამოიკვეთა შემდეგი ხედვა: სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. მასწავლებლები გეგმავენ მკაფიოდ განსაზღვრონ გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. საბაზო საფეხურის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ყოველივე ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ, რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა - საბაზო საფეხურზე მათემატიკის სამიზნე ცნებები მათ. მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა, ასევე თემები, თემის მკვიდრი წარმოდგენები განსაზღვრავს იმ ცოდნას რომელსაც მოსწავლე უნდა დაეუფლოს დაწყებით საფეხურზე მათემატიკის სწავლისას, ამ ცოდნისკენ სვლა კათედრაზე ხორციელდება შემდეგი მიდგომებით: კურკულუმში ყველაგან აქვთ წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, აქვთ

ჩაშლილი ნაწილობრივ ქვეცნებები, ასევე ინტერვიუს დროს დაზუსტდა, რომ პედაგოგებს აქვთ გააზრებული კავშირები სამიზნე ცნებებსა და თემებსა და მკვიდრ წარმოდგენებს შორის, მაგალითად ის, რომ მათემატიკური მოდელი რეალურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებს აღწერს მათემატიკური ცნებების, ობიექტების და ენის გამოყენებით. (პროცესები შეიძლება ჩაიწეროს რიცხვითი გამოსახულების, ალგებრული გამოსახულების, განტოლების, უტოლობის, სისტემების, ფუნქციის, დიაგრამის, გეომეტრიული ობიექტების... მეშვეობით. მათემატიკური მოდელი გამოიყენება რეალური პროცესების აღსაწერად, ასახსნელად, პროგნოზირებისათვის და პრობლემის გადაჭრისთვის, აღწერილი აქვთ შეფასების რუბრიკებშიც. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენა: წარმოდგენილი შუალედური მიზნები გაწერილია მესამე თაობის ე.ს.გ. გრძელვადიანი მიზნების მიხედვით, შესაბამისად, შემოთავაზებული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლეს ჩამოუყალიბოს მკვიდრი წარმოდგენები უცხოური ენის საბაზო საფეხურის გრძელვადიანი მიზნების(შედეგებისა და სამიზნე ცნებების) მიმართებით. წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს დანაწევრებით მიღებული ცოდნების გამთლიანება შეძლონ. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საბაზო საფეხურზე, საზოგადოებრივი მეცნიერებების წარმომადგენელ საგნებში შექმნილ კურიკულუმებში, შესაბამის ადგილასაა წარმოდგენილი სამიზნე ცნებები. საგან ისტორიისა და გეოგრაფიის ფარგლებში შექმნილი კურიკულუმის ნიმუშებში, სამიზნე ცნებები სწორადაა გაწერილი და ძირითად საკითხებთან შესაბამისობაც მკაფიოა. ისეა გაწერილი თითოეული დოკუმენტი, რომ ადგილზეა ყველა სამიზნე ცნების დამუშავებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო აქტივობები. მასწავლებლების მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მასალის სიღრმისეულ გააზრებას და არა საგნობრივი საკითხების ზედაპირულ დასწავლას. საბოლოოდ, მოსწავლე თეორიულ ცოდნას ასახავს ცხოვრებისეულ კონტექსტში და ქმნის კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტს. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - შემუშავებული კურიკულუმები საშუალებას იძლევა დაძლეული იქნას ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო სტანდარტის შედეგები. ხოლო ჩაშენებული თემები იძლევა გრძელვადიან მიზნებზე გასვლის საშუალებას დაგეგმილი აქტივობებით, რომელიც ასევე ითვალისწინებს კომპლექსურ დავალებებს და სასაწავლო პროცესში გამოყენებული მასალა/რესურსები, შესრულებული დავალებები გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - კათედრის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება VII-VIII-IX) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირები სამიზნე ცნებებს, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), კონტექსტ მაგალითებს შორის. კომპლექსური დავალებები კი აზუსტებს სამიზნე ცნებების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, ხელს უწყობს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბაზო საფეხურზე მასწავლებლები გეგმავენ ისეთი კომპლექსური დავალებების შემუშავებას რომელშიც მოხდება სხვა საგნის/საგნების ინტეგრირება. რადგან სკოლა არის კურიკულუმების დამუშავების პროცესში, მასწავლებლები სხვადასხვა კათედრებიდან იმსჯელებენ და შეიმუშვებენ ისეთ კომპლექსურ დავალებებს, რომელშიც მოხდება სხვადასხვა მიმართულების ინტეგრირება. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

2.სახელმწიფო ენა - საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებამ შედარებით უკეთ გამოკვეთა, რომ კათედრის წარმომადგენლების უმრავლესობას ესმის, რომ საგნობრივი კონტექსტები უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებელ ფასილიტატორის როლში განსაზღვრავს მოსწავლეთა უახლოესი განვითარების ზონას. მუდმივი სკაფოლდინგი და სასწავლო პროცესში სხვადსხვა რესურსების თუ აპლიკაციების, პროგრამების გამოყენება: ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემემი, რუკები, სურათები, ილუსტრაციები, რაც ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - კურიკულუმები, ინტერვიუს დროს აღწერილი სასწავლო პროექტები, სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები, აქტივობები, ამ მასალების საფუძველზე სკოლამ დაასაბუთა, რომ **ორივე საფეხურზე** სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს (და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“). შესაბამისად მათემატიკის საგნობრივი კონტექსტი ემსახურება მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენა: საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. საბაზო საფეხურზე კურიკულუმებში მოცემული თემები წარმოადგენს მოსწავლისთვის ნაცნობ, აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რომელიც ახდენს მის შინაგანი

ძალების გააქტიურებას, უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას მუშაობის პროცესში, რაც მის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას შეუწყობს ხელს.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საბაზო საფეხურის საგან გეოგრაფიის ორ და ისტორიის ფარგლებში შექმნილ ერთ დოკუმენტში გათვალისწინებულია ისეთი შინაარსისა და აქტივობების შემცველი კომპლექსური დავალებები, რომლებიც საგნობრივ კონტექსტებთან ერთად ხელს შეუწყობს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კომპლექსურ დავალებებში მოაზრებულია სოციალური ხასიათის აქტივობები და ასევე თანამშრომლობაზე დაფუძნებული მუშაობის ტიპები. თვითშეფასების დოკუმენტში საუბარია, რომ სკოლის მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული, რომ სოციალურ-ემოციური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას, ამიტომ მოსწავლეებს სთავაზობენ ისეთ აქტივობებს, რომელიც ეხმარებათ დაამყარონ ურთიერთობა გარემოსთან და გარშემომყოფებთან. ამ პროცესში მასწავლებლები აკვირდებიან რამდენად გააჩნია მოსწავლეს უნარი, შეძლოს საკუთარი გრძნობების გაგება და გამოხატვა, სხვათა გრძნობების გაგება (თანაგრძნობა) და სათანადოდ რეაგირება. მნიშვნელოვანია ამ თეორიული მსჯელობის კურიკულუმის ჩარჩოებში შესაბამისი აქტივობებით გამყარება, როდესაც სკოლა დაამტკიცებს აღნიშნულ საგნებში კურიკულუმის ჩარჩოს საბოლოო ვარიანტებს. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - საგნობრივი საკითხები მოსწავლის პიროვნულ და ფსიქოციალურ განვითარებას უნდა განაპირობებდეს. კურიკულუმების შემუშავებისას გათვალისწინებული საგნობრივი საკითხები მოსწავლის ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინების საშუალებას იძლევა, რომელიც შესაბამისად მოსწავლის სწავლის პროცესს მეტად ააქტიურებს და საშუალებას აძლევს ამოიცნოს თავისი თავი ძლიერი და სუსტი მხარეებით. გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები სადაც ხდება მოსწავლეთა თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა კიდევ მეტად ჩამოუყალიბებს მოსწავლეებს გააცნობიეროს სხვების პოზიცია, გამოხატოს თანაგრძნობა, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, იმუშაოს გუნდურად და მართოს საკუთარი ემოციები. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ საბაზო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემატური ბლოკები. თემებით, კომპლექსური დავალებებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები, აგრეთვე კათედრის მიერ განხორციელებული პროექტები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს,

არამედ ფსიქო-სოციალურ განვითარებაზეც. ამ მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - ჩატარებული გასაუბრების შედეგად გამოვლინდა,რომ მასწავლებლები არა მხოლოდსასწავლო პროცესში,არამედ არაფორმალურ აქტივობებშიც ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურგანვითარებაზე ,დაგეგმილი აქტივობები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები,ძლიერი და სუსტიმხარეები,მართონ საკუთარი ემოციები.მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებული აქტივობების ეფექტურობაზეც.შეიძლება ითქვას, რომ **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

3.სახელმწიფო ენა - მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთს, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარშიც იკითხება, რომ I -IV კლასებში განმავითარებელი შეფასება ხდება მესამე თაობის სასწავლო გეგმის შესაბამისად. V-VI კლასების მოსწავლების მიღწევები ფასდება განმსაზღვრელი შეფასებით. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ შეეცდებიან მრავალფეროვანი ჰოლისტური შეფასების სისტემა შეიმუშაონ. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა - შეფასების სისტემა **დაწყებით საფეხურზე** ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილი განმავითარებელი შეფასების წარმოების აღწერიდან შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსწავლეების მიერ შესასრულებელი აქტივობები ფასდება მთლიანობაში და ეძლევა შესაბამისი უკუკავშირი. მათ საშუალება აქვთ მთლიანობაში დაინახონ საკუთარი შესაძლებლობები კონკრეტულ დავალებასთან მიმართებით, გაიგონ რა აქვთ გამოსასწორებელი და იმუშაონ მის გაუმჯობესებაზე. ერთ-ერთმა პედაგოგმა პორტფოლიო წარმოადგინა ზეპირად, ანუ იმის ანალიზი თუ რამდენად მოახდინა მისმა საქმიანობამ ზეგავლენა მოსწავლის მიღწევებზე, **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია**

უცხო ენა-სასკოლო კურიკულუმში მოცემული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას კერძოდ, მოსწავლის შეფასების მიზნით წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუში რომლებიც ეყრდნობა სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები VII, VIII და IX კლასებში სამიზნე ცნების შედეგების ინდიკატორების გათვალისწინებითაა შექმნილი როგორც პირველ, ასევე მეორე უცხოური ენისათვის.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - აღნიშნული ინდიკატორის განსაზღვრისად ვეყრდნობით საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალი საგნების ფარგლებში წარმოდგენილ რუბრიკის ნიმუშებს, კონკრეტულად კი საზოგადოებრივი მეცნიერებების ფარგლებში შექმნილ განმავითარებელი შეფასების რუბრიკასა და ინტერვიუს პროცესში პედაგოგთა მიერ გაცემულ პასუხებს, სადაც ისინი აცხადებდნენ, რომ შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის მიღწევებზე, ასევე არის ხელმისაწვდომი და გამჭირვალე სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. საბაზო საფეხურზე საჭირო და მნიშვნელოვანია მსგავსი დოკუმენტაციის შექმნა, რადგან უკვე არსებობს ამის პრაქტიკა სკოლის ფარგლებში. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია**

სპორტი - განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლის აკადემიური მიღწევების დადგენას ემსახურება. სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან გამომდინარე შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ სკოლას აქვს ამ მიმართულებით მუშაობის გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ საბაზო საფეხურზე სპორტის მიმართულებით განმსაზღვრელი და განმავთარებელი შეფასების რუბრიკები არ იყო სრულყოფილად წარმოდგენილი, ახალი კურიკულუმების დანერგვის პროცესში მოხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება და დახვეწა თემების მიხედვით, რომელშიც მოსწავლის ჰოლისტური ბუნება იქნება გათვალისწინებული. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - - საბაზო საფეხურის 2023-2024 წლის სასკოლო კურიკულუმებში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კათედრის წევრებს წარმოდგენილი აქვთ ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში, წარმოდგენილი აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები . კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარატიულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას. საბაზო საფეხურზე კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზანს, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებენ შეფასების ორივე ფორმას და მოსწავლეს ეხმარებიან სამიზნე ცნებების გააზრებასა და მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებაში. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კათედრებზე შემუშავებულია შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებთან გასაუბრების გამოიკვეთა, რომ ისინი სწორად იაზრებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მიზნებს. ასევე, იციან სოლო ტაქსონომიის, როგორც განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მნიშვნელობა.განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ასახულია ცოდნის კონსტრუირების დინამიკა დეკლარატიულიდან პირობისეულ ცოდნამდე .მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების მიზნით, სხვა მრავალი ინსტრუმენტის მსგავსად, კათედრა იყენებს მოსწავლის ან წყვილის მიერ შევსებული თვითშეფასების სქემას, შემუშავებულ რუბრიკებს მოსწავლის განვითარების დინამიკის შესაფასებლად (სტანდარტის შედეგებთან მიმართებით). ამ ინსტრუმენტების გამოყენებით მასწავლებელი თვალს ადევნებს მოსწავლის განვითარების პროცესს მთელი სემესტრის განმავლობაში, იღებს

ინფორმაციას მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეებისა და შესაბამისად მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია**

4.სახელმწიფო ენა - საბაზო საფეხურზე მასწავლებლები შეფასებისას ეყრდნობიან სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს, ანუ შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, მართალია, მოსწავლეთა შეფასება შემოიფარგლებოდა სიტყვიერი კომენტარებით, მაგრამ ვინაიდან სკოლას აქვს შეფასების რუბრიკების შემუშავების გამოცდილება, ახალი კურიკულუმების დანერგვის პროცესში მოხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების მიხედვით (ამჟამადაც აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა რუბრიკებზე), რომელიც იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, რაც ინტერვიუების დროსაც დაადასტურეს. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა -პედაგოგებს აქვთ გააზრებული, რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და სერიოზულად უდგებიან მას. კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლიდან შეფასების ვალიდურობის, სანდოობის, ობიექტურობის და გამჭვირვალობის გასაზრდელად გეგმავენ ახალი შეფასების ინსტრუმენტების დანერგვას, სკოლას აქვს მოქმედი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მუდმივად აწარმოებენ მუშაობას შეფასების სისტემის დასახვეწად. იმისათვის რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ განცდა, რომ შეფასება არის გამჭვირვალე და ობიექტური, მათი აზრი გათვალისწინებულია შეფასების რუბრიკების შექმნაში, ამასთან ერთად, რუბრიკები გამოკრულია სასწავლო სივრცეში. აღსანიშნავია, რომ კათედრა მომავალშიც გეგმავს გააგრძელოს ინტენსიური საქმიანობა ამ მიმართულებით, რათა დახვეწოს შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მექანიზმები. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენა: წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებ ახლავს შეფასების კრიტერიუმები , რომლებიც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების წარმომადგენელ საგნებში, რომლებიც ისწავლება საბაზო საფეხურზე, არის წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა მკაფიო დასკვნა. ასევე შეგვიძლია ვისარგებლოთ ინტერვიუს დროს პედაგოგთა უკუკავშირით, მათი განცხადებით შეფასების რუბრიკები იქმნება საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და წინასწარ უზიარდება სასკოლო საზოგადოების წევრებს, არის საჯარო და გამჭირვალე, ასევე ემყარება სტანდარტით გათვალისწინებულ

ინდიკატორებს. ასევე სხვა საგნის ფარგლებში წარმოდგენილი ნიმუშებით. სკოლაში არსებობს შეფასების სისტემა, თუმცა მისი მკაფიოობის, სანდოობისა და ობიექტურობის განსაზღვრა, წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით რთულია. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - საბაზო საფეხურზე სპორტის მიმართულებით განმსაზღვრელი და განმავთარებელი შეფასების რუბრიკები სრულყოფილად არ წარმოუდგენიათ, მაგრამ ვინაიდან სკოლას აქვს შეფასების რუბრიკების შემუშავების გამოცდილება ახალი კურიკულუმების დანერგვის პროცესში სპორტის მიმართულებით მოხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება და დახვეწა თემების მიხედვით, რომელიც იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. **ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - კათედრის მიერ წარმოდგენილ რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები მიემართება სამიზნე ცნებებისკენ და კონკრეტულ დავალებაში დამუშავებულ ქვეცნებებისკენ. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს იმის შესახებ, რომ მოსწავლეებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს აცნობენ , უმარტავენ შეფასების რუბრიკებს, მშობლებს უგზავნიან ბარათებს და აცნობენ რა თემაზე უნდა იმუშაონ და რა პროდუქტი უნდა შექმნან, რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ ,შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**. ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასება (ტესტები, რუბრიკები) არის ვალიდური, შეესაბამება ესგ-ს მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. მასში ასახულია მხოლოდ ის ცოდნა და უნარი, რომლის გაზომვაც არის დაგეგმილი. მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ კათედრაზე მოქმედებს მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების ერთიანი რუბრიკები. მოცემული რუბრიკები მოიცავს შემაჯამებელ დავალებებს. სასწავლო წლის დაწყებისთანავე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აქვთ ინფორმაცია თუ რა მიზანი აქვს შეფასებას, რა ფორმით (წერითი/ზეპირი გამოცდა, ტესტირება თუ სხვ.) მოხდება შეფასება და ასევე რა შედეგი ექნება მას. ინფორმაცია მიწოდებულია ოფიციალურად ყველა მხარის პასუხსისმგებლობის გათვალისწინებით. პროცესზე პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას.
ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია
5.სკოლაში შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას ახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია, ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან, ხდება მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასება, განხილვა და ანალიზი. გაიცემა უკუკავშირი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით სკოლას დირექცია, კათედრები აქტიურად მუშაობენ შეფასების სისტების შექმნა/დახვეწაზე.
ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია

6.სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023–2024 სასკოლო სასწავლო გეგმის და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტის გაცნობის შედეგად მტკიცდება, რომ მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და მათი შეფასებების წესს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობითაა განსაზღვრული, მკაცრად იცავს. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. კათედრის თავმჯდომარე და სკოლაში საამისო პირის პასუხისმგებლობით ხდება მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვა და შენახვა. შემაჯამებელი სამუშაოების, როგორც მტკიცებულების, შენახვა ხდება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში მანამ სანამ მოსწავლე სამართლებრივი აქტის საფუძველზე გადავა მომდევნო კლასში.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმი.
2. სასწავლო პროექტები.
3. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები.
4. სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები.
5. შეფასების მასალები.
6. ვერიფიკაციის მექანიზმი
7. საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები სახელმწიფო ენაში
8. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სახელმწიფო ენაში

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**
2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**
3. **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**
4. **უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია კათედრის ყველა წევრი, საჭიროების შემთხვევაში დირექცია აძლევს მეთოდურ რეკომენდაციებს, ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება და მათი ინტერესების გათვალისწინება. პედაგოგებთან გასაუბრების დროსაც იგრძნობოდა მხარდაჭერა, ერთიანობა და გუნდურობა. ღნიშნულ ინდიკატორზე მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის სკოლის მიერ შემოთავაზებული არაერთი დოკუმენტი. მაგალითად გაკვეთილზე დასწრების უკუკავშირი. ასევე მრჩეველთა საბჭოს ოქმები. აღნიშნული დოკუმენტების გაცნობამ და ასევე პედაგოგებთან გასაუბრებამ შეგვიქმნა წარმოდგენა რომ სკოლის ფარგლებში შექმნილია თანამშრომლობითი გარემო.

ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია.

2.საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში განსაზღვრულია თემები, თემის ფარგლებში შერჩეული საკითხები. ასევე კომპლექსური დავალებები, ძირითადი საკითხები, რომელთა საფუძველზეც სექტემბრიდან მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. კურიკულუმებში გაწერილ კომპონენტებზე დაყრდნობით, ასევე მათი საგანმანათლებლო აქტივობების სპეციფიკიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. საჭიროების შემთხვევაში სკოლა შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, წაახალისებს ინტეგრირებულ გაკვეთილებს და პროექტებში მონაწილეობას. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში, სადაც ერთწლიანი სამოქმედო გეგმაა გაწერილი, მკაფიოდაა ჩამოყალიბებული თუ რა გზით უნდა მოხდეს სასწავლო პროცესის მოსწავლეებზე ორიენტირება. ასაუბრებისას პედაგოგებმა არაერთხელ გაუსვეს ხაზი ისეთ შემთხვევას, როცა მოხდა მოსწავლეთა საგანმანათლებლო ინტერესების გათვალისწინება სამომავლო აქტივობების დაგეგმვისას.

ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია.

3.სასწავლო პროცესი დაფუძნებულია თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზე. შექმნილია მასწავლებელთა შეხვედრის ჯგუფი. ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა. სკოლის წარმომადგენელთა განცხადებით სამომავლოდ გეგმავენ მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შეხვედრები იყოს უფრო ხშირი და შინაარსობრივი, პროდუქტიული. სკოლის ფარგლებში თანამშრომლობითი კულტურის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის შემოთავაზებული ოქმები, სადაც პედაგოგთა

გაერთიანებული კოლექტივი განიხილავს სკოლის ფარგლებში გადასაწყვეტ სხვადასხვა პრობლემას. ამ საკითხზე მკაფიო წარმოდგენას ქმნის სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები - ასევე პედაგოგებთან პირადი ხასიათის

ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია.

4.საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი სხვადასხვა საგნობრივი დისციპლინების ფარგლებში შექმნილი კურიკულუმების შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საგნობრივ კურიკულუმის ნიმუშებში გაწერილი კომპლექსური დავალებები, ასევე სხვა ტიპის საგანმანათლებლო აქტივობები, ატარებს ისეთ ხასიათს, რომ უზრუნველყოს საკლასო სივრცეში პოზიტიური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბება და მოსწავლეთა ჩართულობის წახალისება. მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს სკოლაში პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას. **ინდიკატორი 2.2.3.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს ნიმუშები
2. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
3. კათედრის სხდომის ოქმები
4. პედაგოგებთან პირადი გასაუბრება

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**
2. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**
3. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმების მონიტორინგი და მისი შეფასება ხორციელდება სასწავლო პროცესის განმავლობაში და ამ აქტივობის ფარგლებში აქტიურად თანამშრომლობენ საგნობრივი კათედრები და დირექციის წარმომადგენლები. ის დაგეგმვის პროცესშივეა მოაზრებული სკოლის ფარგლებში და სამ მიმართულებაზეა ორიენტირებული. სკოლის ფარგლებში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე, სკოლის ინსტიტუციურ განვითარებასა და მოსწავლეთა შედეგებისა და პროგრესის დიაგნოსტირებაზე. ღნიშნული საკითხები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული სასკოლო კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში. დოკუმენტის მიხედვით, უნდა განხორციელდეს მონიტორინგი, თუ როგორ მიმდინარეობს პროცესები წინასწარ გაწერილი ჩარჩოს მიხედვით და ასევე რამდენად ჰქონდა დაგეგმილ აქტივობებს სასურველი და მისაღები შედეგები.

ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად, ასევე კათედრების მიხედვით მასწავლებელთა ინტერვიუერების შედეგად დგინდება, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება აღქმულია არა დასჯა-წახალისების მექანიზმებად, არამედ კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან, რასაც მოწმობს კვლევა-შეფასების სამმიმართულებიანი პროცესი:

1.მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;

2.სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის);

3.სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია

3.დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად, ასევე კათედრების მიხედვით მასწავლებელთა ინტერვიუერების შედეგად დგინდება, მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზი კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების, განხორციელებისთვის ხელისშემშლელი ფაქტორების და არსებული შესაძლებლობების იდენტიფიცირების და პრობლემების გადაჭრის გზის საშუალებაა. სკოლა ანალიზზე დაფუძნებით შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას და ასახავს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში

ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**
2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**
3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**
4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, ასევე სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე ვლინდება, რომ სასწავლო პროცესის შეფასებას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი უკავია. დაწესებულება სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას განიხილავს და შეგროვილ ინფორმაცია აგენერირებს, ეს წყაროებია: მოსწავლის შედეგები, მშობლის უკუკავშირი, სასკოლო საზოგადოებისგან მიღებული ინფორმაცია.

ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში, 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებსა და მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში შეფასება განხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილი იქნება თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით და სასწავლო პროცესში გათვალისწინებით. საგაკვეთილო პროცესების დროს ყურადღება მახვილდება მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე და შეფასების სისტემაც, შეფასების რუბრიკების სახით, ამის გათვალისწინებითაა შექმნილი.

ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია

3.მასწავლებლებთან გასაუბრებებისას მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ შეფასებისთვის გამოიყენებენ როგორც განმსაზღვრელ ასევე განმავითარებელ შეფასებას, რაც დასტურდება სკოლის მიერ მოწოდებული მომავალი წლის განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუნრიკებით, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი, რომ მოსწავლეები შეფასდებიან გრძელვადიან მიზნებზე ცნებებზე, შედეგებზე დაყრდნობით, ასევე სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმებში ასახული შუალედური(საკითხები, თემები, კომპლექსური დავალების იდეა) და გრძელვადიანი(ცნებები, შედეგები) მიზნებიდან და კურიკულუმებში ასახული სკოლის მიერ მოწოდებული კომპლექსური დავალებების სრული(ინსტრუქციით) ნიმუშებიდან გამომდინარე (სადაც ასევე მკაფიოდ არის გამოკვეთილი თუ რის მიხედვით უნდა შეფასდეს მოსწავლე განმავითარებელი შეფასებით) ვფიქრობ, რომ მომავალ სასწავლო წელს შეფასებისას გამოყენებული იქნება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.

ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია

4.მასწავლებლებთან გასაუბრებებისას მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ შეფასებისთვის გამოიყენებენ როგორც განმსაზღვრელ ასევე განმავითარებელ შეფასებას, რაც დასტურდება სკოლის მიერ მოწოდებული მომავალი წლის განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუნრიკებით, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი, რომ მოსწავლეები შეფასდებიან გრძელვადიან მიზნებზე ცნებებზე, შედეგებზე დაყრდნობით, ასევე სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმებში ასახული შუალედური(საკითხები, თემები, კომპლექსური დავალების

იდეა) და გრძელვადიანი(ცნებები, შედეგები) მიზნებიდან და კურიკულუმებში ასახული სკოლის მიერ მოწოდებული კომპლექსური დავალებების სრული(ინსტრუქციით) ნიმუშებიდან გამომდინარე (სადაც ასევე მკაფიოდ არის გამოკვეთილი თუ რის მიხედვით უნდა შეფასდეს მოსწავლე განმავითარებელი შეფასებით) შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მომავალ სასწავლო წელს შეფასება განხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1.კურიკულუმები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**
2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმიდან გამომდინარე კურიკულუმის განვითარებას მუდიმავად ახდენენ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. თუმცა ამ მხრივ მნიშვნელოვანია სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის

გამოყენება, რის საფუძველზეც მოხდეს კურკულუმში ცვლილებების შეტანა მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. ასევე მიმდინარე წლის კურკულუმიდან გამომდინარე გამოკვეთილი საჭიროებები აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ახალი სასწავლო წლის ფარგლებში კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რაზე მუშაობაც პედაგოგებს უკვე დაწყებული აქვთ.

ინდიკატორი 2.4.1.1. შეესაბამება სტანდარტს.

2.კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; გასაუბრების შედეგებიდან გამოიკვეთა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის იგეგმება კურკულუმის რევიზია/განახლება მათ შორის უკვე შექმნილი კურკულუმის ჩარჩოების, რომელშიც გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილება.

ინდიკატორი 2.4.1.2.შეესაბამება სტანდარტს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. გადამუშავებული კურიკულუმი.
2. სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....
.....
.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

თავმჯდომარე: ხათუნა ფაილაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
1. მაია ბაქრაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.)

2.იოსები მეგრელიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი.)

3.ლია ცერცვაძე-ცუცქირიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი.)

4. ნინო თამარაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი.)

5.ბექა კვაჭაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი.)



6.ჯულიეტა ტაბეშაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი.)

7.ნინო მარღიშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი.)

8. ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

9. ნათია მაკრახიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი.)



10.მურად ფახურიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი.)



23 ოქტომბერი 2023 წელი
თარიღი